ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული გაზეთი

№22 (230) 30 ნოემბერი - 13 დეკემბერი 2018 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი



II-III
ლუკა ბაქანიძე

IV
ლია სტურუა

V
გივი ალხაზიშვილი

VI-VII
როსტომ ჩხეიძე

VII
ქარდა ქარდუხი

VIII
გივი ჩიღვინაძე

IX
მურად მთვარელიძე

X-XI
მაგული კვაჭაძე-ქანთარია

XII
იტალო კალვინო

XIII
ნუცა გულიაშვილი

XIV-XV
ნათია როსტიაშვილი:
„დეტალების ადამიანი ვარ“

XVI
ანა გელაშვილი

პროზა
პოეზია
ესსე

თარგმანი
ინტერვიუ

ლუკა ბაქანიძე

გზაზე ძაღლი მოდიოდა

გაკვეთილები უკვე დაწყებული იყო, დერეფნებში ჩამომდგარ სიჩუმეს კი, მისი აზრით, სწორედ რომ ძალიან მოუხდებოდა კარის ავისმომასწავებელი ჭრიალი, ან წყლის წვეთების მონოტონური წანწკარი, როგორც საშინელებათა ფილმებშია ხოლმე. იდგა დირექტორის კაბინეტის კართან, კედელს უდარდელად მიყრდნობოდა და თავისუფლად ესმოდა, როგორ უმეორებდა დირექტორი მოთმინებით და თავაზიანად დედამისს: — გასაგებია და ვწუხვართ, რომ სტრესულ მდგომარეობაშია, გისამძიმრებთ მთელი გულით, მაგრამ სამწუხაროდ თქვენს შვილს სკოლაში ვეღარ დავტოვებთ. დედამისმა გაუბედავად შესთავაზა: — ზარალი რომ ავანაზღაუროთ? იმ ფარდებს კიდევ თავად მოვიტანდით, რაც იყო, იმაზე უკეთესს... აქ შეცბა, რადგან მიხვდა — უხერხულად გამოუვიდა, ფარდები რომ დაუწუნა სკოლას და დირექტორსაც წყენა დაეტყო ხმაში: — რას ვიზამთ, ქალბატონო, დიზაინერს ვერ მოვიწვევთ ხოლმე, მაგრამ როგორი ფარდებიც არ უნდა ეკიდოს, ბავშვმა არ უნდა წაუკიდოს ცეცხლი, თუ ნორმალურია. აქ დირექტორიც მიხვდა, უნებურად შვილი რომ გამოულანძღა ქალს და უხერხულობის დასაფარად მტკიცედ და გადაწყვეტილად მოუჭრა: — თქვენს შვილს ჩვენს სკოლაში ვეღარ გავაჩერებთ სამწუხაროდ, და საერთოდაც, არსებობს სპეციალური სკოლები პრობლემატური ბავშვებისთვის... სიჩუმე ჩამოვარდა, ბიჭი კიდევ იდგა დერეფანში და ცდილობდა, წარმოედგინა, რა ჯანდაბა იყო ეს „სპეციალური“ სკოლა, ათასგვარ ფანტასმაგორიულ სურათებს ჩმახავდა წარმოსახვაში და ერთობ ხალისობდა, რადგან სულ არ აწუხებდა სკოლიდან გადასვლა. უცებ გაიგო, როგორ ამოსკდა დედამისს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ქვითინნარევი ხმით: — მესამე სკოლას იცვლის უკვე, ორ თვეში მესამე სკოლას! და მერე დირექტორის წყნარი პასუხიც მოეყურა: — ვწუხვარ და ვიზიარებ, ქალბატონო, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით.

* * *

დილაუთენია გავიდა სახლიდან, ჭიშკარი ფრთხილად გაიხურა და გაუყვა გზას. გასცდა სოფელს, პატარა ნაკადულთან შეჩერდა და გულდასმით შეარჩია სათევზაოდ გამოსადეგი გრძელი და სწორი ლერწამი; შემდეგ მოტეხა, მხარზე გაიდო და გასცდა ნაკადულსაც, უნაპიროდ გადაშლილ, გადახრიოკებულ მდელოებს შეუყვა. სადღაც იქით, გორაკების მიღმა ახსოვდა პატარა ტბა, სადაც მამამ წაიყვანა ერთი-ორჯერ და თევზაობას ასწავლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭს ამაზე სულელური და მოსაწყენი საქმიანობა არ ეგულებოდა. გზა ხომ არ შემეშალაო — ფიქრობდა, მაგრამ ცოტა ხანში მოშორებით გამოთეთრებული მიწის ზოლი შეამჩნია, ნათოვლარივით რომ მოჩანდა და იქით გაეშურა: იცოდა, ტბიდან გამომავალ პატარა არხს წაადგებოდა მალე, მარილიან ნაპირებში მოქცეულს; ტბაშიც და არხშიც მომლაშო წყალი იდგა და წვიმიანობის ჟამს, როდესაც დიდდებოდა და ნაპირებს ლახავდა, ასეთ თეთრ ზოლებს ტოვებდა, რომლის სალოკავად ტურები მოდიოდნენ ხოლმე შებინდებულზე და გაუთავებლად გაჰკიოდნენ. ადრე, მამასთან ერთად რომ დადიოდა ამ გზაზე, ტურების სულ არ ეშინოდა, ახლა კი ჰორიზონტი ყურადღებით მოათვალიერა: უდაბური ველები გადაშლილიყო ყველგან და იოლად შეამჩნევდა რაიმეს, მოძრავს. მალე არხსაც მიადგა და მის გვერდით, პატარა ბილიკს ჩაუყვა. ამ დროს პირდაპირ მისკენ, ბილიკზე მომავალი უზარმაზარი ცხოველი შეამჩნია და შიშისგან გააცია. ერთხანს იდგა და გამალებული ფიქრობდა, სად დამალულიყო, მაგრამ გარშემო არც ხე მოჩანდა არსად, არც ბუჩქი. ბოლოს არხში შევარდა, დაბალ წყალში ტანსაცმლიანად ჩაწვა და ცხოველს მიაჩერდა. მალევე მიხვდა, ეს ჩონჩხივით გამხდარი და ძლივს მოლასლასე არსება ძაღლი რომ გახლდათ და ცოტა დამშვიდდა, რადგან ქვეყანაზე ყველაზე მეტად ძაღლები უყვარდა, მაგრამ ცოფიან და ავ ძაღლებზეც სმენოდა ბევრი, ამიტომ განაგრძობდა თბილ დინებაში წოლას და ძაღლს უთვალთვალებდა. ძაღლი ბიჭს გაუსწორდა და ნაპირზე დაგდებული ჩანთა და ლერწმის ჯოხი საფუძვლიანად დაყნოსა. შემდეგ თავი ნელა მოატრიალა, პირდაპირ ბიჭს შეხედა საწყალი, გატანჯული მზერით და ბიჭმა ინსტინქტურად იგრძნო, რომ აქ მისთვის ცუდი არავის სურდა, რომ საფრთხე არ იყო, მაგრამ მაინც ეჭვით ათვალიერებდა ალაგ-ალაგ ბალანგაცვენილ, ჩონჩხადქცეულ დიდ ყვითელ ძაღლს, ზოგან კოშტებად რომ მოუჩანდა ტანზე რაღაც, შავი ყურძნის მარცვლებივით. ბოლოს გადაწყვიტა გზა გაეგრძელებინა. წყლიდან ამოძვრა, ძაღლს ფრთხილად მიუახლოვდა, სწრაფად წამოკრიფა თავისი ჩანთა და ლერწმის ჯოხი და ბილიკს გაუყვა, თან დროდადრო უკან იხედებოდა. მალე დარწმუნდა, არავინ რომ არ მოსდევდა და მშვიდად გააგრძელა გზა ტბისკენ.

* * *

— არც ისე იშვიათი რამაა ჩვენს პრაქტიკაში. გარდატეხის პერიოდში მყოფ ფსიქიკაში, ცამეტი წლის ასაკში მძიმე სტრესი არანორმატიულ, და ხშირად აგრესიულ გამოვლინებას პროვოცირებს ხოლმე. ამით მოზარდი ქვეცნობიერად ცდილობს იმ შიშთან წინააღმდეგობას, იმ გაურკვევლობისგან განთავისუფლებას, რასაც მასში სტრესის შემდგომი განცდები იწვევს... თქვენი ბიჭის შემთხვევაში სახეზე გვაქვს აშკარად გამოხატული პირომანია, რაც ერთი მხრივ გასაგები და შედეგობრივია, რადგან მისი სტრესი სწორედ ცეცხლთან ასოცირდება, მაგრამ მეორე მხრივ დასაფიქრებელია, რადგან ასეთ დროს, კი არ უნდა უყვარდეს, ასე თავდავიწყებით კი არ უნდა მიელტვოდეს ცეცხლის ალს, არამედ პირიქით: უნდა ეშინოდეს. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, სწორედ შიში რომ აღძრავს ასეთ უკუღმართ ლტოლვას, მისი ხასიათის სპეციფიკიდან, თავად ბიჭის სულიერი სტრუქტურიდან გამომდინარე. გამუდმებული მეთვალყურეობა და ფრთხილი მიდგომაა ამ დროს საჭირო, ბავშვს სამუდამოდ რომ არ დაუზიანდეს ფსიქიკა. გარემოს შეცვლაც არ აწყენდა დროებით, შედარებით წყნარ ადგილას, სადმე სოფელში ყოფნა, ბუნებასთან სიახლოვე...

ბიჭი ოთახში იჯდა, იქაურობას ინტერესით ათვალიერებდა და მეორე ოთახიდან ვიღაც სათვალიანი, მელოტი კაცის ლაპარაკს უსმენდა, რომლის ინჩიბინჩიც ვერ გაეგო. არც ის კაცი ჰგავდა ექიმს და არც ოთახი — ექიმის კაბინეტს, როგორიც სკოლებში იყო ხოლმე. ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის იერი ჰქონდა აქაურობას და ბიჭი ხვდებოდა, რომ მოატყუეს, როცა ფრთხილად შეაპარეს — ექიმთან უნდა წავიდეთო. ეს გაუთავებელი ლოლიავიც უკვირდა, რასაც მის მიმართ იჩენდა ყველა ბოლო ხანებში, და ძალიან აღიზიანებდა, სიბრალულით რომ ათვალიერებდნენ ახლობლები და ოჯახის წევრები. თავად ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არაფერი სჭირდა. სჭირდა კი არა, პირიქით: მოსწონდა ის გამბედაობა და თავზეხელაღების ნეტარი შეგრძნება, მანამდე საერთოდ რომ არ ჰქონდა და სწორედ იმ ამბის შემდეგ გაუჩნდა. მოკლედ, არც ისე ცუდად გრძნობდა თავს და მარტო დედამისი ეცოდებოდა, ცრემლიანი თვალებით რომ შემოჰყურებდა სულ, და იქით ანუგეშებდა: — კარგად ვარ, დე, არაფერი მჭირს, ნუ გეშინია. დედას კიდევ ბიჭის ხელისკენ, თითებში სწრაფად და ნერვიულად ათამაშებულ სანთებელაზე გადაჰქონდა მზერა, რომელიც ათასჯერ გადაუმალა უკვე, თუმცა ისევ შოულობდა ბიჭი საიდანღაც და ცდილობდა, ყველასთვის შეუმჩნევლად ეტარებინა ჯიბით, მაგრამ თავისდა უნებურად კვლავ ხელში გადაიტანდა ხოლმე და თითებში ატრიალებდა.

* * *

ტბის ნაპირას დიდი, ყვითელი ძაღლი იწვა, თავი თათებში ჩაერგო და ბიჭის თევზაობას ადევნებდა თვალს. ბიჭი მუხლამდე წყალში იდგა და სულ ამაოდ მისჩერებოდა ტივტივას — არ მოდიოდა თევზი. ტბის ნაპირებზეც და გარშემოც, სადაც თვალი მიუწვდებოდა, ადამიანის ჭაჭანი არ იყო, მარტო სადღაც შორს მოჩანდა ასანთის კოლოფივით მინდორზე მბობღავი ტრაქტორი, შავი კვამლის ქულები რომ ასდიოდა. დროდადრო ძაღლს გახედავდა და თუმცა ის ერთობ მშვიდობიანად გამოიყურებოდა, მაინცდამაინც არ ჩქარობდა ნაპირზე გასვლას. ალბათ ჰგონია, თევზს ვუწილადებ. ალბათ სხვა მეთევზეებსაც ასე ელის ხოლმე ნაპირზე — ფიქრობდა ბიჭი. ბოლოს შიშველი ბეჭები ძალიან აეწვა და მტკიცედ გადაწყვიტა, სადმე ლელქაშების ჩრდილს შეფარებოდა, სანამ მზე შუბისტარს გადასცდებოდა და ცოტა მაინც მოაკლდებოდა ძალა. მოტრიალდა და უცებ ძაღლის გვერდით ჩაცუცქული, შორტებიანი და ბიჭივით წელსზემოთ შიშველი, წვერგაბანჯგვლული კაცი დაინახა. ნაპირზე გასვლა გადაიფიქრა და კაცი ეჭვით შეათვალიერა. საიდან გაჩნდა, მე ამის. საიდან მოახლოვდა, თვალი რომ ვერ მოვკარი ამ უდაბნოში — ფიქრობდა და სულ უფრო უნდობლად უყურებდა კაცს. მერე იქვე ბალახზე მიგდებული ანკესი შეამჩნია და ცოტა დამშვიდდა. თევზაობს ესეც — დაასკვნა და ისევ შეტრიალდა, ტივტივა მოისროლა წყალში.

— შენია ძაღლი? — მოესმა ნაპირიდან.

— არაა ჩემი, არხთან ამეკიდა, — უკანმოუხედავად უპასუხა ბიჭმა.

ერთხანს სიჩუმეს მხოლოდ ბაყაყების ყიყინი არღვევდა და მერე ისევ მოესმა:

— ცოდოა.

— ხო, ავადაა ალბათ, — გაეხმიანა ბიჭი.

— შეჭამენ ესენი, თუ არ მიხედა ვინმემ, — თქვა კაცმა.

ბიჭს გააჟრჟოლა:

— ტურები?

— არა, ტკიპები, — გაეცინა კაცს.

ბიჭს გაუკვირდა, მოიხედა და დაინახა, კაცი ძაღლს თხილისოდენა შავ მარცვლებს რომ აძრობდა ტანიდან, ძაღლი კი ჩუმად წკმუტუნებდა, ტკიოდა ალბათ.

— ტკიპაა ეგა? მეც დავუნახე რაღაცა შავები, — ინტერესით ჰკითხა ბიჭმა, თან გრძნობდა, ნელ-ნელა როგორ უქრებოდა უნდობლობა.

— მაგიტომაა ასე ჩონჩხივით, მთელ სისხლს და ძალას ტკიპები აცლიან, — აუხსნა კაცმა და მოულოდნელად შეეკითხა:

— საიდან ხარ?

ბიჭი ერთხანს დაფიქრდა, რაიმე ხომ არ მოვიგონო, მაგრამ ამ სიცხეში დაეზარა წარმოსახვის გაშლა და პირდაპირ მოახსენა:

— ქალაქიდან გადმოვედი საცხოვრებლად. აქ უნდა ვისწავლო აწი.

კაცი ძაღლს მოეშვა და ბიჭი ინტერესით შეათვალიერა:

— ხოო? მეც ქალაქიდან გადმოვედი.

შენ რაღატომ გადმოხვედი და საერთოდ, ვინ ჯანდაბა ხარო — კინაღამ ჰკითხა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. სულ არ მკიდია, ვინაა და რატომ გადმოვიდა? — დაირწმუნა თავი და თევზაობა გააგრძელა, თუმცა ტივტივა ისევ გაუნძრევლად ეგდო წყალში.

საათზე მეტხანს იდგა ასე და ბოლოს ძალიან დაიღალა, ჩამოჯდომა მოუნდა. არც თევზი უახლოვდებოდა სატყუარას. ხანდახან ნაპირისკენ იხედებოდა, სადაც კაცი კვლავ მოთმინებით და დაუღალავად აცლიდა ძაღლს ტკიპებს. ბიჭმა ტივტივა ამოიღო, ნაპირისკენ გასწია და მოულოდნელად წყალში ჩაემხო პირქვე: ვერც კი შეამჩნია, ისე ჩაფლულიყო მუხლამდე შლამში. სწრაფად წამოხტა დარცხვენილი და კაცს გახედა, მაგრამ ის ისევ ხმაგაუღებლად აგრძელებდა თავის საქმიანობას. ბიჭმა გადაწყვიტა, ვერ შემამჩნიაო ალბათ, და ნაპირზე გავიდა.

— ჩაეფალი, ხომ? — უბრალოდ, გაუღიმებლად თქვა კაცმა, — ეგრე იცის თევზაობამ.

— რაის თევზაობამ, ვერაფერი დავიჭირე, — ხელი ჩაიქნია ბიჭმა და ძაღლის გვერდით ჩაცუცქდა ისიც.

— რას დაიჭერდი, ამ ტბაზე აღარაა თევზი კაი ხანია, — გაეცინა კაცს.

ბიჭს გაუკვირდა:

— აბა, ანკესი რო გაქვს შენც? — თან ენაზე იკბინა, თქვენობით უნდა მიმემართაო, მაგრამ რატომღაც ასაკობრივ ზღვარს ვერ გრძნობდა მათ შორის, და საერთოდაც, სულ უფრო და უფრო მოსწონდა.

კაცი ძაღლს შეეშვა და აუხსნა:

— თევზაობა მიყვარს, თორემ ისე ვერ ვიტან თევზს.

— აჰა, გასაგებია, — ჩაილაპარაკა ბიჭმა, თუმცა ვერაფერს მიხვდა. მერე ძაღლს გაუბედავად შეუყო ხელი ბალანში, ერთ მსხვილ ტკიპას წაავლო ხელი, გააცალა და ზიზღით მოისროლა ტბაში. ძაღლმა ხელი გაულოკა.

* * *

მოდიოდა ხრიოკზე, წყურვილით პირი უშრებოდა, თან შოდა და დედის გაკეთებულ ცივ აჯაფსანდალს და კოკა-კოლებით გამოტენილ მაცივარს ნატრობდა. უცებ გაღმა სერიდან ტურის კივილი შემოესმა და განუყრელი სანთებელა ინ-

სტინქტურად მოისინჯა ჯიბეში, თუმცა ჩანთაშიც ეგდო სათადარიგო. ამასობაში ეულ ტურას სხვა ტურებიც აჰყვნენ და მთელი ჰორიზონტი აკივლდა თითქოს. ბიჭმა იქვე შორიახლოს, მზისგან გამომხმარი რამდენიმე დაბალი ბუჩქი შენიშნა. სწრაფად მივიდა, ბუჩქებთან ჩაიცუცქა და ხელის კანკალით შეეცადა სანთებლით ცეცხლი მოეკიდებინა, მაგრამ ქარი ძლიერდებოდა და სანთებელა უქრებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაუკიდა ტოტს და ქარმაც ნელ-ნელა ჯერ ხმელ ბალახს, და შემდეგ სხვა ბუჩქებს გადასდო ალი, ფართო კოცონი გაჩაღდა და ბიჭს შიში გაუქრა. კოცონის შორიახლოს ფეხი მოირთხა და ალს მიაჩერდა: ბუჩქები და ბალახი სწრაფად იწვოდა და დიდხანს ვერ გაძლებდა კოცონი, მალე ჩაქრებოდა. ბიჭი ფეხზე წამოდგა და გზას გახედა: იქნებ ის მეთევზეც აქეთ მოდისო, მაგრამ კაცის ჭაჭანი არ იყო არსად. ამასობაში ცეცხლი თანდათან ქრებოდა, მზეც ჰორიზონტს უახლოვდებოდა, ბიჭმა კი იცოდა, ტურები სწორედ მოსაღამოებულზე რომ მოუახლოვდებოდნენ არხს. ისიც იცოდა, ტურაზე მშიშარა ცხოველი რომ არ არსებობდა, მაგრამ ბაბუის მონაყოლიც კარგად ახსოვდა — ზამთარში თავის ყაზარმაში მიმავალი მთვრალი ჯარისკაცი შეჭამესო ტურებმა ამ მინდვრებზე. უცებ შეამჩნია, ყმუილი რომ აღარ ისმოდა. ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა, მარტო ქარი დაჰქროდა ველებზე და ნაცეცხლარზე ადენილ თეთრ კვამლს აქეთ-იქით ფანტავდა. შემდეგ ზემოთ აიხედა და დაინახა, როგორ სწრაფად ფარავდა ცას ნაცრისფერი ღრუბელი, რომელშიც ხანდახან ელვა კვესავდა. ბიჭმა ჩანთა აიღო, ლერწმის ჯოხს ძუა მოხსნა და შეინახა, ჯოხი კი დატოვა იქვე და გზას გაუყვა. ქუხილი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ეყურებოდა, უკვე ზედ თავზემოთ, და წვიმის პირველი წვეთებიც დაეცა. მიდიოდა სწრაფად და დროდადრო უკან იხედებოდა იმედით: დამემგზავროსო იქნებ ვინმე, ან ის წვერგაბურძგნილი ტიპი, ან თუნდაც ყვითელი ძაღლი მაინც გამოჩნდესო სადმე. ამ დროს იქაურობა დღესავით განათდა, ჰაერში ოზონის სუნი დატრიალდა და მალევე ისეთი იქუხა, რომ ბიჭი გზაზე ჩაიცუცქა და თავზე ხელები წაიფარა. ქალაქში არც ქუხილს აქცევდა ყურადღებას და არც ქარიშხალს, ჩართავდა კომპიუტერს და თამაშობდა, მაგრამ აქ, ამ უდაბურ მდელოებზე სხვაგვარად იყო საქმე, არც თავშესაფარი მოჩანდა სადმე და ბიჭს ცხოვრებაში პირველად ეწვია მარტოობის და მიუსაფრობის განცდა, და უმწეობისგან ცრემლები მოაწვა ყელში. ამასობაში კოკისპირულმა წვიმამაც დასცხო და მიდიოდა მთლად გალუმპული, ხანდახან ფეხსაცმელზე აკრულ ტალახის კოშტებს დაიბერტყავდა და ისევ მიდიოდა. უცებ გორაკიდან გამოჩრილი, გადაჭრილი ნავთობსადენი მილი შეამჩნია და იქით გაეშურა. მიუახლოვდა, შეათვალიერა, ბოლოს კიდეზე ხელი წაავლო და შიგნით შეძრომას შეეცადა, მაგრამ სველ რკინაზე ხელი ვერ მოიკიდა და ძირს მოადინა ბრაგვანი. ბედს არ შერიგებია, მეორედაც სცადა და ამჯერად მიზანს მიაღწია, მილში შეძვრა და შიგნით მყუდროდ მოკალათდა.

* * *

დედა სამსახურში იყო; მამა, როგორც ყოველთვის, სარდაფში ჩხირკედელაობდა და ბიჭმა დრო იხელთა, სააბაზანოში შევიდა და საშხაპის გვერდით კედელზე მიმაგრებულ დიდ გაზის გამათბობელს — „კალონკას“ მიადგა, ქვეშიდან ბრტყელტუჩა შეუყო, კარგა ხნის წინ შეგულებული ჭანჭიკი მოხსნა და ჯიბეში ჩაიდო, თან გულდასმით შეამოწმა რაიმე ხომ არ ზიანდებოდა, მაგრამ გაზის მილები სულ სხვა მხრიდან შედიოდა და გამოდიოდა, ამ ჭანჭიკის გარდა კი მისი მსგავსი რამდენიმე ჭანჭიკი მოჩანდა გამათბობელზე და ბიჭი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ერთი ჭანჭიკი თუ დააკლდებოდა ამ გაუგებარ მექანიზმს, არაფერი დაშავდებოდა. თანაც, მის სამეგობროში უკვე ყველას არბალეტი ჰქონდა, მარტო თვითონ ეჭირა უხეიროდ ნაჩორკნი, მამამისის მიერ გაკეთებული მშვილდისარი და არბალეტის ასაწყობად სწორედ ასეთი დეტალი აკლდა მარტო, რომელსაც ვერსად მიაგნო და ბედზე ამასწინათ შემთხვევით გადააწყდა გაზის გამათბობელზე. საქმეს მორჩა, გამათბობელს ხელი

დაუტყაპუნა და სრულიად დამშვიდებული შევიდა თავის ოთახში, ჭანჭიკი უჯრაში შეინახა და კომპიუტერს მიუჯდა. ცოტა ხანში გაიგო, როგორ შემოვიდა მამამისი სახლში და ონკანი მოუშვა. მერე ბიჭის ოთახში შემოიხედა და უთხრა: — შენ სულ ასე უნდა იჯდე კომპიუტერთან? გადი გარეთ, ნახე, გაზაფხულის რა მშვენიერი ამინდია, გაიარ-გამოიარე! ბიჭს არც შეუხედავს, ისე ჩაილაპარაკა: — ხო, კაი, გავალ მერე, — და თამაში გააგრძელა. მამა ერთხანს დაფიქრებული უყურებდა, შემდეგ თმა აუჩეჩა: — წავიდეთ ხვალ სათევზაოდ? ბიჭი შეყოყმანდა. თევზაობა არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ მამა უყვარდა ძალიან და არ უნდოდა, ეწყენინებინა. ბოლოს უნდილად ამოღერღა: — ხვალ ონლაინ შეკრება გვაქვს გეიმერებს. გეგმას ვაწყობთ, ბოსი უნდა მოვკლათ ხვალ. თან მამას გახედა ფრთხილად. მამა ხმაგაუღებლად, სევდიანად შემოჰყურებდა. მერე ჩუმად თქვა: — აჰა, ბოსი უნდა მოკლათ ესეიგი... კიბატონო, რა გაეწყობა, მაშინ მარტო წავალ. ბიჭმა უცებ წარმოიდგინა წყლისპირზე სულ მარტო ჩამომჯდარი მამა და გული მოეწურა, მაგრამ მონიტორისთვის მაინც არ მოუშორებია თვალი. მამა ოთახიდან გავიდა და კარში თავისთვის ჩაილაპარაკა: — ეჰ, შვილო, შენხელა რომ ვიყავი... შენხელა რომ ვიყავი... თან კარი გაიხურა და გავიდა. ბიჭს ისე შერცხვა, ყურები გაუხურდა. წამით დაუძლეველი სურვილი მოეძალა, მიეგდო სადმე ჯოესტიკი, გასულიყო გარეთ და ევლო, სულ ევლო, ევლო, საითაც გაიხედავდა, რომ მერე მამამისივით, მძიმე-მძიმედ შემოსულიყო სახლში, ჩექმებზე ტალახაკრული, კოცონის კვამლის სუნით აქოთებული, ქარში აქერცლილი სახით და ჰორიზონტებჩამდგარი მზერით... მაგრამ მის თითებს ისევ ჯოესტიკი ჩაებღუჯა მაგრად და ბიჭმა გაიფიქრა: — სისულელეა. გარეთ ყველაფერი სისულელეა. და გააგრძელა თამაში.

ის-ის იყო, კვლავ შეიყოლია თამაშმა და სულ გადაავიწყა მამამისიც და თევზაობაც, გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა, მთელი სახლი იძრა და ბიჭი რაღაც ძალამ წინ გაისროლა. ერთხანს ხალიჩაზე იყო გაშოტილი და მერე წამოდგომას შეეცადა, მაგრამ თავბრუ დაეხვა, ისევ მუხლებზე ჩაიჩოქა და არწყია. შემდეგ მოახერხა და ნელ-ნელა ფეხზე წამოიმართა, თავისი ოთახის კარი გამოაღო და იმწამსვე სახეში ეცა ცხელი ბუღი და მტვრის კორიანტელი. გაურკვევლობამ და აუტანელმა შიშმა მუხლები აუკანკალა, თუმცა მაინც განწირულად, ბანცალ-ბანცალით და ხველებით მიიწევდა სადარბაზო კარისკენ. ამ დროს არაადამიანური ღრიალი შემოესმა და ადგილს დაეყინა, ლოჯიისკენ გაიხედა და გაარჩია, სასტუმრო ოთახის და ლოჯიის გამყოფი შუშაბანდი საერთოდ რომ გამქრალიყო, სააბაზანოს ნაცვლად კი ცეცხლის კედელი გიზგიზებდა. იდგა და სიზმარში მყოფივით, უაზროდ, გაუნძრევლად მისჩერებოდა ცეცხლს. უცებ ალში რაღაც მოძრაობა შენიშნა და კვლავ მოესმა ყურისწამღები, არაადამიანური ღრიალი. მა, — თქვა ბიჭმა და შუშის ნამსხვრევებით მოფენილ იატაკზე ჩაიკეცა. მა, — დაიჩურჩულა ისევ, სანამ გონებას დაკარგავდა.

* * *

რამდენჯერ უცდია, გონების მთელი დაძაბვით, მთელი თავისი ბავშვური ძალით რამდენჯერ გამოუხმია მეხსიერებიდან რაიმე სხვა, ნებისმიერი, ან სუნი, ან თვალები, ან ხელები — გამოუწელია ძლივ-ძლივობით სადღაც შორიდან, თითქოს მოუახლოვებია კიდეც, მოუწევია სულ ახლოს, და ის იყო, გაუჩნდებოდა კანის ამხორკლავი რწმენა და იმედი, ის იყო, სადღაც გადაიკარგებოდა ეს ყოვლის წამლეკავი დანაშაულის შეგრძნებაც, რომლისგანაც საწოლიდან წამოდგომაც არ უნდოდა ხოლმე ბიჭს, რომლისგანაც, საერთოდ, არც გაინძრეოდა, მოძრაობაზეც კი უარს იტყოდა საერთოდ, რომ არა დედა, რომ არა დედამისის სიბრალული — რამდენჯერაც მოიახლოვებდა მამამისს ისევ, ცოცხალს და ნამდვილს, სწორედ ამ დროს ამოიმართებოდა რაღაც კედელივით მისი ქვეცნობიერიდან და აეფარებოდა ყოველს, სადაც მამა იგულისხმებოდა, აეფარებოდა და ნელ-ნელა აწვებოდა და ჩქმალავდა, მიათრევდა სადღაც უკუნეთში ყველა მოგონებას, ამის გარდა — ამ წყეული ცეცხლის ალის გარდა... არც დედამ, არც ბებიამ და ბაბუამ, არც იმ სათვალიანმა ტიპმა, ძალიან ჭკვიანი რომ ეგონა თავი და ბიჭს ათასგვარ სისულელეებს ეკითხებოდა — არავინ იცოდა, ბიჭს რომ აღარ შეეძლო მამამისის გახსენება, თუ არა ასე, ამგვარად: მხოლოდ ცეცხლში მოდიოდა მამა, მხოლოდ ცეცხლის ალით შეეძლო ბიჭს მისი გამოხმობა, სულ იოლად და თავისუფლად...

ცა ფეხად ჩამოდიოდა, წამდაუწუმ შუაზე სკდებოდა თითქოს მთელი ცა, და ბიჭი მილიდან ხედავდა, დღესავით რომ ჩახჩახდებოდა დროდადრო იქაურობა. ასეთ ავდარს არ გადასწყდომია არასოდეს; ქალაქური უწყინარი ქუხილი ამ მეხთატეხასთან შედარებით ტუალეტის ბაკიდან წყლის ჩაშვების ხმას ჰგავდა, და ასეთი პეიზაჟებიც აპოკალიფტურ საშინელებათა ფილმებში თუ ენახა მარტო, და ეშინოდა ბიჭს, ცივ რკინაზე ჯდომითაც იყინებოდა და თავადაც ვერ ამჩნევდა, ყოველ დაქუხებაზე თავისდაუნებურად მილის სიღრმეში რომ ჩოჩდებოდა, და რაც უფრო მეტად ინაცვლებდა შიგნით, მით უფრო უნელდებოდა შიში და სიმყუდროვის განცდა ეუფლებოდა. სულ აღარ იხედებოდა გარეთ, სადაც მილის შემოსასვლელი მრგვლად ეკიდა უსასრულო წყვდიადში, სხვა პლანეტასავით. სანთებელა აანთო და ალს მისჩერებოდა, სანამ არ გახურდა სანთებელა და თითები არ დაეწვა. ცოტა რომ გაგრილდა, ისევ სცადა ანთება, მაგრამ ვეღარ აანთო — გაზი გასთავებოდა უკვე, მეორე, სათადარიგო სანთებელა კი გარეთ ეგდო გალუმპულ ჩანთაში. ბოლოს ოთხზე დადგა და ხოხვით შეუყვა მილს სიბნელეში; გორაკის სიღრმეში შედიოდა, სადაც სულ უფრო დაგუდულად და ყრუდ აღწევდა ხმა გარედან, და მიხოხავდა ბიჭი სიწყნარისკენ, სიმყუდროვისკენ.

— გამოდი გარეთ! — მოესმა უცებ ძალოვანი, მკაცრი და მჟღერი ხმა, ექოდაკრული — თითქოს უხმობდა თავად სამყარო. ბიჭი გაიტრუნა.

— გამოდი გარეთ! გამოდი გარეთ! გამოდი გარეთ! — ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა, მთელ მილს ავსებდა და ბოლოს ბიჭი დაემორჩილა ხმას, შემოტრიალდა და მილს უკან გამოუყვა ხოხვით. გასასვლელს რომ მიაღწია, მრგვალ დისკოში წვერგაბანჯგვლული თავი გაარჩია.

— ეს ხო ისაა, — იცნო ბიჭმა და თავადვე გაუკვირდა, ისეთი შვება იგრძნო. საჭირო ყოფილა ადამიანი გვერდით, ავდარში. შემდეგ მილიდან ჩახტა და კინაღამ ზედ დაეცა დიდ ძაღლს.

— არ გიკბენს, ნუ გეშინია! — დაუყვირა კაცმა და ერთიანად გალუმპულ ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა. ძაღლმა კუდი გააქიცინა და ბიჭმა შეამჩნია, რომ სულ არ გამოიყურებოდა ისე უბედურად, როგორც დილით არხთან მოჩანდა. მერე კაცი შეათვალიერა ელვის შუქზე. ისე არიან, გეგონება სადმე მყუდრო ოთახში ისხდნენ ბუხართან — გაიფიქრა ბიჭმა და პატივისცემა იგრძნო ორივეს მიმართ.

— შენია, ხო? — კაცმა სველი ჩანთა მიაწოდა და მილს ახედა: — ეგრევე მივხვდი, აქ რომ შეეფარებოდი ავდარს.

— ხო, სიმშრალეა შიგნით, — ყვირილითვე უპასუხა ბიჭმა და გაეღიმა.

— კაია ხომ წვიმაში ყვირილი? — მიუხვდა კაცი და თავადაც გაეღიმა, — არ შეიძლება, — უთხრა მერე, — როცა ქუხს, რკინასთან მიკარება საშიშია.

ბიჭმა ცას ახედა: — აქ, გარეთ უფრო საშიშია. წეღან დავინახე, მეხი როგორ ჩამოვარდა.

კაცი ყურადღებით დააკვირდა.

— დედაჩემივით რო მიყურებს, სიბრალულით — გაიფიქრა ბიჭმა და ბრაზი მოაწვა.

კაცმა თვალი აარიდა და ღრმად ჩაისუნთქა რამდენჯერმე. შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, მაგრამ ბიჭმა კარგად გაიგო, რაც თქვა:

— რომ არ გეშინოდეს, უნდა შეიყვარო.

ბიჭი ერთხანს ნათქვამის გააზრებას ცდილობდა. მერე გაუბედავად ჩაეკითხა:

— ვინ, რა უნდა შევიყვარო?

— ყველაფერი! — გაუღიმა კაცმა და ხელები ფართოდ გაშალა.

ბიჭმა შეათვალიერა — ხომ არ ურიკინებს, ნეტა? — გაივლო გულში.

ბოლოს მხნეობა მოიკრიბა:

— ვინ ხარ?

— შენი ახალი სკოლის მასწავლებელი! — სულ უბრალოდ, სასხვათაშორისოდ უპასუხა კაცმა.

გაოგნებული მიაჩერდა.

— ფუ, შენი... — შეიგინა გულში. შემდეგ გაიფიქრა: — მეხუმრება, ალბათ.

გამომცდელად უყურებდა კაცს, წვიმა რომ ჩამოსწურწურებდა სახეზე და წამწამებს სასაცილოდ ახამხამებდა, და თანდათან რწმუნდებოდა, რომ არ ეხუმრებოდნენ.

— ჰოო? — ჩაილაპარაკა ბოლოს უხერხულად და გაუკვირდა თავისი სიმშვიდე; სულ არ გასჩენია დისტანცირების და სიუცხოვის განცდა, რაც აქამდე მუდამ ჰქონდა პედაგოგებთან ურთიერთობისას.

— ჰო! — დაემოწმა კაცი და ყვითელ ძაღლს დრუნჩზე წაავლო ხელი, გაეთამაშა.

— ფუ, შენი! — წამოსცდა ბიჭს ახლა უკვე ხმამაღლა და შეცბა, გაუბედავად გახედა, მაგრამ კაცს გაუთავებელი ელვის შუქზე მხიარული ნაპერწკლები უთამაშებდა თვალებში, შემდეგ კი ველარ მოითმინა და გემოზე გადაიხარხარა. ბიჭიც აჰყვა.

და მოდიოდნენ გზაზე კაცი, ბიჭი და ძაღლი. „რომ არ გეშინოდეს, უნდა შეიყვარო“ — კაცის ნათქვამზე ფიქრობდა. კოკისპირულად წვიმდა, ცაზე წამდაუწუმ ელვა იკლაკნებოდა და ქუხდა გამაყრუებლად, და ბიჭი უეცრად მიხვდა, რომ აღარასოდეს დასჭირდებოდა სანთებელა მამის გამოსახმობად. რომ ის ყოველთვის მის გვერდით იქნებოდა ისედაც: წვიმაშიც, ქუხილშიც, ტურების ყმუილშიც...

სანთებელა შეუმჩნევლად ამოიღო ჯიბიდან და გზაზე დააგდო.

ლია
სტურუა

* * *

უელფერო ზაფხული, ერთნაირი დღეები,
მტვერიც კი ერთ სისქეზე ადევთ,
გადაწმინდავ, მოცულობას უპოვი სივრცეში,
სევდიან საგნებს მიიღებ,
მიტოვებული სახლის სუნი აქვთ...
ზაფხულის კანონები მკაცრია,
ელფერები და შესწორებები კონსტიტუციაში!
ვერ დაუშვებ? იჯექი
და ცაში ბზარები ითვალე!
საყოველთაო ჭერის ილუზია ტკბილია
და დღეებს თუ ვერ არჩევ ერთმანეთისაგან,
სანიშნი ჩაუდე, როგორც წიგნში,
მუსიკა რომ შეწყდება
და ყურიდან ყვავილი ამოგივა,
რამე ასეთი. ერთ გვერდს გადაშლი, არაფერი,
მერე ისევ, ისევ და უცებ,
რომელიმე სამშაბათსა და ხუთშაბათს შორის
ლექსის მწკრივი ამოვარდება —
შენი საკუთარი კონსტიტუცია!

აბა, სხვა რა?

როცა ზურგსუკან ანგელოზი არ გიდგას,
პატარა, სკამისხელა, ლირიკულად მოტივირებული,
მარტოობას დაობებული პურის გემო აქვს,
შიგადაშიგ, ისტერიკის...
ყურებში კონსერვატორიას იტენი,
აუცილებელი საშუალო კონცერტებით,
სცენა რომ აფეთქდეს, იქამდე
ფორთხვით მიდიან, თუ ისტერიკის წვეროდან
კავკასიონის ქედს დაინახავ, ფრენით!
უბილეთო, უადგილო, შეუსაბამოდ ჩაცმული,
ფრთები, მაინც, გეტყობოდეს,
შთაგონებას დააბრალებენ, აბა სხვა რა?
შიდაწვის ძრავებს ღმერთი
ასე იოლად არ არიგებს.
და თუ ცეცხლი მუცლიდან გეწყება,
როგორც შვილი და თავში გრძელდება?
ეს ვინც იცის, მინაში წევს, ან მარტო დადის,
მათ გარეშე ისე რა ცხოვრობ:
მარტოობას დაობებული პურის სუნი აქვს,
ისტერიკაც რაა? ელვარება და დრო ახუნებს,
ის ქედიც, უკვე, არაფერში არ წერია,
მაშინ თუ გაგახსენდება,
როცა თოვლიან სიზმარს ხედავ...

ოპერაციის წინ

მაგიდაზე ჩამორტყმული იდაყვი...
ტკივილიც შუქით თავდება,
როგორც ყვირილი
რომელიმე გახეული ხმოვნით?
დერეფნის ბოლოს, მართლა, ბავშვი,
რომელსაც ლამპა უნთია თავში?
ცოდვილები გაზქურით ხელში,
უცოდველები ნარგიზის ეგო-თი?
ამინდის სიპრიალეს ხორკლი არ უჩანს,
მსხვილ ფუნჯს არ გაგრძნობინებს,
ის კაცი სადღაა, მხატვარი რომ იყო,
ველარ შეხვდები?
თვითმფრინავს ისეთი ხმა აქვს,
ხერხი რომ ხავერდში შეახვიო...

თვითნებური დიაგნოზი

ლოგინს გახამებამ გადაუარა
და რამდენიმე ჩაღრმავებული
ქვეყანა გამოუჩნდა,
სახელმწიფო ენა — დუმილი,
გაღვიძებამდე, მთიან რელიეფზე გადასვლამდე,
სანამ შენი ზედა ქუთუთო
ვარსკვლავიანი ცაა, მაგრამ
თვალს გაახელ თუ არა,
ცა, ისევ, თავის ადგილზე ავარდება,
ხოლო სადაც კი გაიხედავ,
გარდაუვალი კონსილიუმი დგას
და ცდილობს თავისი დახვეწილი ლათინურით
და უძლეველი ქიმიით
ზუსტი დიაგნოზის განაჩენი გამოგიტანოს.
თუ შეგიძლია, მოატყუე, სათადარიგო თავი დაიხატე,
ღიმილი პირზე დიდი (მაინც ზაფხულია)
მისი უკუღმა მხარე რომ ყვირის
და ქაღალდს ხევს, ნაღველში ჩააწე,
მზესავით მოუხდება ლოგინის ორმოებს!
მაგრამ გარბის ეს თვითნებური ანატომია,
თავის მზიანად, სულ მისკენ რომ იყოს
მიშვერილი...
არც არასდროს მეპარებოდა ეჭვი
ჩემს მცენარეულ წარმოშობაში...

* * *

იყო კი ის ნარინჯები ტანში?
„სევდის ბაღი“ აქვე, ჭავჭავაძის გამზირზე,
ტრამვაი რომ მაჭრიდა და შენ მაკერებდი,
ერთი შეხედვით, უმეტაფორო დროში,
რომლისთვისაც არცერთი მთვარე
არ მიმიშუქებია...
საკუთარი თავის დემონტაჟს ვუყურებ
და სანამ მაჟრიალებს,
ანუ სახეზეა ჭიანჭველების ეფექტი,
ჩემი ყოფილი სიმრგვალეები,
შენი მკერდი, გალეული და შეზნექილი,
კედლობას რომ ველარ წევს,
ტვინის სიმართლეს ემორჩილებიან...
მაგრამ ხანძრების ანარქიას,
ნარინჯების გადაგვარებას — სისხლიან პროცესს
მშობლიურ სილგიზმში ვერ ჩატენი,
რომლისთვისაც არც ერთი მთვარე არ მიგიშუქებია.
ეს უკვე სევდაა
და რა შეუძლია სევდიან ადამიანს?
სტრიქონის ბოლოს წყვილი წმინდანი —
ქალური რითმა...

შაგალის კარნახით

როგორია ცაში ცხოვრება,
თითქმის, რეალისტური ტანით?
გვერდზე ქალით, შუაში ყვავილებით
რა იოლი ჰარმონიაა!
მაგრამ თუ დარბევების გამო,
როცა სისხლის მონელება ჭირს
ერთი ვედრო დაჭყლეტილი პომიდორივით?
ემიგრაცია ცაში და არავითარი ვიზების ფრიალი!
ვიოლინოების კონტრაბანდა
ძროხების მუცლებით...
თვითონაც მუსიკაზე ჩამოდებენ ნიკაპებს,
მერე დაწვებიან შემაშფოთებლად
ლურჯ ლოგინში, სიყვარული არ უთავდებათ,
არც მე ვერტიკალური ბუნების ზიდვა
რომ შეიძლებოდეს ოდნავ ირიბად, ქვეტექსტივით!
ან რომელიმე მათგანმა ციდან
რომ გადმოიხედოს და დამიძახოს!
რაც ისეთივე ტყუილი იქნება,
როგორც ჩემი პასუხი
კი, ტყუილი სამშობლოა!
მაგრამ სწორ გზაზე მოსახვევი
დაუშვი, ღმერთო! სადაც ერთი-ორი ხე
აბრეშუმის ქოლგებივით კიდევ იშლება,
ასეც ხომ შეიძლება ცაში ასვლა?

* * *

როცა ცუდად ხედავ —
მთელი ქვეყანა მინუს შვიდი,
ადამიანის ხმა უფრო გიკვდება,
ვიდრე სახე, რომელიც ლაქაა,
დაკეტილია, თვალებს ცოტა მათგანი ახელს,
მსგავსი ტემპერამენტით შეწითლებული,
ხორცის უმნიშვნელო მილიგრამებსაც
გაკვნეტენ, გტკივა...
ხმები უნივთოდ გაკლდებიან:
კრინი, ხავერდი, აბრეშუმზე
გასმული ფრჩხილი — მთელი გუნდი,
თუ წერა-კითხვით ირჩენ თავს, ქორო,
ბრინჯაოს ხელები, რომლებიც
ცნობილ ქანდაკებას აკლია და
ლოჟებს ამოსდით მუდმივი მაყურებლისგან,
ისე ლამაზად მოგახრჩობენ და ტკბილად,
თითქოს შაქარი გადაგცდა სასულეში...
მაგრამ რაღაც ღამეები ხომ დაგრჩა,
როცა ჩაიში ჩაგდებულ ლიმონის მთვარეს
მიაჩერდები ბებერი მგელივით...
ამ დროს ყმუილიც შეიძლება.

დეკადანსი

ღია თვალში მწერი შემიფრინდა
და იქ მინუს სინათლე დახვდა.
რომ მქონოდა, მართლა ვაჭმევდი?
მზეს ყურებიდან ამოვიყვანდი?
ზაფხულში მაინც, ისე ისმის,
თავს რომ დადებ
და ბალიშს ტახიკარდია ეწყება...
მუდმივი სცენა.
გინდა, ღმერთის მანქანაზე
შენი აბსურდის თეატრი შეაყენო?
არანორმალური სიყვარულები —
მწერებს რომ თავი შეაჭმევინო
და წითელი შარავანდედები გეფხანებოდეს?
მონადირე გხედავდეს, ტყვიას გესროდეს,
ამიტომაც გიყვარდეს, სანამ მიხვდები,
რომ არწივი ჭამს, თუ C ჰეპატიტი,
ღვიძლის იმპლანტაცია უკვე გამოგონილია,
სიყვარულები მოქმედი —
გამოწუწნულ ფიჭას რომ დაემგვანები
და თავისუფალი მზერებით შეივსებ თეძოებს...
აბა, რაღა იშოვება
დაკორტნილი გულ-ღვიძლის ფასად?
ყოფილი პათოსი,
სოციალური ქსელებისთვის შეცხელებული?
თუ გამაყრუებელი წითელი,
იმპროვიზაციის ნაყარ მიწაზე
რომ გაცხოვრებს, დაბრეცილ სახლში
და სწორ მიწაზე ყურძენი ჭკნება...

* * *

გეძახი, ხმა არ მყოფნის,
ყვირილის გვერდით ამოდის ხე,
ეს თუ დაინახე,
ჩემი პირის წითელი ორმოც
ნაყოფივით მიაბი,
ისეთი ცოცხალი სურათი გამოგივა,
თითქოს ჰორიზონტს არც წაუყვანიხარ
მე ნახევარი ტანი ამომაჭრეს
და დამიწუნა...
ქალაქი ხომ ადამიანების
და მანქანების მოძრაობაა,
საცერით რომ წყალი მოაქვთ,
გვერდზე და უკან გაუხედავად.
ჰორიზონტს მიბჯენილი შუბლებით,
ნახევარტკივილს შუბლი არ აქვს,
მაინც გეძახი და ყვირილის გვერდით
ხე ამოდის. ამას ხომ ხედავ?



გივი ალხაზიშვილი

* * *

აღარ თრთის ძარღვი ტკივილისაგან,
ძლივს დაუბრუნდა სხეულს სიმშვიდე,
მშიერი თვალი შეერწყა საგანს
და წამჩურჩულა, არ მოგვიშივდე.

იგრძნო თანდათან ძველი სიმწყობრე,
როცა გაათბო შინ დაბრუნებამ
და გაიფიქრა, სადაც ვიცხოვრე,
ისევ იქითკენ მიხმობს ბუნება...

ისე ჩაიკრა გულში გარემომ,
უძღები შვილი მზით დააპურა,
და თვალის სხივის უანგარობამ
ვეღარ ამოთქვა, რაც დააპირა...

* * *

ბორენა ჯაჭვლიანის ხსოვნას

ალბათ, სიბნელის სუნთქვას ისმენდი
და მიცურავდა შავეთს ბორანი,
მოკუმე ცივი და მიტკლისფერი
ტუჩები — მიწის საამბორონი.

მრავალი წელი, იქნებ არც ერთი,
წავიდა, გაქრა, ან არ გასულა,
შენ აკვნის ნაცვლად სტრიქონს არწევდი
და მომავალი გექცა წარსულად.

ახლა ვიხსენებ — იყავ თუ არა?!
მხრებჩამოყრილნი ვდგავართ კაცები,
როგორც ანკესი თუ სატყუარა,
დარჩა კალამი სისხლში ნაწები.

* * *

მორიგი ღამის კარს რომ შევაღებ,
ვშიშობ თავისთან არ დამიტოვოს
და არ წამომცდეს მოსაფერებლად
გულში ნათქვამი: შე, ანდამატო...
ვინც ჩემში ცოცხლობს და არსად მიდის,
დუმილს რომ სიღრმე არ დაამატოს.
მაფიქრებს შენი ჩუმი მიმოსვლა,
გამოჩენა და უცბად გაქრობა,
როგორც ბავშვობის თვალში მიმოზა
და აღმოჩენა, ისევ აქ რომ ვარ,
მე სულ ვნატრობდი შენს სიახლოვეს,
და შენს ძებნაში ვგავდი აკრობატს.

* * *

შენ აქ ხარ, ისიც, ვინც აქ არ არის,
ისიც, არასდროს ვინც არ ყოფილა,
უდაბნო მშვიდი და ნაქარალი
და გზაზე, ღრუბლის ჩრდილი ფოფინა,
რომ გადაივლის, შენი დარდია,
ის არ ჩაუვლის თვალწინ არავის
და სინამდვილეს, რაც აბადია —
ეს დროა — თავისთავის მპარავი...
ვიდრემდე ცოცხლობ, ეს დრო შენა ხარ
და ყოველივე გიკვირს თავიდან
და იმ შეგრძნების გიყვარს შენახვა —
უთქმელობაში რომ გადავიდა.

* * *

ის დრო, რომელიც თქვენგან გვასხვავებს,
სულ არის, მაგრამ ყველასთვის არ ჩანს,
თუ მოისურვა, წვეთს გააზღვავებს,
და გულს დატოვებს, თითქოს რომ დარჩა.

ეს ალბათობა იქცა კონცეპტად
და დროს მიჰყვება მუდამ ცვალებადს,
სხვა ვერაფერი გააოცებდა,
მაგრამ სიტყვები ექცა თვალებად!

დაჯდა სიპზე და ქვის გაგრძელება
აღარ ისურვა და არც დახრილა,
ის ღვინოსავით გრძნობს დაძველებას,
დახუჭა სიტყვა და გაახილა.

* * *

ჩრდილში საბრალოდ ამოსულ ყვავილს
ამომავალი მზეც ემალება
და გზის ნაპირას ბებერი ყვავი
ათვალიერებს, რაც ევალება...

იგი აგრძელებს თავის ბრძნულ ყვა-ყვა
და სიმშვიდეში ჩნდება ბზარივით,
ახალი ბზარი ძველ ნაბზარს გაყვა,
ყვავივით ბნელი და აბეზარი.

შენი თვალები ავსილი სივრცით
სულ უნებლიე სიტყვებს დაეძებს
და თვალის ფსკერზე ჩარჩენილ ციმციმს
ეყრდნობი წუთით, რომ არ დაეცე.

ნაცნობ კედელსაც იცნობ ძმობილად
და ჰაერივით შენს სიახლოვეს,
შენი თამაში გეში ყოფილა
და უცნობშიაც ეძებ ახლობელს.

* * *

თვალში რომ სხივმა გაიელვა —
ის გარედან არ შემოსულა,
სულ უმიზეზოდ განათდა შენში,
შენ ხომ არ იცი, შენი თვალით ვინ იყურება,
ან ვინ უბოძა ეს თვალი შეშლილს?!

შენი სიშორე და სიახლოვე,
დროდადრო ისე შორიახლოობს,
რომ ზოგჯერ სათქმელს ჩურჩულებს სისხლი
და საკუთარ თავს აღარც დაეძებ,
გაჯერებული სიმშვიდის მისხლით.

რადგან არც გახსოვს გქონდა თუ არა...
ვინ გიშუშებდა კლდეზე ნაწოლებს,
ან რა იცოდი, დროს მატყუარას
ობლის ცრემლი თუ აწონასწორებს.

* * *

ვპოულობ დღეებს ჩვენი ზაფხულის,
ბალახის სუნით და სიტყვის ნიშნით
და მეჩვენება, რომ ახლით ვიშვით
და ჩვენს მკლავებში დავრჩით ჩაფლული.

გამეორებულ დროის ტაქტიდან
ვჭვრეტ ანბანივით ნაცნობ ნაკვალევს,
ჩემი ბავშვობა ჰგავდა აკვარელს,
როცა უსიტყვო ცრემლით ატირდა..

დრო ბალახია და თან სათივე,
ამოდის, ხმება, ისევ ამოდის
და როცა ყველა თვლემს საღამოთი,
მას გული უცემს მზის საათივით.

* * *

აღარ მომწყინდა საკუთარი თავის ტარება
გზაზე, რომელიც არსად მიდის
და არსად წასვლის სიღრმეში თვლემს
პირობითი ბედნიერება...

მოდით, ჩიტებო, ჩემს თვალებში აშენეთ ბუდე,
ან სულაც ჩემში შემოფრინდით და იფრთხიალეთ,
ჩემი ხმოვნები იქნება თქვენი ფრთების ჰაერი
და გალიაში კი არ იგრძნობთ თავს,
არამედ ცაზე უფრო ღრმა ცაში,
მხოლოდ ფიქრებზე ჩამოსხდომა მოგიწევთ ზოგჯერ
და შემოდგომის სიახლოვე
სამხრეთისკენ როცა მოგიხმობს,
გქონდეს იმედი,
როგორც შარშან გამოისხამ სიმშვიდის ფრთებს
და გულისწორთან ერთად ფრთებს გაშლი
და შვილების გულისცემა სამხრეთისკენ აგედევნება,
იქითკენ, სადაც იბადება მუზიცირებით აღსავსე გული
და იგი ყველა მიზიდულობას აღემატება...

* * *

ღრმად ჩავიმალე შენში,
ისე ღრმად, რომ თავს ვკარგავდი
და ჩვენი პოვნა გულისცემას თუ შეეძლო,
და სხვას არავის და აღარაფერს,
მეუთვალავედ იშვა უფსკრული,
საამო ბინდი მიეფინა თვალის დარაბებს.
ხმადარცხვენილი შენი ბგერები
ამომავალ წუთს მზეს ადარებენ...

* * *

შენ წასვლის შემდეგ აქვე დარჩები
და ვეღარაფერს თვალს ვერ შეავლებ,
შენთან გაზრდილი დროის ნარჩენი
უმისამართოდ გაიშრიალებს.

გულშია შენი სიტყვით ნავნები,
ტკივილის ბგერა ჩაისახება,
შეკედლებია ცას აივნები,
გინდა, არც გინდა გულის გაღება.

დრომ თავისთავი ისე შემუსრა,
რომ აღარ ჰქონდა ყადრი არაფრის,
ქარი არჩია თავის ემისრად
ცხელი სუნთქვით და ქვიშის ანაბრით.

იქ გადამალა ყველა სტრიქონი,
გავეშებული ხმა აგონიის
და უდაბნოში მქროლავ სტიქიას
შემოჰყვა შალი ეშმას ნაქონი.

კარი

„მე კართან ვდგავარ,
სადაც ვდგავარ, ყველგან კარია“...

ისევ წამომცდა, დიახ, მე დრო ვარ,
მეც ხომ გავდივარ,
ფულთან ერთად დროსაც ვსესხულობ,
სიმარტოვეში გამოკეტილს მიყვარს შეთრობა,
და უფრო შენი სუნამო რომ ჰაერს ესხუროს.

მივხურავ კარს და თვალს შევავლებ სივრცეს საკუთარს,
სადაც ხანდახან გამოკეტილ დროში ვისვენებ
და მიკვირს ჩემი მშვიდი სახლი ვინ ააქოთა,
ნუთუ, ისინი ღამღამობით ისევ გვისმენენ?!

იგი ხომ გაქრა, შორიახლოს მობორიალე
იყო თუ არა, ვეღარავინ ვეღარ მოძებნის,
ობოლი იყო, ახლა აღარც ობოლი არის,
ქარმა წაიღო და გაფინა მისი ძონძები.

თუ რამე მშველის, ჩემში მზარდი ანბანი არის,
გულში რომ ვმალავ და მის ნახვას დღემდე მოველი
და აქვე ცხოვრობს უცნაური ადამიანი,
და მის სამყოფელს იმედივით ეძებს ყოველი!

თითქოს ოდესმე შემკრთალ სუნთქვას არ მოეტანოს
ის ვიბრაცია, გულისცემის ხმა რომ ინახავს,
უნდა გაუძლო ამ სიღრმეებს და აიტანო,
და გაუმხილო საკუთარ თავს, მართლა ვინა ხარ?!

მჭირს სიბრალულის აღმოხდომა, გულს რომ აჩქარებს —
უთბილეს ბგერებს, უნებლიე სმენით მოკრეფილს,
უცნობი ნება შეატოვებს ისევ ამ ქარებს
და სიბნელეში იშლებიან ღამის კოკრები.

მე კი არ ვეძებ, ის მპოულობს, მე ვინც მეძებდა
და კვალში მიდგას გაყურსული, ვერ ძლებს უჩვენოდ,
ათასწლეულის სხივი ისევ თვალს აცეცებდა,
რომ მიტოვებულ სიმარტოვეს გული უჩვენოს.

თქვენ, სიბნელეში უსახურად მიმოფანტულო —
გათენდება და თქვენს აჩრდილებს დილა წამოკრეფს,
შენ ტანს ამსგავსებ იმ გოგონას, ჩემო ფანდურო,
ჩამოჰკრავ სიმებს და ღიღინით დროს შეამოკლებ.

და ახლაც ისე ვწერ, თითქოსდა უკანასკნელად,
ყოველი წუთი კვალს კარგავს და სიტყვას ინახავს,
როგორც ბილინგვას, სამომავლოდ რომ გაინასკვა
და ამ სიტყვაში რომ შედიხარ, ისევ შინა ხარ.

„მე კართან ვდგავარ,
სადაც ვდგავარ, ყველგან კარია“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

შარავანდი ჯოზეფ კონრადისა

გზაბილიკად სალმან რუშდისა და არუნდატი როისათვის

— ახლა რამე სახელიც უნდა მოვიგონოთ, — ურჩევდნენ პოლიციელები სალმან რუშდის.

მწერალს ფსევდონიმი უნდა აერჩია, თანაც სასწრაფოდ და აუცილებლად.

სასწრაფოდ და აუცილებლად რატომ, ანდა ეს პოლიციელები რაღა შუაში იყვნენ მწერლის ფსევდონიმის არჩევასთან?

„ეშმაკეული აიების“ დაწერას არ აპატიებდა რუშდის აიათოლა ჰომეინი და... სულაც სიკვდილს მიუსჯიდა ისლამის, წინასწარმეტყველისა და ყურანის წინააღმდეგ მიმართული რომანის შექმნისათვის.

პირველად მაშინ უნდა გაეგონა მწერალს სიტყვა „ფათვა“.

ულმობელი განაჩენი გამოტანილიყო:

ვინც თავს სდებდა მართლმორწმუნე მაჰმადიანობაზე, შეეძლო სიცოცხლე მოესწრაფებინა სალმან რუშდისათვის, სადაც წააწყდებოდა. ის კი არა, საგანგებოდაც მოეძებნათ და მწარედ ეზღვევინებინათ...

დევნილის ყოფა აიძულებდა მწერალს, გაუთავებლად ეცვალა ადგილსამყოფელი და პოლიციელთა დაცვის გარეშე ფეხიც არ გადაედგა.

მაშინაა, ფსევდონიმის შერჩევაზეც რომ დააფიქრებდნენ.

ამასაც დასძენდნენ: აზიური ყაიდისა არ ივარგებს, ემანდ ვინმემ რამე არ იგუმანოსო.

ისიც საყვარელ მწერალთა გვარ-სახელებს გადახედავდა და ათასნაირ შეჯვარება-გადაკეთებას მიჰყოფდა ხელს: ეს ვლადიმირ ჯოისიო, ეს მარსელ ბეკეტიო, ეს ფრანც სტერნიო...

და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: ძალიან სულელურად მოისმისო.

მაგრამ ძიებას მაინც გააგრძელებდა, გააგრძელებდა და... ბოლოს ჯოზეფ კონრადისა და ანტონ ჩეხოვის გვარ-სახელთა თავისებურ კომბინაციაზე შეჩერდებოდა: ჯოზეფ ანტონი.

და შვებით ამოისუნთქავდა: თითქოს არა უშავსო.

— ძალიან კარგი, — მოუწონებდნენ მცველებიც, — შეიძლება უბრალოდ ჯო დაგიძახოთ?

მოკლედ, ამაზე შეთანხმდებოდნენ.

მთელი ცხოვრება გამოგონილ გმირებს არქმევდა გვარ-სახელებს სალმან რუშდი, ამჯერად კი თვითონ უნდა ქცეულიყო არარსებული გვარ-სახელის მატარებლად.

კონრად ჩეხოვი? არა, არაფრად ივარგებდა. აი ჯოზეფ ანტონი კი... მართლაც შეიძლება არსებულიყო და... აჰა, უკვე არსებობდა კიდეც.

მოგვიანებით ამ გვარ-სახელით გამოქვეყნდებოდა სალმან რუშდის ავტობიოგრაფიული რომანი, რომელიც ხელმისაწვდომი გახდებოდა ქართველი მკითხველისთვისაც მთარგმნელთა ტანდემისა — ზაზა ჭილაძე და გია ჭუმბურიძე — და გამომცემლობა „დიოგენეს“ წყალობით, და რომელიც მხატვრული ძალმოსილებით აშკარად აღემატება „ეშმაკეულ აიებს“: დრამატიზმითაც, ექსპრესიითაც, ხასიათთა გამოკვეთითაც და ფონის უჩვეულობითაც და სიღრმითაც, საბოლოოდ ყოველივე კომპოზიციური ხელოვნებით მარჯვედ რომ იყრის თავს, აღარაფერი რომ არც ითქვას მწვავე პოლიტიკურ ქვეტექსტებსა და საპროტესტო სულისკვეთებაზე უსამართლო დევნის წინააღმდეგ, რაკიღა „ეშმაკეული აიები“ არ ყოფილა მიმართული ისლამის, წინასწარმეტყველისა და ყურანის დასამცირებლად თუ სახელის გასატეხად.

ამას დაბრალებით თუ დააბრალებდი მწერალს — რომანის არასწორი წაკითხვის გამოისობით, ანდა ყურმოკრულით.

თუმც ეს ყოველივე სიტყვას მოჰყვა, თორემ ამ მცირე ჩანაწერის მიზანი მხოლოდ იმ ვითარების წარმოჩენაა, რაოდენ მნიშვნელოვანი სახელია ჯოზეფ კონრადი დღესდღეობითაც, აგერ სალმან რუშდი სულაც მას რომ შეეფარებოდა, და იქვე ამასაც მიადევნებდა: ბოლო-ბოლო სწორედ კონრადს დავესესხე რაღაც დევიზისმაგვარს, რაც მომდევნო წლებში ნამდვილ მაშველ რგოლად მექცაო.

შეგვახსენებდა მის არაპოლიტკორექტულსათაურიან (შემოგვღიმის კიდეც რუშდი?) რომანს „ზანგი გემ „ნარცისიდან“, რომელშიც მეზღვაური სწორედ ამ ზანგს ეკითხებოდა:

— თუ იცოდი, რომ ჭლექი გჭირდა, რაღას ჩაეწერე ამ რეისზე?

ის კი პასუხობდა:

— ვიდრე ფეხებს გაჭიმავდე, ცხოვრება ხომ გინდა?

სალმან რუშდის ახლანდელ მდგომარეობაში ეს სიტყვები რაღაც ლოცვისმაგვარ ელფერს შეიძენდა:

— ასე, ჯოზეფ კონრად, ვიდრე ჩაძაღლდებოდე, უნდა იცხოვრო, — შეუძახებდა თავს.

თავდაპირველად აპირებდა ეს რომანი ასე დაესათაურებინა — „სამყაროს უკანა კარი“, რადგან წინა კარიდან შესვლა ყველას შეეძლო, და მხოლოდ მას უწევდა — ყოველწამიერად სიკვდილის მომლოდინეს — სამზარეულოსა თუ მომსახურე პერსონალისათვის განკუთვნილი შესასვლელით სარგებლობა და ფანჯრებიდან ძრომიალიც კი...

ეს სახელწოდება მთლად გადასაგდებად დაენანებოდა და პასაჟად ჩართავდა თხრობისას, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ავტობიოგრაფიული რომანი საბოლოოდ მაინც ასე უნდა დასათაურებულიყო — „ჯოზეფ ანტონი (მემუარები)“.

სალმან რუშდი მუსულმანი კი არის სარწმუნოებით, მაგრამ დაბადებით ინდოეთშია დაბადებული, ისევე როგორც არუნდატი როი, რომლის ნახევრად ავტობიოგრაფიული რომანიც — „წვრილმანების ღმერთი“ — ასევე გამოიწვევდა აგრესიულ დამოკიდებულებას თავის სამშობლოში, მაგრამ ფათვა საერთოდ არ შეეხებოდა, რაკიღა სარწმუნოებრივი აღმსარებლობით არა ყოფილა მაჰმადიანობის მიმდევარი.

ფარზე აზიდავდა დასავლური ლიტერატურული კრიტიკა ამ რომანს, ყოველმხრივ გამორჩეულ შედევრად რომ შერაცხავდნენ და ამიტომაც ითარგმნებოდა ქართულადაც თამარ ჯაფარიძის მიერ, ამჯერადაც „დიოგენე“ რომ ითავებდა მის გამოცემას.

მწერალი შეეცდებოდა შიგნიდან დაენახვებინა ჩვენთვის ინდოეთი და არ მორიდებოდა ტაბუდადებულ თემებსაც, თავისი ერის სულის ხვეულებსა და ლაბირინთებში ჩაღწევის მცდელობისას კი საგანგებოდ უნდა შემოეტანა თხრობაში ჯოზეფ კონრადის ეს მოთხრობაც — „წყვდიადის გული“, და მისი მთავარი გმირის სახელიც — კურცი, და იქ სათაურადაც შერჩეული მეტაფორა აქ რეფრენადაც უნდა გამოჰყოლოდა სიუჟეტს, რათა მკითხველს უფრო ღრმად და კანთიელად შეეცნო ინდოეთის იდუმალება, მისი პრეისტორიული თუ ისტორიული ფესვები.

არუნდატი როის ისევე სჯერა, კონრადის ეს მოთხრობა ყველა განათლებული მკითხველისათვის რომ არის არამარტო ცნობილი, არამედ გაშინაგანებულიც, როგორც თავის დროზე ტომას სტერნზ ელიოტს არ ეპარებოდა ეჭვი ამაში, და ციტატს რომ მოიხმობდა „წყვდიადის გულიდან“ — ეპიგრაფად ლექსისათვის „კაცის ფიტულები“: მისტერ კურცი — იგი მკვდარიაო, — „ბერწი მიწის“ ერთ პასაჟს კი კონრადული ასოციაცია-ალუზიებით აავსებდა, ორივე შემთხვევაში ზედმეტად მიიჩნევდა პირველწყაროს მითითებას, რაკიღა მკითხველი ისედაც იოლად უნდა მიმხვდარიყო.

„წვრილმანების ღმერთში“ ჩაკომ ტყუპებს — ესტასა და რაჰელს — უნდა ამცნოს: სამწუხაროდ ჩვენ ყველა ანგლოფილები ვართ, ანგლოფილთა მთელი ოჯახიო.

ანუ ის ადამიანები:

მცდარი გზით რომ წავიდნენ, საკუთარი ისტორიიდან სხვის ისტორიაში გადაინაცვლეს და ახლა უკან ვეღარ ბრუნდებიან, რადგან მათი ნაკვალევი უკვე წაშლილია.

და დასძინოს:

ისტორია ღამეში გამოკიაფებულ ძველ სახლსა ჰგავს, რომელშიც ყველა სინათლე აუნთიათ და შიგნით წინაპრები ჩურჩულებენო.

ეგ ისტორია როგორ უნდა გაეგოთ?

იმ სახლში უნდა შესულიყვნენ და მოესმინათ, რაზე საუბრობდნენ მათი წინაპრები, იქაური წიგნები დაეთვალიერებინათ, იქაურ კედლებზე ჩამოკიდებული სურათები შეესწავლათ და იქაური სურნელი შეესუნთქათ.

ესტა და რაჰელი სავსებით დარწმუნებულნი არიან, რომ ჩაკო კონკრეტულ სახლს გულისხმობს — მდინარის გაღმა ნაპირზე მიტოვებული კაუჩუკის ფერმას, რომელშიც ისინი არასოდეს შესულიყვნენ; შავი საჰიბის (ბატონის), კარი საიბუს სახლს — იმ ინგლისელის, რომელიც „აბორიგენად“ გადაქცეულიყო, მალაიალამზე ლაპარაკობდა და მუნდუს ატარებდა.



— შავი საჰიბი, ასე ვთქვათ, აიემენემის ადგილობრივი კურცი ბრძანდებოდა, რომელმაც იქაურობა პირად „წყვდიადის გულად“ აქცია.

ათი წლის წინათ იგი შუბლში ტყვიას რომ დაიხლიდა (მიზეზი აქ გასახსენებელი აღარ არის, რაკიღა კონრადის მოთხრობასა და მის გმირთან საერთო არაფერი აქვს), მის ქონებაზე დიდი სასამართლო ატყდებოდა მის მზარეულსა და მდივანს შორის. მთელი ათი წელი სახლი მიტოვებული იდგებოდა და ძალიან ცოტა თუ ნახავდა, შიგნით რა ხდებოდა, მაგრამ ტყუპებს მაინც თვალნათლივ წარმოედგინათ, როგორი იქნებოდა ის სახლი.

— ისტორიის ჭეშმარიტი სავანე.

ქალმა-მიწამ საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ტყუპებზე, მაგრამ ისტორიის სავანე — იქვე, ორ ნაბიჯში რომ იყო — ბევრად უფრო მიმზიდველი და საინტერესო აღმოჩნდებოდა. იმ სავანეზე ხშირად ეფიქრებოდათ; იმ სახლზე, მდინარის გაღმა ნაპირზე რომ იდგა.

— მოღუშულ სახლზე, „წყვდიადის გულში“.

და მალევე კვლავ უნდა იელვოს ისტორიის სუნმა.

თხრობა გრძელდება და:

გაღმა ნაპირიდან ოდნავ მოშორებით ხუთვარსკვლავიან სასტუმროდ გადაკეთებული „წყვდიადის გული“ დგას.

ძირძველ ოჯახთა ეს საგვარეულო სახლები სასტუმროს მეპატრონეებს შთამომავალთაგან უყიდიათ და აქ გადმოუტანიათ, „წყვდიადის გულში“. მოკლედ, ისტორიაც და ლიტერატურაც კომერციის სამსახურში ჩაუყენებინათ და:

ნავსაყუდელთან კურცი და კარლ მარქსი ხელიხელჩაკიდებულნი დგანან მდიდარი სტუმრების მოლოდინში.

ხედავთ, რარიგ განზოგადებულა და გასიმბოლოვებულა კურცის სახელი? პერსონაჟი კი აღარ არის, არამედ რეალური პიროვნება. გული კი გწყდება, რაღა მაინცდამაინც მარქსის გვერდით ახსენოსო, მაგრამ ინდოელ მწერალს ამდენს ნუღა მოვთხოვთ.

მერე უნდა გვამცნონ, რომ ერთადერთი, რაც ყოვლისმცოდნე ველია პააპანმა არ იცის, ისაა, კარი საიბუს სახლი რომ ისტორიის სავანეა.

მერე ტყუპები მდინარეს ახალაღმოჩენილი ძველი ნავის თვალით რომ გახედავენ, იმ ადგილიდან, სადაც ისინი დგანან, ისტორიის სავანე არ მოჩანს — მხოლოდ რაღაც წყვდიადს ხედავენ ჭაობის მიღმა, მიტოვებული კაუჩუკის პლანტაციის გულში.

„წყვდიადი“ აქ თითქოს ყოფითი სურათია, მაგრამ შემზადებულნი ვართ, რომ ამ სიტყვაში არეკლილი სიმბოლო კიდევ ერთხელ აღვიქვათ, ისევე როგორც იმ პასაჟში, აიემენების ტაძარში მოცეკვავეები იმ დამცირების ჩამოსარეცხად რომ ცეკვავენ, რომელსაც წყვდიადის გულში განიცდიან, როდესაც, ლუკმაპურის საშოვნელად, უმოწყალოდ შეკვეცილ წარმოდგენებს მართავენ საცურაო აუზში მოჭყუმპალავე ტურისტებისათვის.

და მალევე უნდა შევიტყოთ წუთისოფლის ის პარადოქსიც:

დიადი ისტორიების საიდუმლო სწორედ ის არის, რომ მათში არავითარი საიდუმლო არ იმალებაო.

მერე კვლავ წყვდიადის გულმა უნდა ამოჰყოს თავი:

უნდა გაეფრთხილებინათ იქ მიმავალი მეგობარიო.

გაფრთხილება რა არის და:

ერთი ის, ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ დროს ნებისმიერი რამ შეიძლება დაემართოსო;

მეორე კი ის — ყველაფერს აჯობებს ყველაფრისათვის მზად იყოო.

მერე ისტორიასთან წინასწარ შეუთანხმებელი პაემანიც უნდა ახსენოს რომანისტმა და... აჩქარებული ნაბიჯით გაძუნძულებაც პერსონაჟისა წყვდიადის გულისაკენ, მარტოხელა მგელივით.

და აქვე უნდა მოედევნოს „დანაკარგების ღმერთისა“ და „წვრილმანების ღმერთის“ ხსენებაც, გამჭვირვალე მინიშნება, რომ „წყვდიადის გულის“ მხატვრულ მრწამსთან ახლოა „წვრილმანების ღმერთი“ — არუნდატი როი ჯოზეფ კონრადის იმ მოთხრობის ხაზს აგრძელებს, რაც ისედაც საცნაურია, ბარემ ამ დეტალითაც მინიშნებულიყო.

მერეც, პოლიციელთა რაზმი უსაშველოდ მოდიდებულ, მდორე მინაჩელს რომ გადაჰკვეთს და სველი ჯაგნარის გავლით პირდაპირ წყვდიადის გულს მიაშურებს.

მერე ამ ნეოლოგიზმმაც უნდა იჩინოს თავი:

წყვდიადგულიანებიო.

ცალკე აბზაცადაც რომ გამოიყოფოდა, რათა მკითხველს კარგად შეეგრძნო ამ ნეოლოგიზმის შექმნის მნიშვნელობაც და ღრმააზროვნებაც.

მერე კი:

წყვდიადგულიანები ფეხაკრეფით უნდა შეიპარნონ წყვდიადის გულში.

ისტორიის ხვრელიც უნდა ახსენოს მწერალმა ორჯერ, ამ მეტაფორას თითქოს ყოფითი, მაგრამ კვლავინდებურად სიმბოლური სურათი რომ უნდა მოჰყვეს: საათი, რომელიც ყველას მიავიწყდება და იქვე რჩება, ისტორიის სავანეში, მოვლე-

ნათა არასწორად აღმბეჭდავი დროით.

წერს ავტოგრაფიული ყაიდის რომანს არუნდატი როი და... თვალწინ ჯოზეფ კონრადის „წყვდიადის გული“ აღმართვია თავისებურ გზამკვლევად — საკუთარი არსებისა და თავისი ქვეყნის სულიერ ხვეულებში რომ ჩაიძიროს და დაფარულ საიდუმლოებებს მიაგნოს, ხელის შეხებისას იდუმალებას რომ ჰკარგავენ, რა-რა და სწორედაც გაინგლისელებული პოლონელი მწერლის მოთხრობა ესაჭიროება, რათა ხელისცეცებით არ მოუხდეს სვლა ფრიალოებზე, ყოველწამიერი გადაჩეხვის შიშითა და მოლოდინით.

ჯოზეფ კონრადის სახელი თილისმასავითაა არუნდატი როისათვის.

სალმან რუშდიც რა, თილისმასავით არ გამოიყენებდა, მას რომ შეეფარებოდა და შვებით ამოისუნთქავდა, ადვილად ვეღარ მომაგნებენო?!.

უკეთესი პოპულარიზატორები ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ჯოზეფ კონრადის სახელისა, ვიდრე ეს ორი ინდოელი მწერალია, ხელშესახებად რომ ადასტურებენ, დღესდღეობით თუ ვინმე, კონრადი რომ ტრიალებს მკითხველის ცნობიერებასა და სალიტერატურო მიმოქცევაში, კლასიკოსის მანტიითაც რომ შემოსილა და კვლავინდებურადაც ცოცხლობს და ფეთქავს, გავსებს და გაგულიანებს, გზას გიკაფავს სულიერი სიღრმეებისაკენ და შესაძლოა საკუთარი თავისაგან აღარც გამოგერჩეოდეს, ისე შეეთვისო და შეერწყა მის მხატვრულ სამყაროს, მის სულს, მის არსებას.

ფსევდონიმის შერჩევისასაც მას დაესესხო.

რეფრენადაც მის სიმბოლიკას მიმართო.

ასე რომ:

ჯოზეფ კონრადის ამა თუ იმ თხზულების გამოქვეყნებას — გარდა დიდებულ მწერალთა აღტაცებული შეფასებებისა: ტომას ელიოტი იქნება, უილიამ ფოლკნერი თუ ერნსტ ჰემინგუეი — ყოველთვის გვერდით ამოუდგება სალმან რუშდის ავტობიოგრაფიული რომანიც „ჯოზეფ ანტონი“ და არუნდატი როის „წვრილმანების ღმერთიც“, როგორც იმ წიგნების სულ ახალი ამწევნი ფარზე.

და რაოდენ საგულისხმოა, რომ სწორედ ასე მოხდებოდა ჩვენს ლიტერატურულ-კულტურულ სინამდვილეში: ეს ორი რომანი და ჯოზეფ კონრადის მოთხრობების კრებული — „წყვდიადის გულთან“ ერთად „პრინცი რომანი“ და „დუელიც“ რომ შედის, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობის“ მიერ მომზადებული — თითქმის ერთდროულად რომ გამოიცემოდა, პაატა ჩხეიძესთან ერთად თქვენი მონამორჩილიც რომ მონაწილეობდა კონრადის ამ სამი მოთხრობის ქართული ვერსიის შექმნაში.

თითქოს შეთანხმებულნი ვყოფილიყავით ზაზა ჭილაძესა, გია ჭუმბურიძესა და თამარ ჯაფარიძესთან, ერთდროულად შემოგვეტანა ჩვენი მკითხველის თვალსაწიერში ჯოზეფ კონრადისა და მისი ორი დიდი დამფასებლის — სალმან რუშდისა და არუნდატი როის — წიგნები.

არადა თავისთავად უნდა მომხდარიყო ასე, რაღაც შემთხვევითობით.

თუმც... შემთხვევითობით რატომ — რაღაც იდუმალი კანონზომიერებით უფრო, ერთგული მეაბჯრეებივით რომ ახლავან დიდ ინგლისელს ჩვენი დროის თვალსაჩინო მწერლები, მათთვის ისევე რომ რჩება ორიენტირად და თამასად ჯოზეფ კონრადიც და მისი მხატვრული მონაპოვარიც, როგორც უილიამ ფოლკნერისათვის, მთელი ცხოვრება რომ შენატროდა „წყვდიადის გულის“ შემოქმედს...

და როგორც ერნსტ ჰემინგუეისათვის, რომელსაც ვერაფერი, რაც ოდესმე წაეკითხა, ვერ მისცემდა იმდენს, რამდენსაც კონრადის თვითეული წიგნისაგან შეიძენდა.

* * *

სალმან რუშდის რეფრენი რომ დაესაჭიროებინა, უკეთესს რას იპოვნიდა სასესხებლად წინამორბედთა თხზულებებში, თუ არა ჯოზეფ კონრადისეულ სიმბოლოს, მეტაფორას, გამოთქმას, ფრაზას...

და არუნდატი როისათვის ფსევდონიმის შერჩევა რომ ერჩიათ გარეშე თვალისათვის დასამალად — მაინც არ აკლდა გაგულისებული მკითხველები და... არამკითხველები — თანაც სასწრაფოდ და აუცილებლად, სავსებით მოსალოდნელია, რომ ისიც ჯოზეფ კონრადის სახელს შეფარებოდა — ბარემ ბოლომდეც შენ დამიცავი, შენ მიმფარველე, შენ მემშობლიურეო.

* * *

არა, ამ იდუმალმა კანონზომიერებამ ყველაზე უკეთ რომ უწყის, როდის იჩინოს თავი, და არც ინაღვლოს, შემთხვევითობა თუ გეგონება!..

მინაწერი:

ჰარუკი მურაკამის რომანში „ნორვეგიული ტყე“ ტორუ ვატანაბემ უნივერსიტეტში უნდა გაიცნოს უცნაური ბიჭი ნაგასავა, რომელიც მათზე მეტს კითხულობს, მაგრამ ერთი წესი აქვს: არასოდეს წაიკითხოს იმ ავტორის წიგნი, რომლის სიკვდილიდანაც ოცდაათი წელი მაინც არ გასულა.

ფრიად დამაფიქვრელი მიზეზიც და არგუმენტებიც მოეპოვება საამისოდ:

— განა თანამედროვე ლიტერატურას არ ვენდობი. უბრალოდ არ მინდა, ისეთი წიგნები ვიკითხო, რომლებსაც დროის გამოცდა არ ჩაუბარებია. ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა.

— რომელი მწერლები მოგწონს? — მოწიწებით უნდა ეკითხა ვატანაბეს ამ თავისზე სულ ოთხი წლით უფროსი ბიჭისათვის.

— ბალზაკი, დანტე, ჯოზეფ კონრადი, დიკენსი, — იმას დაფიქრებაც არ დასჭირდებოდა პასუხის გასაცემად.

ხედავთ, როგორ გარემოცვაში, როგორ ოთხეულში წარმომდგარა კონრადი ჩვენი თანამედროვე იაპონური მწერლის რომანში?

სადამდეა აზიდული არამარტო პერსონაჟის, არამედ თვით მწერლის თვალშიც, მხატვრულ-ესთეტიკურ ორიენტირადაც რომ დაისახავდა მის მოთხრობებსა და რომანებს.

და თუ ვატანაბე გაიკვირვებდა ნაგასავას ამგვარ პასუხს: ვერ იტყვი, მოდური მწერლებიაო, — ის მტკიცედ ალაპარაკდებოდა და შეეცდებოდა უმცროსი მეგობრისათვის შეეგონებინა, რომ:

— როგორ გგონია, აბა, რატომ ვკითხულობ? თუ მხოლოდ იმ წიგნებს წაიკითხავ, რომლებსაც სხვები კითხულობენ, შენც დანარჩენებივით იფიქრებ. ეს სოფლელებისა და უსაქმურების სამყაროა. ღირსეულ კაცს ამის შერცხვებოდა. ვატანაბე, აქ, ამ საერთო საცხოვრებელში მხოლოდ ჩვენ ვართ ღირსეული ხალხი. დანარჩენები სანაგვეზე უნდა მოისროლო.

გარემოცვა და ასეთი?

ონორე დე ბალზაკი, დანტე ალიგიერი, ჯოზეფ კონრადი და ჩარლზ დიკენსი.

ერთი განსაცვიფრებელი ეპიზოდია ოთარ ჩხეიძის „ნაკრძალში“, ჰო, იმ ოთარ ჩხეიძისაში, რომელზეც ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა თქვა, ოცი წელი დამჭირდა, რომ წამეკითხა თუ მივახლოებოდიო. ზუსტად არ მახსოვს და არცა აქვს მნიშვნელობა, ქალბატონი ნაირა რისი მწერალია, შენ რომ გულში გქონდა და ვერ ამოგიხსნია, იმას თვითონ რომ არ მიხვდეს და არ გაფიქრებინოს, ჰო, ამას ვგულისხმობდიო. ჰოდა, იმ „ნაკრძალშია“ ერთი საოცარი ეპიზოდი: ეტიტინება სოფიკო დაქალს, ჭკუას მოუხმე, სირცხვილია, აი, უიო; ის ვაჟბატონი ცოლის ფეხებთან დამხობილა და ევედრებოდა თურმე პატიებასო და რომ გგონია, იმოქმედა ლანაზე და ჭკუაში ჩააგდო, ეს ლანა ეკითხება — როგორ, კიდევ ხდება ასეთებიო?! აბა, არაო? გაიოცებს სოფიკოც. მაშინო, თვალით მინდა დავინახოო, ჩემი თვალითო და დამანახეთ ერთი, როგორაა ცოლის ფეხებთან დავარდნაო. როგორ დაგანახოთო, შეახმება ღიმილი სოფიკოს, აი, ისევე, შუშანიკს რო აბამს ჯოჯიკის ცოლი და რო ვერ შეაბამს, ისე. ჰოდა, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, სოფიკოს წინაშე ვითომ ხუმრობით დაემხობა ჯოჯიკი, ჯოჯიკი კიარადა, გაიოზი, სოფიკოსივე ქმარი კიარა, თუმცა რო გეგონება თავიდან ქმარი, არა, უბრალოდ სამეგობროდანვე ერთერთი — გაიოზი... ვითომ ხუმრობით მიადებს თავს მუხლებზე და სოფიკო აუჩეჩავს თმებს ვითომ ხურობით ვითომ ქმარს და უყურებს ლანა, უყურებს ამ მისთვის დადგმულ პერფორმანსს. არა, ხუმრობით არა, რაღაცნაირი მზერით. აი, ის მზერა ოთარ ჩხეიძეს აქვს დიდებულად აღწერილი იმ რომანში, „ნაკრძალი“ რომ ქვია. ეს ეპიზოდი კი რა? დიდებული მწერლის კალმის მონასმია, აი, რომ გვეშინია, ვთქვათ, რომ დიდი მწერალია ოთარ ჩხეიძე, ამ დიდი მწერლის კალმის მონასმია. ჰო, ოცი წელიო, ნაირა გელაშვილმა, უბრალო მკითხველებს კი რამდენი დაგვჭირდება მის წასაკითხად? ჰო, „ბორიაყი“, „კვერნაქი“, „თეთრი დათვი“, „ჩემი სოფლის ეტიუდები“, „ჩემი სავანე“, „ბერმუდის სამკუთხედი“, „2001 წელი“ და... ეს, რაც მე წავიკითხე და რაც აწი მაქვს წასაკითხი, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, მეც მივედი იმ ზომამდე, რომ უკვე მსიამოვნებს კითხვის პროცესი... მიხარია, რომ ბევრი, ძალიან ბევრი მიხვდება იმ განწყობას, რაც ახლა ვახსენე. ოთარ ჩხეიძე — ჯერაც დაუნახავი მწვერვალი. როცა სხვა ახლოს მყოფი მწვერვალების ფონზე უყურებ, ის მწვერვალი, თუ უფრო შორსაა, უფრო პატარა ჩანს; შეიძლება ამ მართლა პატარა მწვერვალებმა, კიარადა გორაკებმაც კი, საერთოდაც დაჰფარონ... მაგრამ ერთი კია, ხედვის კუთხეს გააჩნია, კუთხეს... თქვენ კი გილოცავთ, მისალოცებო. მე კი დავუბრუნდი ისევ „ნაკრძალს“... ეპიზოდების მეტი რაა იქ, ერთობლიობას რომ თავი გავანებოთ?

აბრიალებული პორტფელი, საოცარი სახეა, არა? ეს არაა ინგოროყვას პორტფელი, მისი მუდამ თან მდევი, თითქოს საქართველოს გასაღები ჰქონდეს შიგნით, რატომ თითქოს, ჰქონდა კიდეც; აქ კი გაშარჟებული, აელვარებული პორტფელი ცრუგიორგის, იგივე ცრუმეცნიერ გიტოს ხელში, ეპოქის სიმბოლო ალბათ, გვიანი საბჭოთა ოკუპაციის დროინდელი ცრუინტელიგენციის სიმბოლო, თათქარიძესავით განზოგადოებული, ესეც მატიანე ქართლისაი, გასული საუკუნის 60-იანი წლების მატიანე, ყველაზე უკეთ რო ასახავს ისტორიას ისეთი; აი, ბოლო ოთხტომეული რომ გამოვიდა საქართველოს ისტორიის, კარგ შეფუთვაში, ზოგი უყუთოთ, ზოგიც ყუთით, სასაჩუქრედ — აი, იმ მთელ ოთხტომეულზე უფრო ნაღდად და პირუთვნელად რომ ასახავს მატიანეს, ისეთი.

ჰო, გიტოს პრიალა პორტფელი და სოფრომის გაცვეთილი ზურგჩანთა, მაგრამ არა ახალისა და ძველის დაპირისპირება, არა. დაპირისპირება ყალბისა და ნაღდისა, რიოშისა და დამუშავებული ალმასისა, ნიშანი იმისა, რომ რაც ბრჭყვიალებს, ყველაფერი ოქრო არაა და რომ ზურგჩანთა, როგორც ერთგულებისა და ალალმართლობის ნიშანი, სიმბოლური სახე იმ ეპოქის ქართული საზოგადოებისა, უმრავლესობისა და პიროვნებისა, გნებავთ, დაპირისპირება ბრბოსი და ადამიანისა...

და ანდაზები, ანდაზები და ოთარ ჩხეიძის პროზა — გენიალურად ჩაწნული ანდაზები თხრობაში, გნებავთ, ცნობიერების ნაკადის დიდებული ასახვა თუ გამოყენება მწერლის მიერ, ოღონდ უკვე ფოლკნერისა და ჯოისისა და პრუსტის და, გნებავთ, მანის მიერ „ლოტე ვაიმარშის“ ერთ თავში, გოეთეს მონოლოგში გამოყენებული ხერხებით კი არა, რო გეგონება ამოუწურია თავისი მარაგი პროზაში ცნობიერების ნაკადსო... აგე, ოთარ ჩხეიძე, მწერალი ინდივიდუალური გზითა და ხერხითა თუ გასისხლხორცებული უნარით — მწერლური მასტერკლასი.



ქარდა ქარდუხი

შეგღალული ნაკრძალი

მერე კი იწყება ტრაგედია უგმიროდ: ბუნებრივია, არა ჰყავს ზნეობრივი გმირი ამ რომანს თვინიერ ერთისა, ისიც რომ უკვე გარდაგებული ჰგონია ყველას, ყველა პერსონაჟი თითქოსდა უკეთურია, იმ ეპოქაში ასეც უნდა ყოფილიყო ალბათ? გვგონია, რომ ლანა, როგორც მსხვერპლი, ვითარცა შუშანიკი, მარგალიტი ზნეობისაი, მაგრამ გარდაისახება ჰეროდიად თუ სალომეად, სოფრომს უნდა ააღებინოს ხელი ჭეშმარიტებაზე, სიმართლის ძიებაზე; სოფრომს, იმედს იმ ეპოქის ზნეკეთილი გმირობისა. საფუძველი? მიზეზი? როგორ უნდა დაითანხმოს კერკეტი მეცნიერი? სიყვარული. არა, სიყვარული არა, იქ სიყვარული იყო თითქოს — თვალთ დაუბნელდა ჰეროდეს, ასულის სხეულის სიღრმემ თუ თრთოლვამ თუ ნარნარმა თუ როკვამ, აქ კი სოფრომს უნდა შეებრალოს ასული, მხოლოდ სიბრალულის გამო უნდა თქვას, სიბრალული მეტია ჭეშმარიტებაზეო, სამშობლოზე თუ არა, ჭეშმარიტებაზე მეტი ხომაა ადამიანიო? თან დიდებული ახსნა — თქვენ რა იცით, რა არის ქალისთვის ოცდაათს მიახლოება, მიახლოება ეულადო. გორგილაძე იტყოდა — „სულ ერთია ოცდაათის მერეო“ — მაგრამ იქ პოეზიაა და აქ პროზა და პროზაულად უხსნის ლანა ღვაწლმოსილ მეცნიერს. რატომღაც პავლე ინგოროყვა დამიდგა თვალწინ; ვინ იცის, იქნება ოთარ ჩხეიძესაც. აგერ ამბობს როსტომი, ამ რომანისადმი მიძღვნილ ბრწყინვალე წერილებში პროტოტიპად თედო ჟორდანიაო, და დასტური არც ჭირდება — იპოლიტე ვართაგავას რეალური ამბავია პლაგიატობის ხაზში; შვილია, ლიტერატორობას რომ თავი დავანებოთ და ეცოდინება უკეთ მამისა; ნინოც ამბობს, მშვენიერი მკვლევარი ქალბატონი, თედო ჟორდანიაო და რაღაი სხვა, მწერალი ამბობს თვითონ თავის „...სავანეში“, მაგრამ მე რა, მე მკითხველი ვარ და მაინც პავლე ინგოროყვა ამესალტება ხოლმე თვალწინა, დიდი პორტფელით.

დასასრული მე-9 გვერდზე

გივი ჩიღვინაძე

როსტომ წერეთლის სიზმარი

„მამაჩემი თავის დროზე განთქმული მოჭადრაკე იყო, ვერავინ უგებდა...“
აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“.

სასახლის ფართო ეზოში,
მწვანეზე, კაკლის ჩეროში,
პატარა ბიჭი თამაშობს,
ოცნებით უცქერს ცარგვალს.

რა მომავალი მოელის! —
პატივს მიაგებს ყოველი,
თუმც გულსაც ბევრჯერ ატკენენ
წერეთლის რჩეულ ნაგრამს.

მზეში მთვლემარე გორები,
მერე შორს მონაგონები,
ვიწრო ხევებად დახრილნი
მთის ნაკადს იჩნევს ჭავლად.

იმავე ჩრდილში დაუდევს,
ფიქრს ზოგჯერ ღიმილს გაურევს —
ეთამაშება როსტომი
ჭარმაგ ნათესავს ჭადრაკს...

და როგორც ველზე, დაფაზეც
ჯარი ეწყობა და ფარზე
ხმლის ცემით ეგებებიან
ოფიცერსა თუ მხედარს,

ვის პაიკობა ერგება,
ვიღაც ლაზიერს ედრება,
და ვინც ბრძოლის წინ შეკრთება,
დაცინვა ელის ხვედრად.

მეფე რომ კარგად დაეცვა,
ზოგი გმირულად დაეცა, —
ის თავდადებას ყველასას
შორიდან მშვიდად ხედავს.

ომია მართლა ფიცხელი,
ვინ ეტლით მიქრის, ვინ ცხენით, —
დაფაზე მყოფნი იბრძვიან,
მოთამაშენი სხედან...

თითქოს წინაპართ ნანახი,
ხმალდახმალ გადანალახი,
საომარ ველთა ყიჟინი
სწვდება თავადის სმენას.

როგორღაც ჟინმორეული
და სიმაყეს ჩვეული
ფართოდ გახელილ თვალებით
დაუწყებს დაფას ცქერას.

ჯერ ბრძოლას ანდობს პაიკებს,
თუმცა ვერავინ გაიგებს
იმის მომდევნო ქმედებას,
მეტოქეს უცქერს ცერად.

რაღა თქმა უნდა, მოიგებს,
და გამარჯვებას მოირგებს,
თითქოსდა მტერზე ელაშქროს,
ნადავლის იყოს ცვენა...

მერე უებრო ნადიმი,
ჭურს წახურული ბადიმი,
ისევ წარსულით ქადილი,
დრო დარჩენილი სახტად.

მარანთან მარჯვე ფარეში,
და გოგო იმის მკლავებში,
ხოლო ცის სიანკარეში
ვარსკვლავთა რიგი ლახტად.

ბოლოს თავადის სიზმარი —
ვით დაფარული მიზანი:
სუფრა ქცეული უეცრად
ბაგრატიონთა ტახტად.

დიდი სამეფო ლაშქარი,
ტანზე ასხმული ჯავშანი —
გვერდით ქართველთა ხელმწიფეს
თვითონ როსტომიც ახლდა...

* * *

გაზაფხულია და ხე ყოველი
უჩინარ ძალით ტოტებს იმშვენებს,
სახლი მერცხლების ჭიკჭიკს მოელის,
ბუჩქზე ნიბლია ბუდეს იშენებს...

უცხო ქალწულმა კრძალვით დახედა
დილის სხივებით მოვლილ მდელოთა
და მის ხილვაზე ვაჟი გახევდა,
ტყიდან რომ ლაღად მოიმღეროდა...

მთების სიშორის ვეღარ ამტანი
ვგრძნობ, მიმშვიდდება გული ნატკენი...
რა სათუთია ახლა ნატვრანი,
რა უნაზესად ყვავის ატმები...

მთების ყვავილი

მთების ყვავილი შენს თავს მაგონებს
და მოწყენის დროს წუთებს მინათებს,
ჟამთა დინება რომ დამაღონებს,
მაგ მომღიმარე ნათელს ვინატრებ.
გამოვუყვები ისევ გზაწვრილებს,
იქნება გრძელი ვძლიო მანძილი,
ზეცა იმედებს კვლავ დამაწვიმებს,
შენ კი მიიღე კუთვნილ განძივით
ეს სიყვარული — ფიქრით მოსავდე,
არ გამიფანტო, ვით ქარმა ნავლი...
რა ძნელი გზაა შენთან მოსვლამდე
წარსულისა და მომავლის გავლით...

სახლი

ვერ ჩავიქნიე წარსულზე ხელი —
მთების წინ ნელა ამოდის მთვარე,
იქ ძველი სახლი ყოველ დღე მელის,
გამოიღამებს გზის ცქერით თვალებს.
მიაწვდენს მზერას მომავალ დღეებს,
ჩავლილი წლებიც სულ ახსოვს თითქმის,
ესაუბრება ახლოს მდგომ ხეებს
იმას, რაც კაცის ენით არ ითქმის...
ჩამობნელდება და ჭიშკარს იქით
ნაცნობი ჭინკა ილესავს ბრჭყალებს,
თუმც ანგელოზის ხათრით და რიდით
ღობეს შორს უვლის, მიმართავს ჭალებს...
ჩემი ფიქრებიც იქაა ხშირად,
არასდროსა ვთმობ სამყოფელს მთავარს,
მშვიდად გამკრთალი იმედის სხივად
მუდამ იმ სახლის ეზოში ვდგავარ...

შემოდგომისკენ

გაფრენილიყო
უკვე ზაფხული,
მთები ქარვისფერს ნელა გვითოვდა,
შენ დამემგზავრე
ფიქრით გართული —
ამ სიახლოვით გული გითრთოდა...
გვეფინებოდნენ
სულში სხივები
და ჩვენს უმშვიდეს ალერსს
ნიღბავდნენ,
მერე წახვედი,
წარსულს მინებდი,
ვერ დაგვიტია ერთად იმ ღამემ.
მწუხრი კი
შენზე მონდობილ იმედს
განშორებისას
ნისლში ახვევდა,
რა ვუთხრა ამ ჩემს
გზებს და ბილიკებს,
შენთან რომ ადრე არ შემახვედრა!..

სიზმარი

სიზმარი ვნახე — ვეძახდი მამას:
— რატომ არ მოხვალ სახლში?
ის ღელის პირას მაღლარსა სხლავდა,
მე კი ვიყავი ბავშვი...
რომ დავაკვირდი, არა ვენახში,
თურმე ყოფილა ცაში,
არ აპირებდა შინ დაბრუნებას,
სხივებს მისდევდა კვალში.
მანაც მომხედა, რაც მომაძახა,
ფრთხილად ვიგონებ ახლა —
ისიც თქვა: — შენს ჩრდილს მიადგი კიბე,
ისე ამოხვალ მაღლა...
რა იგულისხმა? ნუთუ დასცინა
ამ ჩემს ცხოვრებას ნეტავ,
თუ რამე კარგი რამ მიმანიშნა
და მე კი ვერა ვხედავ?..
სიხარულია მშობლის ლანდიც კი,
ცხადში ვიხილე თითქოს...
ჩემს ჩრდილს როგორღა მივადგა კიბე,
ახლა ამაზე ვფიქრობ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურად მთვარელიძე

სიტყვათა აბრაგი

ღმერთს რომ სიტყვა გამოექცევა,
თუ მივასწარი, თუ ვიმარჯვე,
თუ დავიჭირე და ჩავბღუჯე,
მერე კი ვიცი, ფურცელზე როგორ ავუშენო
ბროლის სასახლე...
ღმერთს თუ სიტყვა გამოექცევა,
თორემ, მე, აბა, რა შემიძლია?!

მუზა

არავითარი წვიმა და თქეში,
არავითარი ზათქი და ვნება,
ის შემოვიდა ბებრული ხვნეშით,
არ მიმიცია თუმც ამის ნება.

ცერად ჩამოდო სკამზე საჯდომი
და დამცინავი მოავლო მზერა
ოთახს, რომელიც წამსვე დაჯაბნა
მისი ბაგიდან ნასროლმა ბგერამ.

მერე გასტყორცნა მზერა მრისხანე
ფანჯრისმიღმიერ გრძნეულ ზღვაურებს
და მშვიდად ბრძანა: „მიდი, იჩქარე,
დღეს ჯოჯოხეთში ვიმოგზაურებთ!“

* * *

ღამით ცას ვეტრფი და დილით
ბალახებს ვკოცნი ცვრიანებს,
ერთი ცის ერთი ვარსკვლავი
ამ ჩემ გულშიაც წკრიალებს.
ხან მშვიდადაა და ხანაც
ზედ გულის კართან წრიალებს,
ხან ქარებს უხმობს, ხან მთვარეს
და ხანაც — ნისლებს ცვრიანებს.
მოიხუშტურებს — ჩაქრება,
მოიხუშტურებს — იალებს.
დღემდის მას ვეფოფინები,
სულ მის გარშემო ვტრიალებ,
ერთი ცის ერთი ვარსკვლავი
ამ ჩემს გულშიაც წკრიალებს.

* * *

მე მასწავლიდა პაპაჩემი — სულმნათი, ერთ დროს:
— ურემზე მჯდომმა არ შეხედო ირიბად ქვეითს,
არ გაუყადრო თავი ავკაცს, ფლიდსა და ქვემძრომს,
ჭკვიანთან ჩხუბი გერჩივნოსო რეგვენთან ქეიფს.
და ახლა, როცა მე თვითონ ვარ პაპა და ხშირად
მეც მინდა მივცე შვილიშვილებს რაიმე რჩევა,
ვამბობ: მისმინეთ: სიტყვები თქვით ძვირად და ძვირად,
ბევრი ტლიკინი არ იქციოთ ზნედა და ჩვევად.

რადგან ჩვენც წავალთ, ისიც წავა, გულსა გვტკენს ვინაც,
მაგრამ სიტყვა და საქმე ჩვენი მუდმივად რჩება.



მშობლების საფლავზე

ახლოვდება ის ჟამი,
როს თქვენს გვერდით დავწვები,
მიმღერებენ შინდები,
მიტირებენ ანწლები.
გული თქვენთან იქნება,
სულით მთვარეს ავწვდები,
ძონს იხვევენ შინდები
და შავ გიშრებს — ანწლები.
მერე აცრემლდებიან
ორღობეთა წანლები.

ახლოვდება ის ჟამი,
როს თქვენს გვერდით დავწვები,
ჯერ კი, ჯერ კი ცხოვრებას
ჩემის ქედით ვაწვები,
შინდებს ჩემ დანახვაზე
უწითლდებათ ღაწვები
და ჯერ ისევ ყვავიან
ეს შავტუხა ანწლები.
მიდის, მიდის ზაფხული
მზის სხივების კაწრებით,
მიმღერიან შინდები,
მიღიმიან ანწლები!

ჩალის სახლის ბინადარი

ჩალის სახლი მაქვს,
ჩალისა აქვს მას სახურავიც,
თეთრ ღამეებში ქარვისფრად ყვავის.
მზეში კი ისე აელვარებს ოქროს ფუჩეჩებს,
ყველას ჰგონია, თითქოს ფიქრი ამიფერადდა...
ჩალის სახლი მაქვს
ზოგჯერ ქარი წეწს,
მიყრის-მოყრის, აურ-დაურევს
და მე სწორედ ეს მიხარია,
რადგან ღამეში, გადახდილი სახურავიდან
ვარსკვლავებს ვიწვევ ჩემს ჩალის სახლში,
მთვარეს კი ისე შინაურულად ვესაუბრები,
თითქოს რაკიღა ერთი გვარის ვართ,
ერთი ოჯახის შვილებიც ვიყოთ...
წვიმიან ამინდს უფრო მეტად ვეხალისები,
რადგან წვიმის ვერცხლისფერ მძივებს
მთელ ჩემს სახლში ისე ირიბად და გიჟურად
ვასხმარტალებ,
ზოგი იფიქრებს, ჭკუაზე არ ვარ...
ხოლო როცა მზე დააცხუნებს
და უჰაერო სიმარტოვეს შემომაჩეჩებს,
ჩალის კონებს სახურავზე ისე ვალაგებ,
რომ მზის სხივებმა მიწის სიგრილე არ შეაშფოთოს.
მოკლედ ასე ვარ, ჩალის სახლში,
სულაც არ ვდარდობ.
მთავარია, ეს ქვეყანა არ იყოს ჩალის,
ჩალით არ იყოს დახურული
თორემ სახლი აბა, რა არის?
იყოს ჩალისა, ჩალისავე სახურავითვე.
თვითვე მოვუვლი დრო-ჟამის დარად,
მივწი-მოვწევ ჩალის ფუჩეჩებს.
აი, ქვეყანას კი ვერაფერს ვერ მოვუხერხებ
და ამიტომაც სულაც არ მინდა
ჩალით დახურულ ქვეყანაში ვცხოვრობდე ისევ.

სიკვდილთან თვალის გასწორება

ტორტმანით რომ აუყვები
უკანასკნელ ასახვევს,
ყუთში რომ ხარ გაწკეპილი
და ყუთს ჰქვია სასახლე.
ღიმილით რომ გადმოხედავ
ქალაქს, ქუჩებს და სახლებს,
ყუთში გძინავს, როგორც მეფეს,
და ყუთს ჰქვია სასახლე.
იქ ხარ უკვე, საიდანაც
ვერვინ გამოგასახლებს,
უერთგულეს ყუთში მეფობ
და ყუთს ჰქვია სასახლე!

* * *

შენ მეუბნები, გზა გქონდა რთული,
იმ გზაზე ეკალ-ბარდები ჩეხე,
მოგერეოდა როგორც კი რული,
იქვე გხვდებოდა წყეული ჩიხი,
საიდანაც ძლივს გამოდიოდი
და კვლავ იწყებდი ბრძოლას ახლიდან,
რომ ბედს ებრძოდი, ახალ განსაცდელს
რომელიც როგორც ტყვიას გახლიდა.
ასე თუ ისე, ბრძოლით იარე,
როგორც ქვამ, ისე ხომ არ იგორე,
მე გზა საერთოდ არა მქონია,
იგი მე თვითონ გამოვიგონე!

ქარდა ქარდუხი

შეგღალული ნაკრძალი

დასასრული

ამ ადგილს რომ კითხულობ რომანში, უკვე შიშში ხარ გახვეული, ნუთუ ვერ იმარჯვებს რომანში მაინც ზნეობა, ნუთუ ვერ უნდა სძლიოს კეთილმა ბოროტსო?! აბა, რისი დიდი მწერალია ოთარ ჩხეიძე თუ ამ შიშში ვერ გაგხვევს?!

ვერ იხსნა საქართველოს, როგორც ნაკრძალის, იდეა სოფრომმა, ვერც ლანა იხსნა, როგორც სიმბოლო ბრაკონიერის მიერ შებღალული ნაკრძალისა.

არ წამოკრიფა ხელთათმანები სოფრომმა, მერე რა, რომ კრივისაა და არა სადუელო, სახეში შემოლეწილი, მაინც ხელთათმანებია, ადრე რომ ყოველთვის წამოკრეფდა — დარჩა იატაკზე.

მთლად ნათლისმცემელივით ვერა, მაგრამ შეეწირა სოფრომი, მაინც ბრძოლის ველზე შეეწირა... აკი კეთილმაო, სძლია კეთილმანო? აუცილებლად, მაგრამ მოგვიანებით, სოფრომისნაირების ბრძოლისა და გამო გახდა ბოლოს მაინც საქართველო არცთუ ისე ხელწამოსაკრავი ნაკრძალი. აკი აგვიხსნა მწერალმა:

„ყველაფერი რო პირდაპირაა, ოღონდ მისასვლელი აქვ ირიბი, დამრეცი, ხვეული, ჩახლართული...“

იმდროინდელი ცრუმეცნიერი გიტოთი მარადიული, მოუშლელი და დღესაც ყველგან ფესვგადგმული სარეველა დაგვიხატა მწერალმა. ყველა ეპოქაში საცნაური:

„რამეთუ ესწრაფვოდა განათლებულთა წრესა, რამეთუ ეშოვნა ფული და აკლდა მეგობარნი განათლებულნი. ესენიცა ეგებებოდნენ ხელგაშლილნი, რამეთუ, თუმცა ერქვათ მეცნიერმუშაკები, ფული მაინც აკლდათ, ძალიან აკლდათ... “

კი არის გროტესკულად ასახვა იმ ჟამის რეალობისა, სახე იმ დროისა, როდესაც თითქმის არაფერს ნაღდს ფასი არ ედო, როცა ფასი მხოლოდ ფასს ედო; დღევანდელობის აშკარა სახეცაა, თუმცა მაინც უნდა ჩავეძიოთ აქა, ოდნავ უცვლია ფერი ეპოქასა და სახეებსაც: ახლა თითქოსდა საერთოდ არ ჭირდებათ ფულნაშოვნთ მეგობარნი, მითუმეტეს, მეცნიერმუშაკი მეგობარნი, ახლა უკვე მხოლოდღა ფული ყოფნით... ამის მინიშნებაცაა ოთარ ჩხეიძის 1970 წელს დაწერილ ამ რომანში, ამის წინასწარჭვრეტაცაააა. აბა, რა მწერალი იქნებოდა, ეს წინასწარჭვრეტა რომ არ ქონოდა? თუმცა გვყავს მწერლები ახლაც, არათუ წინასწარჭვრეტა, ჭვრეტა რომ არა აქვთ საერთოდ და მაინც სულ ტელევიზორებიდან გვიჭვრიტინებენ და კონკურსის დაფნებიდან გვიჭვრიტინებენ და ფესტივალებიდან გვიჭვრიტინებენ და მთელ დუნიას მათი ჭვრეტითღა რომ უნდათ შეუქმნან შთაბეჭდილება ქართულ მწერლობაზე. მაგრამ ვერ იქნება ეგ საქმე აგრე. ყოველთვის გამოჩნდებიან სოფრომ ბროძელისნაირნი — ოთარ ჩხეიძემ დაგვიტოვა; იქ ხომ განდაქარდა რომანში, მაგრამ მარადიულ სახედ დაგვიტოვა.

დაბოლოს, ეპიზოდებს რა გამოლევს-მეთქი და ერთი კიდევ მინდა, ვახსენო: უკვე აკადემიკოსობას მიღწეული ყოფილი მეგობარი, აკადემიკოსობას ვერასოდეს მიმღწევ სოფრომს რომ ებაასება, რომ უნდა მოისყიდოს, ხო მძიმე სიტყვაა, მაგრამ აგრე ითქმის, და აღწერილია მათი დიალოგი, მაგრამ ეგ არაფერი, დიდოსტატია დიალოგებშიც ოთარ ჩხეიძე, უფრო ის მოგხიბლავს, აქ რომ ვითარებაა აღწერილი საოცრად, თითქოს ორი ჯორკოს დუელია და არა ორი მეცნიერისა — წაიწევა წინ ერთი ჯორკო, მიეფიცხება ცეცხლს და მიჰყვება მას მეორე ჯორკოი, არა ასტამიც გაიელვებს ალაგ ალაგ, და ისევ შუშანიკი... ჰო, რა, გაუტეხელი შუშანიკი გაიელვებს, მაგრამ ეს გაუტეხლობა ყველამ ვიცით, რასაც მოითხოვს, საკუთარ მსხვერპლშეწირვას და ალბათ სოფრომიც გრძნობს ამას, მის გაუტეხელ ღიმილში ალბათ სწორედ ეგ იკითხება...

ხან სკამს ეწირებოდა ზნეობა, ხანაც — ჯორკოს.

შესასმელია სასუმელი იგი...

ქურდების ბებია

„რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მაღლისაითა, საფარველსა ღმრთისა ზეცათაისა განისუენოს, რქუას უფალსა: ხელის აღმპყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი და მე ვესავ მას“ — სულმოუთქმელად, ოდნავ ხმამაღლა, სასიამოვნო ხმით, წარმოთქვა მოძღვარმა, თითქოს პირველად ამბობსო. შემდეგ მრევლს მოავლო თვალი. ღვთისმშობლის ხატთან მდგომი უცხო კაცი შეამჩნია, რომელიც ნაცნობი მაღალჩინოსნის გვერდით იდგა. წირვა სამი საათი გაგრძელდა. მოძღვრის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია ტაძარში უცხოს მოუსვენარი გადაადგილება, მისი დაჟინებული მზერა ხატებისადმი. ერთი რამ ცხადი იყო, ის წირვაზე დასასწრებად ნამდვილად არ იყო მოსული, რაღაც სხვა ინტერესი უნდა ჰქონოდა.

წირვის დასასრულს, როგორც ყოველთვის, ტაძრის წინამძღვარმა ჯვარი გამოაბრძანა. მრევლი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა მის სათაყვანებლად. წინ ბავშვები და მამაკაცები მიდიოდნენ, უკან — ქალები.

— ღმერთმა დაგლოცოთ, — მიმართა ჯვარზე ამბორისას მაღალჩინოსანს.

— სტუმარი გვყავს, დაგელოდებით, — ჩაუჩურჩულა მოძღვარს.

რამდენიმე წუთში ტაძარი დაცარიელდა. მაღალჩინოსანმა მოძღვარს სტუმარი წარუდგინა.

— მამაო, ბატონი ვიქტორი დედაქალაქიდან გახლავთ, ხელოვნებათმცოდნეა, უფრო სწორად — რესტავრატორი. მთელი საქართველო შემოიარა და ახლა ჩვენ გვეწვია, სურვილი აქვს, ხატების რესტავრაციაში დაგვეხმაროს.

— მეტად სასიკეთო საქმის კეთება გადაგიწყვეტიათ, შვილო ჩემო, ღმერთმა დაგლოცოთ, — მიმართა სტუმარს მოძღვარმა.

— მგონი, აი, ეს ღვთისმშობლის ხატი შუა საუკუნეებისა უნდა იყოს, საკმაოდ დაზიანებულია და რესტავრაცია სწორედ ამით უნდა დავიწყოთ, — ალაპარაკდა სტუმარი.

— მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებით თარიღდება, თავს რა არ გადახდენია. როცა კომუნისტებმა მასიურად დაიწყეს ეკლესიების ნგრევა და ძარცვა, ეს ხატი ერთ მორწმუნეს სახლში დაუმალავს. სამოციან წლებში, მძიმე ავადმყოფს, სიკვდილის წინ ეკლესიისთვის დაუბრუნებია.

— დროზე უნდა შევთანხმდეთ. მე დღესვე თბილისში ვბრუნდები, უნდა ვიცოდე, ხატს როდის ჩამოიტანთ, რომ ადგილზე დაგხვდეთ, — დააკონკრეტა რესტავრატორმა.

მოძღვარი დაფიქრდა.

— დღეს კვირაა, ალბათ, ხუთშაბათამდე ვერ შევძლებ.

— ხუთშაბათი იყოს. ამ მისამართზე მობრძანდით, — ქაღალდი მოძღვარს მიაწოდა, — მაგ დროისთვის დედაქალაქში ვიქნები. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, — ხელი ჩამოართვა და კარისკენ გაემართა. უცებ მობრუნდა და შეწუხებულმა იკითხა, — კიდევ კარგი, რომ გამახსენდა. ხატს რითი ჩამოაბრძანებთ? შესაბამისი ტრანსპორტი გყავთ? იქნებ დახმარება გჭირდებათ. რაიონის ხელმძღვანელობას ხომ არ ვთხოვოთ?

— არ არის საჭირო. ჩემი „ნივით“ გადმოვაბრძანებ. საწვავით თუ დამეხმარებიან, კარგი იქნება.

— თქვენ ნუ შეწუხდებით, საწვავის საქმეს მე მოვაგვარებ, — საუბარში ჩაერთო მაღალჩინოსანი.

— აბა, კარგად, ყველაფერზე შევთანხმდით, თბილისში გელოდებით, — დაემშვიდობა რესტავრატორი.

ხუთშაბათს დილით, თბილისში მიმავალს, სოფელ ვაზისუბანთან გზაზე მომლოდინე მგზავრმა ხელი აუწია და წაყვანა სთხოვა. მოძღვარმა მანქანა გაუჩერა და საით მიბრძანდებითო — ჰკითხა.

— ქუთაისამდე გამოგყვებით, — უპასუხა მგზავრმა.

როგორც კი მანქანის სავარძელში მოკალათდა, მღვდელს მკაცრი ტონით გასაღები მოსთხოვა, მეორე მხრიდან კი ორი ახალგაზრდა მიადგა და მანქანიდან გადმოსვლა უბრძანა.

— გასაღებს ცოცხალი თავით არ მოგცემთ, — იყვირა მოძღვარმა და გადაგდება დააპირა, მაგრამ ხელები გადაუგრიხეს და მანქანიდან იძულებით ჩამოიყვანეს. გამწარებულმა ერთ-ერთ მოძალადეს ფეხი მთელი ძალით მიარტყა წვივის ძვალზე, ხელი გაითავისუფლა, შებრძოლება სცადა, მაგრამ რომელიღაცამ უკნიდან რაღაც მძიმე ჩაარტყა თავში. მოძღვარი დაეცა.

ბათუმის სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა და მგზავრებმა გზის პირას დაგდებული, გასისხლიანებული მღვდელი იპოვეს. სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს. მილიცია და სასწრაფო შემთხვევის ადგილზე თითქმის ერთდროულად მივიდა. მილიციელმა მაშინვე ამოიცნო მოძღვარი. უგონოდ მყოფი ქუთაისის საავადმყოფოში გადაიყვანეს. გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთეს, მარჯვენა თვალი ჰქონდა დაზიანებული. ექიმებმა თვალის გადარჩენა შეძლეს და ჯერ კიდევ ნარკოზით გაბრუებული ინტენსიურ პალატაში გადაიყვანეს.

საოპერაციოდან გადაყვანილ თამაზს პალატაში მეორე ავადმყოფი დახვდა. კართან კი მილიციელი ატუზულიყო. ალბათ, ჩემსავით ვინმე „კაი ბიჭი“ ჰყავთ — გაიფიქრა და ნარკოზით გაბრუებულმა ცალი თვალი გვერდით საწოლისკენ გააპარა. საწოლში შუა ასაკის წვეროსანი მამაკაცი იწვა. რაღაც მეჩვენებაო, იფიქრა და მედდას დასახმარებლად მოუხმო. ტკივილგამაყუჩებელი სთხოვა და მალევე ჩაეძინა. რამდენიმე საათი თითქმის გაუნძრევლად ეძინა. ახალგაღვიძებულმა ისევ მეზობლის საწოლს გადახედა, ახლა უკვე კარგად არჩევდა — „კაი ბიჭს“ არ ჰგავდა, უფრო საეკლესიო პირი უნდა ყოფილიყო.

დღის ცვლა წასასვლელად ემზადებოდა. მედდამ ღამის მორიგე პალატაში შეიყვანა და განუმარტა: დღეს ორი ავადმყოფი მივიღეთ, ერთი წულუკიძის ციხიდან, რომელსაც ერთი თვალი ამოუღეს, მეორე კი — მღვდელი, იგი ნაცემია. საბედნიეროდ, თვალის შენარჩუნება მოვახერხეთ, რაღაც ჩახლართული ამბავი უნდა იყოს.

თამაზი დარწმუნდა, ცალი თვალით ნამდვილად კარგად ხედავდა და მედდას გაუღიმა.

— ეს ღამის მორიგეა, ყველაფერი ვუთხარი, თუ რაიმე დაგჭირდებათ, აქვე იქნება, მილიციელი დაუძახებს. ექიმმა დღეს წამოდგომა აგიკრძალათ. აბა, კარგად იყავით, — დაემშვიდობა მედდა და მორიგესთან ერთად დერეფანში გავიდა.

თამაზი ისევ მეზობელს უჭვრეტდა. ახლა გარკვევით ხედავდა, რომ სახე მთლიანად დალურჯებული ჰქონდა, თვალი კი — ახვეული. მოუსვენრად ეძინა, ხან რას წამოიძახებდა და ხან — რას.

— ასე უმოწყალოდ ვინ სცემა? — ცხოვრებაზე ხელჩაქნეულს რაღაცის გაგების სურვილი გაუჩნდა.

— აბა, ვახშამი! ხომ არ მიირთმევთ? — ნახევრადღია კარიდან იკითხა მზარეულმა ქალმა.

— თქვენს ვახშამს რა ჰქვია?

— ურძეო ფაფა.

— არა, გმადლობთ, ჩემი ულუფა თქვენს უფროსებს მიართვით.

— იქნებ თქვენმა მეზობელმა ინებოს, — ირონიით იკითხა მზარეულმა.

— ჩემს მეზობელს ფაფისთვის არ სცალია.

— რატომ?

— ღმერთთან საუბრობს.

— ღმერთთან ხუმრობა არ შეიძლება.

— არ ვხუმრობ, ახლოს მიდი და მოუსმინე.

მზარეული საწოლს მიადგა, ავადმყოფის შეღვიძება სცადა, მაგრამ უცებ...

— არა, უფალო, ვერ წაიღებენ, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიმწრით ამოილუღლუღა პაციენტმა.

— დედაია, ბოშო, რა უქნიათ ამ შეჩვენებულებს, ამისგან რა უნდა წაეღოთ? რა ექნებოდა ჯვრის და ხატის მეტი? მოდიდა, ნუ შეგეშინდება. მღვდელს ასე რომ მეექცევიან, ჩვენ რა ხეირს დაგვაყრიან, — პირჯვარი გადაიწერა შეშინებულმა მზარეულმა.

— ჯერ არ გაუღვიძია, ოპერაცია გაუკეთეს, თვალი გადაურჩინეს, ჩემსავით არ გაწირა ღმერთმა. ისე, დეტალები თუ გაინტერესებს, კართან რომ ზის და ჩვენ გვიცავს, იმას რძიანი ფაფა აჭამე და ყველაფერს დაგიკაკლავს, — ასწავლა მზარეულს.

— მართლა არაფერს შეჭამ? ჩაის მოგიტანთ, პურს და ყველს მოგცემ, ცოტა მაინც ჩეილუკმე, ბებიაშენის გამომცხვარ ხაჭაპურებს არავინ მოგიტანს, კაი ჭამასმა თუ გინდოდა, ცოტა სხვანაირად უნდა აგეწყო ცხოვრება.

— მაინც როგორ?

— მაგი რომ მცოდნოდა, მე თვითონ ევიწყობდი, საავადმყოფოს მზარეული კი არ ვიქნებოდი.

— რა მაგის პასუხია და ხვალ ბებიაჩემი უნდა ჩამოვიდეს თავისი საფირმო ხაჭაპურებით.

— ღმერთმა შეგარგოს ხვალინდელი ხაჭაპური, მაგრამ მანამდე წამალი ხომ უნდა დალიო.

— კარგი, დაგიჯერებ, ჩაი მომიტანე.

რამდენიმე წუთში მზარეულმა ნახევრად ცივი ჩაი და რუხი პური მიუტანა. წინსაფრის ჯიბიდან ერთი ნაჭერი ყველი ამოიღო, პურზე დაუდო და დასძინა: ეს სახლიდან მოვიტანე, აქაურს მეც არაფერს ვჭამ.

ღამის სიბნელე ფანჯარაზე მუქი ფერის ფარდასავით დაეშვა. პალატაში საწოლებსღა თუ გაარჩევდით. მორიგე მედდამ ანთებული სანთელი შემოიტანა. თამაზს საძილე მიქსტურა მიაწოდა, შემდეგ კი მოძღვრის გაღვიძება სცადა.

— აბა, შეიღვიძეთ, წამალი უნდა დალიოთ.

შეიშმუშნა, წამალი ძლივს გადაყლაპა. შეკითხვებზე ისევ არეულად პასუხობდა.

— არაუშავს, ხვალ უკეთ იქნება, მსუბუქი შერყევა აქვს. რაც მეტს დაისვენებს, უკეთესია. ამ სანთელს და ასანთს თქვენ დაგიტოვებთ. დროებით, — დაემშვიდობა ავადმყოფს.

თამაზს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. მიქსტურაც დალია, მაგრამ, ამაოდ. ჩათვლემილს ხან დედის აჩრდილი დაადგებოდა თავს, ხან სახლის წინ მჯდარი ატირებული ბებია ელანდებოდა. ამ ქვეყნად ბებიას მეტი გულშემატკივარი არავინ ჰყავდა. მართალია, ობლად გაიზარდა, მაგრამ ნინა არაფერს აკლებდა შვილიშვილს. სკოლაში თითით საჩვენებელი მოსწავლე იყო. რბილი და დამყოლი ხასიათის გამო ყველას უყვარდა — დიდსა თუ პატარას, მასწავლებელსა თუ მეზობელს. უმაღლეს სასწავლებელში პირველსავე წელს ჩაირიცხა. ბებიას მთელი სოფელი ულოცავდა შვილიშვილის წარმატებას. ისიც ყველაზე ბედნიერი ქალი იყო.

ხუთი წელი მალე გაფრინდება, ბიჭი უმაღლესს დაამთავრებს, ოჯახს მოეკიდება, მე კი დავისვენებ, შვილთაშვილის აკვანს წავურწებო — ფიქრობდა მოხუცი.

თამაზი მეორე კურსზე იყო, როცა დაიჭირეს. ნამდვილი ამბავი არავინ იცოდა. ზოგი რას ჰყვებოდა და ზოგი — რას. უპატრონო იყო და ამას შეაწმინდეს ხელებიო — ამბობდნენ მეზობლები. ერთი კია, რომ ამ ამბავმა სოფელი შეძრა. ყველა გულწრფელად თანაუგრძნობდა მოხუცს. ციხიდან გამოვიდა თუ არა, ბებია და შვილიშვილი სამუშაოს ძებნას შეუდგნენ. ჩაის ფაბრიკაში ღამის მუშად მიიღეს. სახლიდან საღამოს საათებში გამოდიოდა. ცოტა ხნით სოფლის ცენტრში შეკრებილ ახალგაზრდებთან შეჩერდებოდა, ილაპარაკებდა, სიგარეტს გააბოლებდა, მერე კი ფაბრიკისკენ გაუყვებოდა.

დღითიდღე მის მიმართ ახალგაზრდებში პატივისცემა იზრდებოდა, ზოგი რჩევასაც ეკითხებოდა.

სოფლის რწმუნებულს არ გამოჰპარვია ციხიდან ახალგამოსული თამაზის ურთიერთობა სოფელთან და ახალგაზრდების პატივისცემა მის მიმართ.

— მართალია, მუშაობს, მაგრამ მე თუ მკითხავთ , სანამ სოფლის ახალგაზრდობა გაუფუჭებია, თავიდან არის მოსაშორებელი, — განუცხადა ზემდგომებს რწმუნებულმა.

ითათბირეს, ითათბირეს და მოშორება გადაწყვიტეს. მალე ჯიბეში იარაღი უპოვეს და ისევ ციხეში შეაბრუნეს. როგორც ნასამართლევს, ახლა შვიდი წელი მიუსაჯეს.

ნინა ჭკვიანი ქალი იყო და მიხვდა, უკუღმა დატრიალებული ბორბალი წაღმა აღარ შემოტრიალდებოდა. მეორე პატიმრობა ოჯახის საბოლოოდ განადგურება იყო. მის შვილიშვილს აღარავინ ენდობოდა. არც არავის ანაღვლებდა მისი უდანაშაულობა. თავის მოკვლაზეც იფიქრა, მაგრამ ვერაფრით შეძლო. უკან თავისი გაზრდილი ობოლი შვილიშვილი ექაჩებოდა, მის მეტი მომკითხავი არავინ რომ ჰყავდა. დღედაღამ მუხლჩაუხრელად უნდა ეშრომა, რომ შაბათ-კვირას ბიჭისთვის „პერედაჩი“ ჩაეტანა და, როგორც წესი, შაბათ დილას ხელში ტვირთით გამოჩნდებოდა ავტობუსის გაჩერებაზე. ყველამ იცოდა, ნინა წულუკიძეში მიდიოდა პატიმარ შვილიშვილთან,

შაბათს მასთან რჩებოდა, კვირას კი სახლში ბრუნდებოდა. ნელ-ნელა კვდებოდა ოცნება გალაღებულ და გამრავლებულ ოჯახზე.

ნინა ცხოვრების ახალ წესს ეჩვეოდა. ციხე ახლა მეორე ოჯახად ქცეულიყო. ყოველ შაბათს ციხის სამორიგეოსთან ატუზული მოხუცი თანამშრომლებისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ალბათ, ამ კედლებთან მიწერია სიკვდილი — არაერთგზის უფიქრია პატიმრის მომლოდინეს.

ქურდების ბებიად მონათლეს. ზონაზე ყველა იცნობდა, უფროსობით დაწყებული რიგით მორიგემდე. ყველა პატივისცემით ექცეოდა. სახლში დაბრუნებისას ქუთაისამდე ხშირად ციხის უფროსობას ჩაჰყავდა მანქანით. სხვადასხვა დროს ნინასთან სახლში უცხო პირები გამოჩნდებოდნენ. ზოგი ცოტა ხნით ჩერდებოდა მოხუცთან, ზოგი კი თვეობით, მაგრამ არც ერთ მათგანს სოფელი არ შეუწუხებია.

ქუთაისის საავადმყოფოს მიმღებში ნინამ წულუკიძის ციხიდან გადმოყვანილი პატიმარი მოიკითხა. ექთანს მოხუცი შეეცოდა, თავად გაჰყვა ნახევრადჩაბნელებულ დერეფანში და იმ პალატამდე მიიყვანა, სადაც თამაზი იწვა. მომხდარის შესახებ იცოდა — ციხის მოსაცდელში ყველაფერი უთხრეს და ისიც, რომ ცალი თვალი დაკარგა. უარესის მომლოდინემ პალატის კარი შეაღო. ჯერ ვერაფერი დაინახა. საკმაოდ დიდ, მაგრამ გატყავებულ ოთახში ლოგინები ორ მწკრივად დაედგათ. მათი უმრავლესობა ცარიელი იყო. ფანჯარასთან მწოლიარე ორი ავადმყოფი დალანდა და იქით გასწია.

— ბებია, აქეთ, აგერ ვწევარ, — შეეხმიანა შვილიშვილი.

ნინა ახლოს მივიდა. თამაზს ცალი თვალი ახვეული ჰქონდა. სხვა არაფერი ემჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეოდა. მოხუცმა ცოტათი ამოისუნთქა და იქვე სკამზე უხმოდ ჩამოჯდა. ტირილი უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა. სასაყვედუროდ მომზადებული ხმასაც კი ვერ იღებდა. დუმილი ისევ შვილიშვილმა დაარღვია.

— ვიცი, რასაც ფიქრობ. როგორც ყოველთვის, ახლაც მართალი ხარ, მაგრამ რეალობას ვერ შევცვლით. რაც მოხდა, ხედავ. შეიძლება, მოვმკდარიყავი, ახლა ცოცხალი მაინც ვარ.

მოხუცი ჯიუტად დუმდა. თამაზმა იცოდა ბებიას სუსტი ადგილი და სწორედ იქიდან დაიწყო. ჯერ სოფლის ამბები გამოკითხა, შემდეგ კი დაწვრილებით უამბო ციხეში მომხდარის შესახებ. ყინული თანდათან დნებოდა და როგორც იქნა, მოხუცი ალაპარაკდა. შემდეგ საჭმელი ამოალაგა. ნაწილი გვერდზე მწოლიარე მღვდელს დაულაგა და სთხოვა, მიირთვითო. შვილიშვილს შუბლზე ხელი გადაუსვა და შეეხვეწა: ჩემს დასანახად რაიმე შეჭამეო. მოშიებულმა თამაზმა ბებიას თხოვნა შეუსრულა. ჭამა დაამთავრა თუ არა, მაშინვე საქმეზე გადავიდა და მოხუცს განუცხადა:

— ბებო, შენ ჩვენი, ჩემი და ჩემი ახალი მეგობრის, — გვერდზე მწოლიარე ავადმყოფზე ანიშნა, — ერთადერთი იმედი ხარ. საქმე ძალიან სერიოზულია. მოკლედ, რომ აგიხსნა, ხვალვე თბილისში უნდა წახვიდე, ეს წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიტანო და მინისტრის მოადგილეს უნდა გადასცე. წერილი ბალიშიდან გამოაძრო, ბარათზე დაწერილ მისამართზე მიუთითა. წერილი კაბინეტში პირადად მას უნდა ჩააბარო. რომ იცოდე, ქვეყნისთვის რა მაგარ საქმეს გააკეთებ. შენი მოხერხებულობის ამბავი რომ ვიცი, ამ „ოპერაციას“ თავს კარგად გაართმევ, შენ ხომ ჩემი ჯიგარი ბებო ხარ.

ნინამ შვილიშვილს წერილი სასწრაფოდ გამოართვა, ქვედა კაბის ბოლო ასწია და საკმაოდ უხერხულ ადგილას, თამაზი რომ სასწრაფო დახმარების განყოფილებას ეძახდა და რომელსაც პატიმრების მიერ გამოტანებული წერილებისთვის იყენებდა, ჩაიდო.

— ჰო, გზაში ფრთხილად იყავი, ამ წერილის დაკარგვა არ შეიძლება. მეზობლებს უთხარი, რომ თბილისში თამაზის შეწყალების თაობაზე მივდივარ-თქო.

— შენ ნუ ნაღვლობ. ვიცი, რასაც ვიზამ, — თქვა მოხუცმა დარწმუნებით.

ნინა იმ დღესვე სოფელში დაბრუნდა. კვირა დილით საღამოს მატარებელზე წასასვლელი ბილეთი შეიძინა. მატარებელში მთელი ღამე ფხიზლობდა. ყველამ რომ დაიძინა, მერე მიწვა, ცოტას წავთვლემო — გაიფიქრა — ვინ იცის, ხვალ რა დღე მელოდებაო.

დილით ადრე გაიღვიძა. მატარებლის მგზავრებს ტაქსის გაჩერებასთან მიყვანა სთხოვა. ახალგაზრდებმა ტაქსის მძღოლს, ბებოს კარგად მოემსახურეო, სთხოვეს. ნინა დილის ცხრა საათზე შსს-ს შესასვლელთან იდგა. იქ უამრავი ხალხი ირეოდა. ბებო თანამშრომლების ნაკადს გაჰყვა, მაგრამ შესასვლელ კართან შეაჩერეს.

— თქვენ საით, მოხუცო? — ჰკითხა კართან მდგომმა დაცვის თანამშრომელმა.

— შვილო, მე გურიიდან ჩამოვედი, ბატონი გურამი პირადად უნდა ვნახო, საქმე მაქვს მასთან.

— არ შეიძლება, მიღება პირველი საათიდან იწყება, მიღებაზე კი წინასწარ უნდა ჩაეწეროთ.

— ამ დილით ჩამოვედი, წინასწარ როდის ჩავეწერებოდი, — შეუტია მოხუცმა.

— კანონი ყველასთვის კანონია, უნდა დაელოდოთ, ახლა კი მიბრძანდით, — ცივად მიუხურა კარი დაცვის თანამშრომელმა. ნინა იქ შესასვლელ კართან აიტუზა და მთელი გულისყურით ათვალიერებდა შენობაში შემსვლელებს.

ვინ იცის, იქნებ იმ კაცმა ჩემ ცხვირწინ ახლა ჩაიარა, სახეზე რომ ვცნობდე, შევაჩერებდი და გამოველაპარაკებოდი, წერილსაც ხელში ჩავუდებდი — ფიქრობდა გულდაწყვეტით. მალე შემსვლელების ნაკადი თითქმის დამთავრდა, კარს თითო კაციღა თუ მიადგებოდა, რაღაც ქაღალდს აჩვენებდა და შენობაში უშვებდნენ. კართან ატუზული მოხუცი არც ერთ შემსვლელს არ გამოჰპარვია, რადგან იგი გარეგნობით ზურიკელას ბებიას ჰგავდა და ამიტომაც ყველა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა. ცოტა ხნის შემდეგ დაცვის თანამშრომელმა ბებიას სკამი გამოუტანა და თან გამოელაპარაკა:

— ბებო, პირველ საათამდე დიდი დროა. მანამდე აქ აპირებთ დარჩენას? — ჰკითხა მოხუცს.

— აბა, რა ვქნა, ნენა, გზაი მე არ ვიცი და კვალი, არც წასასვლელი მაქვს სადმე.

— აქამდე როგორ მოხვედით?

— რკინიგზის სადგურიდან ტაქსმა მომიყვანა. როცა იმ პატიოსან კაცს ვნახავ, ისევ ტაქსით წავალ, მერე კი ღმერთია მოწყალე, რკინიგზის სადგურიდან კი გევიკვლევ გზას, — სხარტად მიუგო მოხუცმა.

შესასვლელ კარს მზე თანდათან ადგებოდა და სიცხეც მატულობდა. მოხუცს ჯერ წყალი შესთავაზეს, შემდეგ შიგნით შეიყვანეს და იქვე, კუთხეში მდგარ სკამზე დასვეს. ამ უჩვეულო ბებოს ხან ერთი თანამშრომელი ჩამოუჯდებოდა გვერდით, ხან — მეორე. სასაუბრო თემასაც მალევე პოულობდნენ. სულ რამდენიმე საათში ნინამ დაიპყრო დაცვის თანამშრომლების გულები, რომლებიც ახლა უკვე იმაზე ფიქრობდნენ, როგორ დახმარებოდნენ და მოხუცი როგორ შეეყვანათ ბატონი გურამის კაბინეტში.

თორმეტი საათისთვის დაცვის თანამშრომელმა კიბეზე ამომავალი ბატონი გურამის მძღოლი შენიშნა, შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და უთხრა:

— ეს მოხუცი შენი უფროსის პირადი სტუმარია, იქნებ უთხრა, რომ მას ელოდება და სანამ არ შეხვდება, აქედან ფეხის მოცვლას არ აპირებს.

მძღოლმა მოხუცს გადახედა და გაკვირვებულმა გზა განაგრძო, რადგან იგი უფროსის მთელ სანათესაოს იცნობდა და ასეთი არავინ ეგულებოდა.

რამდენიმე წუთში მისაღებში ტელეფონის ხმა გაისმა, მორიგემ უპასუხა:

— კი, ბატონო, ახლავე ამოვიყვანთ.

— ბებო, გაგიმართლა, კაბინეტში გელოდებიან, — შესძახა გახარებულმა დაცვის თანამშრომელმა.

მოხუცი მეორე სართულზე მინისტრის მოადგილის კართან მიაცილეს. კარი გაუღეს და შებრძანდითო, უთხრეს. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ნინა, ცოტა არ იყოს, დაიბნა. კაბინეტში უხერხულად შეაბიჯა. დამხვდური სანდომიანად ეჩვენა. ახლოს მივიდა და მიესალმა:

— მე თქვენმა მოძღვარმა გამომგზავნა. ახლა იგი ქუთაისის საავადმყოფოში წევს ჩემს შვილიშვილთან ერთად. თვითონ თქვენთან დაკავშირება ვერ შეძლო და მე მთხოვა, წერილი პირადად გადმომეცა.

— ალბათ, ახალი ამბავია, ორი კვირის წინ ვინახულე, მაშინ კარგად იყო, არაფერი უთქვამს.

— კი, ახალი ამბავია, — თქვა და გვერდით შეტრიალდა, ქვედა კაბის კალთა აიწია, მუხლებამდე ჩამოწეულ მწვანე საცვალში ხელი შეიყო და იქედან სამკუთხა ქაღალდი გამოიღო. გადასაცემად მოტრიალდა. სახტად დარჩენილი გურამი რომ დაინახა, მიზეზს მიხვდა და მოუბოდიშა:

— არ შეგეზაროს, ნენა, ამის ქვეშ კიდევ საცვალი მაცვია, მოხუცი ვარ და ძვლების სატკივარი მაწუხებს, იმიზა ვიცვამ ასე.

დაბნეულმა მინისტრის მოადგილემ ბებოს წერილი გამოართვა. პირველად ცხოვრებაში, არ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს, უხერხულობის გადასაფარად, ტელეფონზე დარეკა და ვიღაცას ამოსვლა სთხოვა. მალევე კაბინეტში ნაცნობი მძღოლი შემოვიდა.

— ეს ქალბატონი ჩემი მანქანით სადგურამდე მიიყვანე, ბილეთი აუღე, ასადილე და სადგურის დაცვის უფროსს ჩემი სახელით ჩააბარე. მატარებელში ჩასვან და გურიაში გაამგზავრონ.

— ნენა, ამდენი შეწუხება საჭირო არაა. სადგურამდე თუ მიმიყვანთ, მადლობის მეტი რა მეთქმის. ნუ გეშინიათ, არ დევიკარგები. რომც დევიკარგო, ამითაც არაფერი დაშავდება, მხოლოდ ერთ გზააბნეულ ბიჭს მომკითხავი მოაკლდება. ამხელა გზაზე ჩამევედი და მაგ წერილში რა წერია, იგიც არ ვიცი. მითხრეს, საიდუმლო ამბავიაო და მეც საიდუმლოდ ჩამევიტანე. იმ პატიოსან მღვდელს და ჩემს შვილიშვილს უარი ვერ ვუთხარი. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, ხელი გაუწოდა ჯერ კიდევ დაბნეულ მასპინძელს.

— ნახვამდის, — მოხუცს მხარზე ხელი მოხვია და კარამდე მიაცილა.

სამშაბათს, დილით ქურდების ბებია გამცილებელმა რკინიგზის ბაქანზე ჩამოსვა და ხელის ქნევით დაემშვიდობა.

ნინა ქუთაისში წასვლას ჩქარობდა, რადგანაც არ იცოდა, თამაზს საავადმყოფოდან როდის გაწერდნენ. აუცილებლად უნდა ენახა და ეთქვა, რომ დავალება წარმატებით შეასრულა. სხვა შემთხვევაში შაბათამდე მოუწევდა ლოდინი. თან შთაბეჭდილების ქვეშ იყო. ძალიან უნდოდა შვილიშვილისთვის ყველაფერი დაწვრილებით მოეყოლა.

გუმანმა არ უმტყუნა. ქუთაისში ჩასულს შვილიშვილი ციხეში გადაყვანილი დახვდა. პალატაში მარტო მოძღვარი იყო.

— კიდევ კაი, თქვენ რომ მაინც მოგისწარით, დავალება შესრულებულია, წერილი პირადად მინისტრის მოადგილეს გადავეცი. არ მეგონა, თუ ამფერი კაი ადამიანებიც მუშაობდნენ მაგ სამინისტროში, ყველა უსისხლო და უგულო მეგონა.

— ჩემი სულიერი შვილია, ქალბატონო. მართალი გითხრათ, თავიდან უნდობლად შევხვდი თამაზის წინადადებას თქვენი თბილისში გაგზავნის თაობაზე. თურმე მართალი ყოფილა, ძალიან ყოჩაღი ყოფილხართ. სიტყვები არ მყოფნის, პირდაპირ დაუჯერებელია. ახლა ვიცი, რომ ზედმეტს არავისთან ილაპარაკებთ. ამიტომაც მინდა, იცოდეთ, რომ თქვენ შუა საუკუნეებში დაწერილი ღვთისმშობლის ხატის გადარჩენაში მიიღეთ მონაწილეობა. ღვთის ნებით, ყველაფერი კარგად იქნება და ხატს გადავარჩენთ.

მოხუცი ადგილზე გაიყინა, პირი დააღო, გეგონებოდა, ყბა ჩამოუარდა.

— დეილოცოს მისი დიდება, ყველაფერს ვიფიქრებდი, მარა იმას კი არა, რომ ღვთისმშობელს ჩემი დახმარება დასჭირდებოდა. ჩვენ ხომ კარგა ხანია, უფალს დავიწყებული ვყავართ, — სინანულით თქვა.

— თქვენი ოჯახის შესახებ თამაზმა ყველაფერი მიამბო. არ მიკვირს, ასე რომ ფიქრობთ, ჩვენ ადამიანები ვართ და ყველაფერს მარტივი ლოგიკით ვხსნით, მაგრამ ასე არაა, უფალი განსაცდელს რჩეულებს უგზავნის, უბრალო ენით რომ გითხრათ, პირიქით — თქვენ უფალს უყვარხართ.

— ნენა, თქვენი ნათქვამიდან ვერაფერი ვერ გევიგე.

— მოდი, საუბარი შემდეგისთვის გადავდოთ. ვიცი, აუცილებლად შევხვდებით.

— ღმერთმა გისმინოთ, კარგად ბრძანდებოდეთ, — დაემშვიდობა მოძღვარს.

რამდენიმე დღის შემდეგ ტელევიზორის საყურებლად მეზობელთან გადასულმა ნინამ საინფორმაციო გამოშვებაში მოისმინა: სამართალდამცავებმა სარფის საბაჟოზე თაღლითთა ჯგუფი დააკავა, რომელიც ცდილობდა, სხვა საეკლესიო ნივთებთან ერთად, გაეტანა შუა საუკუნეების ღვთისმშობლის უნიკალური ხატი.

ნინას კარგა ხანია, თავი ასე ბედნიერად არ უგრძვნია. მეზობლებისთვის უნდოდა, ეთქვა, რომ ხატის გადარჩენაში მანაც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ დუმილი ამჯობინა — მაინც არავინ დამიჯერებსო — იფიქრა. არ იცოდა, რომ დაკავებულთა შორის ჩვენთვის ნაცნობი „რესტავრატორიც“ იყო.

თამაზი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. ცოტა ხანი ბებიასთან დაჰყო. მერე კი კვირაობით სადღაც სიარული დაიწყო. მოხუცმა შეიძლება კიდეც იცოდა, სად დადიოდა, მაგრამ ახლობლებისთვის არასოდეს უთქვამს. ნამდვილად იცოდა, რომ სათამაშოდ დადიოდა და სახლში დაბრუნებას შიშის კანკალით ელოდებოდა. ხშირად ნახავდით სახლის ჭიშკართან მომლოდინე აცრემლებულ ნინას, რომელიც გამვლელ-გამომვლელს, ვინც კი მის ამბავს იკითხავდა, ეუბნებოდა — ციხემ სამუდამოდ დამიღუპა ჩემი სიმწრით გაზრდილი შვილიშვილიო. ხანდახან სოფელში წაგებულ თანხაზეც ლაპარაკობდნენ. ერთხელ სახლში გოგონასთან ერთად დაბრუნდა და ცოლი მოვიყვანეო, განუცხადა ბებიას. ერთი წლის შემდეგ მოძღვარმა ბებია და შვილიშვილი მოინახულა.

— რაცხა კი ყოფილა ამ ქვეყანაზე, — პირჯვრის წერით თქვა ნინამ და მოძღვარს აკვანში მძინარე შვილთაშვილი აჩვენა.

ქურდების ბებიამ კიდევ კარგა ხანს იცოცხლა. ისე წყნარად „გაიპარა“ ამ ქვეყნიდან, არავინ შეუწუხებია.

ქელეხში თამადამ განსაკუთრებული პატივისცემით წარმოთქვა გარდაცვლილის შესანდობარი და ნასვამი კაცის გულწრფელობით დასძინა: რაც ხნე მემატება, მართალი გითხრათ, ხშირად ვფიქრობ და ვერაფრით ამიხსნია, რატომაა ცხოვრება ასე უკუღმა მოწყობილი. ქალი, რომელიც სოფელში სათნოებითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა, ქურდების ბებიად მოვნათლეთ. არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ არც ბებიას და არც შვილიშვილს ცხოვრებაში არაფერი მოუპარავთ. ნამდვილი ქურდები, ტყავს რომ გვაძრობენ, კაბინეტებში სხედან და ცივ ბორჯომს მიირთმევენო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალო კალვინო

ერთი პოეტის ამბავი

კუნძული დაბალი, ხშირი, ზღვის ჰავის შესაფერისი მცენარეებით იყო დაფარული, ხოლო მისი სანაპირო — მაღალი, კლდოვანი მასებით შემდგარი. ცაზე თოლიები დაფრინავდნენ და იქაურობას ჭყივილით ავსებდნენ. ამ ერთი პატარა, უდაბური კუნძულის ირგვლივ გასაბერი ნავითაც კი რომ შემოგევლოთ, ნახევარი საათი საკმარისი იქნებოდა. სწორედ ასეთ ნავში ისხდნენ, აქეთ რომ მოიწევდნენ. კაცი მშვიდად უსვამდა ნიჩბებს, ქალი კი წამოწოლილიყო და მზეზე ირუჯებოდა. როცა კუნძულს მოუახლოვდნენ, კაცმა ყური უგდო.

— რა გაიგონე?

— სიწყნარე... კუნძულზე დასადგურებული სიწყნარის ხმა.

მართლაც ასეა. სიწყნარე პატარ-პატარა ხმებს მოიცავს. მცენარეთა შრიალი, ფრინველთა ჟივილი და მათი ფრთების ფრიალი კუნძულს შემოსაზღვრული მშვიდი ზღვისაგან განასხვავებს.

ქვევით, კლდეების ძირში, ზღვა როცა წყნარი იყო, წყალი მკვეთრი ცისფერი ჩანდა, კრიალა, და მასში ჩაშვებული მზის სხივები სიღრმემდეც აღწევდა. სანაპიროს კლდოვან ნაწილში არაერთი მღვიმე იღებოდა, და სწორედ, ერთ-ერთისკენ მიიწევდნენ ახლა ჩვენი დამთვალიერებლებიც.

იტალიის სამხრეთ სანაპიროების ველური ბუნება ჯერ კიდევ ხელშეუხებელი იყო ტურისტებისგან. ნავში მსხდომნი აქაურობით დასატკბობად ჩამოსულიყვნენ. კაცი გვარად უზნელი იყო — საკმაოდ ცნობილი პოეტი; ქალს კი დელია ჰ. ერქვა — ძალიან ლამაზი და მომხიბლავი ქალბატონი.

დელია, შეიძლება ითქვას, ფანატიკურად იყო გატაცებული სამხრეთით; ნავზე წამოწოლილი განუწყვეტლივ საუბრობდა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა ამ მომაჯადოებელი სანახაობით, თანაც უზნელის საყვედურობდა, აქაურობა დღემდე რომ არ ჰქონდა დათვალიერებული.

— მოიცა, — ეუბნებოდა კაცი, — მოიცა!

— მოიცა რას ნიშნავს? ამაზე უკეთეს სილამაზეს სად ნახავ?! — პასუხობდა ის.

უზნელი, ხასიათითა და პროფესიიდან გამომდინარე, სიფრთხილით ეკიდებოდა სხვის ემოციებსა და სიტყვებს. ჩვეულებისამებრ, მხოლოდ მას უნდოდა ბუნებრივი სილამაზე აღმოეჩინა; ძირითადად ის, რაც ქვეშ იყო და არ ჩანდა, რაც ყველასთვის იოლი დასანახი არ იქნებოდა. ასე უფრო ეჩვენებოდა საინტერესოდ და ნამდვილად, ვიდრე ახლა, ერთი შეხედვით დანახული, იოლად აღქმული, ამიტომაც დელიას ლაპარაკზე ნერვები ეშლებოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა?! მაინც უსმენდა. ქალი ძლიერ უყვარდა და არ შეეძლო, ეს სილამაზე მასთან ერთად არ გაეზიარებინა. უზნელისთვის ბედნიერება სუნთქვაშეკრული მდგომარეობით აღქმა იყო. ასე უნდოდა შეეგრძნო ის. იმ დღიდან, რაც დელია შეუყვარდა, ხალხთან ურთიერთობასაც ფრთხილობდა, მისი შინაგანი სამყარო რომ არ დარღვეულიყო, მაგრამ მაინც არ უნდოდა უარი ეთქვა რამეზე, არც საკუთარ თავზე და არც იმ ბედნიერებაზე, წინ რომ ეშლებოდა. ახლაც ფრთხილობდა ამ შემოსაზღვრული ბუნების წინაშე; ბუნება, რომელიც მეტს სთავაზობდა, უფრო მაღალს, გრაციოზულს, თითქოს მარგალიტის ნიჟარასავით იხსნებოდა მის წინ, ამიტომაც ეშინოდა; ეშინოდა ამ ყველაფრისკენ არ გადახრილიყო, მისი პირადი სამყარო და ხედვა არ შელახულიყო, არ შეცვლილიყო. ცისფერი კრიალა წყალი, მწვანედან რუხ ფერში გარდამავალი სანაპირო, მშვიდ ზღვაში თევზის მოულოდნელი ფართხალის ხმა... ყველაფერ ამას რომ არ ეცდუნებინა.

ერთ მღვიმეში შევიდნენ. იქ ზღვის ნაწილი ღია მწვანე ფერის ტბასავით იშლებოდა; უფრო იქით კი, სიღრმისკენ, მთლად ბნელოდა. კაცმა ნიჩბები მოუსვა და ნავი წრიულად დაატრიალა, არეკლილი ფერებით უნდოდა დატკბარიყო. მღვიმიდან ჩანდა, გარეთ როგორ ერეოდა ერთმანეთს ზღვისა და სინათლის ფერები, რითაც იქაურობა საოცრად ლამაზად იხატებოდა. ბასრი სხივები წყალს ეცემოდა და მათი კვეთა ზედ ირეკლებოდა; ხოლო ქვევით, სიღრმეში გაწოლილი მუქი ჩრდილები უფრო და უფრო იზრდებოდა. სინათლისა და წყლის რეფლექსები კლდის კედლებზეც აღინიშნებოდა და ზღვის ტალღების მოძრაობაც იკვეთებოდა.

— აი, ახლა მესმის ღმერთების! — წამოიძახა ქალმა.

— ჰმ!.. — უზნელი ანერვიულებული ჩანდა. ემოციებისა და განცდების სიტყვებით გადმოცემას მიჩვეული, ახლა მონუსხულივით იჯდა, ვეღარაფერს ამბობდა, თითქოს ენა არ უბრუნდება პირშიო.

მღვიმეში შესვლისას, ნავმა კლდის ერთ ნაწილს გადაუარა, ქვევიდან ოდნავ რომ ეხებოდა წყლის ზედაპირს, და ტივტივი დაიწყო ბრჭყვიალა, მოციმციმე ადგილებს შორის, რომლებიც დროგამოშვებით ნიჩბების მოსმის დროს წარმოიქმნებოდა. ყველაფერი დანარჩენი ჩრდილში იყო მოქცეული. ნიჩბები ზოგჯერ კლდის კედელსაც ხვდებოდა. დელია უკან იყურებოდა და ხედავდა, როგორ ეცვლებოდა ცას ფერი.

— კიბორჩხალა! დიდი! ეგერ! — წამოიძახა ქალმა და ცოტათი წამოიწია.

— ალა�ა!.. ერრრ!.. — გაისმა ექო.

— ექო! — გაუხარდა და თვითონაც კმაყოფილებით სავსემ რაღაც წამოძახილების და ლექსების სტროფების წარმოთქმას მოჰყვა.

— შენც, შენც იყვირე! სურვილი ჩაუთქვი რამე! — შესძახა უზნელის.

— ოოო... — იყვირა უზნელიმაც, — ეიიი... ექოოო...

ნავი შიგნით შედიოდა თანდათან, სადაც უფრო და უფრო იმატებდა სიბნელე.

— მეშინია... ვინ იცის, იქნებ ურჩხულებიც არიან აქ?!

— ჰო, გამოჩნდებიან მალე.

— მეშინია, დავბრუნდეთ! — დაიჟინა ქალმა.

უზნელი მიხვდა, რომ უფრო და უფრო მიიწევდა სიბნელეში; და ცოტა არ იყოს, ისიც შეიპყრო შიშმა, ამიტომ ნიჩბები სწრაფად მოუსვა და ნავი მოატრიალა; იქით გასწია, სადაც მღვიმე უფრო იშლებოდა. ზღვა იქ კობალტისფერი ხდებოდა.

— პოლიპები იქნებიან აქ? — იკითხა დელიამ.

— რომ იყოს, გამოჩნდებოდა. წყალი კრიალაა.

— მაშინ გავცურავ, — თქვა და მოსწყდა ნავს.

ქალი გადმოხურული კლდის ქვეშ წყალში გადაეშვა; მისი სხეული ხან თეთრი ჩანდა, თითქოს სინათლემ ყველანაირი ფერისგან გააშიშვლაო, და ხან — ზღვასავით ცისფერი.

უზნელიმ ნიჩბების მოსმას თავი დაანება და სუნთქვაშეკრულმა ქალს დაუწყო ყურება. მისთვის დელიას სიყვარული ამ მღვიმის სარკესავით კრიალა წყალივით იყო, უსიტყვოდ რომ ტოვებდა და ენაჩავარდნილს ამყოფებდა, თუმცა ერთი სასიყვარულო ლექსიც კი არ ჰქონდა დაწერილი, ერთიც კი.

— მიაყენე სადმე, — უთხრა დელიამ. მერე ის მცირე ზომის ქსოვილი მოიძრო, მკერდს რომ უფარავდა და ნავისკენ გადაისროლა, — ერთი წუთით... — შეიხსნა თეძოებზე მიბნეული ქვედა ქსოვილიც და უზნელის გადაანოდა.

ქალი ახლა შიშველი იყო. მისი კანის თეთრი ფერი მკერდსა და თეძოებზე ძალიან არ გამოირჩეოდა, რადგან წყალში მთლიანად ცისფრად ელვარებდა, მედუზასავით. ცალ გვერდზე ცურავდა, ნელი სვლით, და ისე იყო გაჩერებული, ქანდაკება გეგონებოდათ; თავი წყლის ზემოთ ოდნავ უჩანდა, დროგამოშვებით ცალი მხარიცა და გაშლილი მკლავის ნაზი ხაზიც გამოჩნდებოდა ხოლმე; მეორე მკლავი, ნელი მოძრაობით, ხან ფარავდა და ხან აჩენდა მაღლა აწეულ მკვრივ მკერდს; ფეხები მსუბუქად ხვდებოდა წყალს და სრიალა მუცელს ნაზად ატივტივებდა, რომელსაც ჭიპი სილაზე მსუბუქი ნაკვალევივით აჩნდა. წყალში ჩაშვებული მზის სხივები მის სხეულს ისე ეხებოდნენ, თითქოს ჯერ ტანისამოსით მოსავდნენ და მერე აშიშვლებდნენო. ცურვიდან რაღაც ცეკვისმაგვარ მოძრაობაზე გადავიდა; იღიმებოდა, თან მხრებსა და მაჯებს წრიულად ამოძრავებდა; მუხლებს ისე ხრიდა, პატარა თევზი გეგონებოდათ.

ნავზე მყოფი უზნელი თვალებად იყო ქცეული. კარგად იცოდა, რომ ის, რაც მას ცხოვრებამ ამ სანახაობის ტკბობით მისცა, სხვებს არ ჰქონდათ; არც ის მზესავით მწველი გული, სიმშვიდე რომ იყო შიგ დასადგურებული. ყველაფერი, რაც იქ, იმ წუთებში ხდებოდა, არაფერს შეედრებოდა, ენით აუწერელი სილამაზე იყო.

დელია ახლა მუცლით გაწვა წყალზე და მღვიმის ღია პირისკენ გაცურა. მზეც იქით იყო. ნელ-ნელა მიცურავდა. მის ქვევით, ცისფერი წყალი თანდათან იცვლებოდა, უფრო ღია და მბზინვარე ხდებოდა.

— ფრთხილად! ჩაიცვი, ნავები მოცურავენ!

ქალი უკვე კლდეებს შორის იყო შესული, ღია ცის ქვეშ. ხმის გაგონებაზე, უცებ ჩაეშვა წყალში და უზნელისკენ გასწია



მკლავები. კაცმა საცურაო კოსტიუმი სწრაფად გადააწოდა. მანაც წყალშივე, ცურვით ჩაიცვა და ნავზე ავიდა.

ნავები, რომლებიც აქეთ მოიწევდნენ, მეთევზეებისა იყო. უზნელიმ ისინი შეიცნო. უნახავს, საწყლები, როგორ ათევენ ღამეებს სანაპიროზე, კლდის ლოდებზე დაწოლილებს რომ სძინავთ. მოუსვა ნიჩბები და მათ შესახვედრად გაემართა.

მეთევზეების ნავს ახალგაზრდა მამაკაცი მართავდა, რომელსაც ისეთი შეჭმუხნილი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, კბილი სტკივაო; თეთრი, მეზღვაურის ქუდი წვრილ თვალებზე ჩამოეწია და ნიჩბებს ისე სწრაფად და მოქნილად უსვამდა, თითქოს ყოველ მოსმაზე ნაკლები ტკივილი უნდა შეიგრძნოსო. ხუთი შვილის მამა იყო, გაჭირვებული და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი; ნავის უკანა ნაწილზე გამხდარი მოხუცი იჯდა. თავზე ჭილის მექსიკური ქუდი ეხურა, რომელიც ირგვლივ ჩამოცრეცოდა და ნახვრეტებიდან შესული შუქი შარავანდედივით შემოხვეოდა. ეტყობოდა, ერთ დროს ძლიერი და თავმომწონე მამაკაცი იყო, ახლა კი მრგვალი თვალები ისე დაეჭყიტა, მთვრალი გეგონებოდათ; ჯერ კიდევ შავი, ჩამოშვებული ულვაშების ქვეშ პირი დაეღო და დაჭერილ კეფალს დანით წმენდა.

— მოდის თევზი? — დაუყვირა დელიამ.

— ცოტა, — უპასუხეს, — სეზონს გააჩნია...

დელიას იქაურ მაცხოვრებლებთან გამოლაპარაკება მოსწონდა, უზნელის კი — არა.

— მათ წინაშე თავს უნამუსო კაცად ვგრძნობ, — იტყოდა მხრების აჩეჩვით, და მეტი არაფერი, ასე დაასრულებდა ხოლმე.

ახლა ორივე ნავი ერთმანეთის გვერდით იდგა. მეთევზეებისას საღებავი გადასვლოდა და აქერცლილი ნაწილები ალაგალაგ ჩამოჰკიდებოდა. საბჯენზე ბაწრით მიბმული ნიჩაბი ხის ნაწილს ეხახუნებოდა და ყოველი მოსმისას საცოდავად კვნესოდა. ჟანგმოკიდებული ოთხკაკვიანი ღუზა ვიწრო დასაჯდომი დაფის ქვეშ გაჩხერილიყო, თევზების ჩასაყრელ კალათებს შორის, რომლებსაც ზღვის მოწითალო, უკვე შემხმარი მცენარეები ულვაშებივით ჩამოჰკიდებოდა. მათზე შეგროვილ, კორპის წითლად შეღებილი ტივტივებიანი ბადეების აქეთ-იქით გადაყრილ კიდეებზე პირს აღებდნენ გახლართული რუხი და ფირუზისფერი თევზები, რომლებსაც ლაყუჩების ქვეშ სისხლის სამკუთხედი წითლად უჩანდათ.

უზნელი ჩუმად იყო. ცხოვრების ეს სიუჟეტი მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ბუნების იმ სილამაზეს, რომლის წინაშეც ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა. იქ ერთი სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებდა, აქ კი სიტყვების გროვით ივსებოდა მისი გონება — სიტყვები, რომლებიც აღწერდნენ ყოველ მეჭეჭს, წვერის ყოველ ღერს მოხუცი მეთევზის ცუდად გაპარსულ და გამხდარ სახეზე, თევზის ყოველ ვერცხლისფერ ქერცლს...

ნაპირზე კიდევ ერთ ნავი იყო, ამოყირავებული, საყრდენებზე დადებული. მის ქვეშ ღამენათევ მეთევზეებს ეძინათ. მათი შიშველი ტერფები ჩრდილიდან გარეთ გამოდიოდა. იქვე, ახლოს, ერთი მთლად შავებში ჩაცმული ქალი, სახეც კი რომ არ უჩანდა, ქვაბს ზღვის მცენარეებით შეკეთებულ ცეცხლზე ადგამდა, რომლის ალი თანდათან ცისკენ იწევდა. სანაპიროს ის ნაწილი ქვიანი იყო, რუხი ფერის. ცოტა იქით, გამოხუნებულ ხალათებში ჩაცმული ბავშვები თამაშობდნენ. პატარებს ყურადღებას მშობლებისგან დავალებული უფროსი დები აქცევდნენ. მოზარდებს, სხარტად რომ დარბოდნენ ზღვასა და კლდოვან მასებს შორის, ძველი, უფროსების ნახმარი, გადაკეთებული მოკლე შარვლები ეცვათ. უფრო იქით, სილიანი სანაპირო იშლებოდა, თეთრი და უდაბური, რომელიც ბოლოს, ხშირი ლერწმისა და დაუმუშავებელი მიწის გვერდით იკარგებოდა. ერთი მთლად შავებში, მაგრამ გამოსასვლელად ჩაცმული ახალგაზრდა, ქუდიც ასეთი ფერის რომ ჰქონდა, სანაპიროზე მიაბიჯებდა; მხარზე კეტი გაედო და ზედ ტომსიკა ჩამოეკიდებინა. მიაბიჯებდა და თან პლაჟის ფხვიერ ზედაპირზე ფეხსაცმელების ძირებით კვალს ტოვებდა. ვინმე გლეხი ან მწყემსი იქნებოდა, რა თქმა უნდა, შიგა სოფლიდან ბაზრისთვის ჩამოსული; ალბათ, ზღვის ნიავის მონაბერით ცოტა რამ სანუგეშოს ეძებდა. კარგად მოჩანდა შემაღლებულ მიწაყრილზე გაყვანილი რკინიგზა, მისი ელექტროხაზებით, ბოძებით და შემოღობილი ზოლით, გვირაბში რომ იკარგებოდა; მერე თავიდან იწყებოდა, ისევ ქრებოდა და ისევ ჩნდებოდა, არასწორად გაკერილი ქსოვილივით. ცოტა მოშორებით, თეთრი და შავი ქვის ჯებირით შემოსაზღვრული გზა აღმართზე ადიოდა და დაბალი ტანის ზეთისხილებში იკარგებოდა. კიდევ უფრო ზევით, შიშველი მთები ჩანდა მხოლოდ საძოვრებითა და ბუჩქებით ზედ ან მხოლოდ ქვებით სავსე. ამ მთებს შორის ერთი სოფელი იყო გაშენებული, რომელიც თავისი ერთმანეთზე შეხურხლული სახლებით მაღლა-მაღლა შეფენილიყო. სახლებს შორის დაგებულ ქვაფენილიან კიბისებრ გზას შუა ადგილას სანიაღვრე არხი ჰქონდა ამოჭრილი, რომელსაც ჯორების წუნწუხი მოჰყვებოდა. ყველა საცხოვრებლის წინ ხანშიშესული ქალები ისხდნენ, ხოლო ქვის კედლებზე, მწკრივში, მოხუცი მამაკაცების გვერდით, თეთრ პერანგებში ჩაცმული ახალგაზრდებიც ჩამომჯდარიყვნენ. მათ შორის, კიბისმაგვარ გზაზე, ბავშვები თამაშობდნენ. რომელიღაც უფროსი ბიჭი ძირს გაწოლილიყო, ლოყა კიბის საფეხურზე დაედო და თვლემდა. ასე ურჩევნოდა დასვენება, რადგან აქ უფრო მეტი სიგრილე იყო, ვიდრე სახლში, ნაკლები სუნიც იდგა. სახლში ყველგან ჭურჭელი ეწყო, ჰაერში ბუზების გროვა ტრიალებდა. ყველა კედელზე, ყველა ქაღალდზე და ბუხრის თავზე გადაფარებულ გაზეთზეც მათი ექსკრემენტები მიწებებულიყო.

უზნელი სიტყვებს ვეღარ იტევდა გონებაში. ხშირი, ერთმანეთში ჩახლართული აზრები, მათ შორის ყოველგვარი დაშორებითა და თავისუფალი ადგილის გარეშე, ტვინს უბურღავდნენ მას; ერთ გროვად აწვებოდნენ, მინიმალურ თეთრ ადგილებსაც უქრობდნენ და საბოლოოდ, რჩებოდა მხოლოდ შავი, მთლიანად შავი, შეუღწეველი, სასოწარკვეთილი, როგორც ყვირილი...

თარგმნა მაია ტურაგელიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიუტი

ნუცა გულიაშვილი

კარზე ზარია

ამომავალი მზე. ხმაური ტრანსპორტის, ხალხის. სურნელი საუზმის. არომატი ყავის. ზარის ხმა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. კაცი ცოლს ეძახის. საკეტის ტკაცუნი. სახელურის ხმა. უცნობის მომღიმარი სახე.

— დილა მშვიდობისა, ქალბატონო.

— დილა მშვიდობისა.

სიჩუმე. სიტყვების ლოდინი

— რით დაგეხმაროთ?

— იცით, დახმარების სათხოვნელად არ მოვსულვარ.

— ...

— ვიფიქრე, შევუვლი-მეთქი.

— მე?

— დიახ, თქვენ.

— კი მაგრამ, არ გიცნობთ.

— სწორია, ეს უნდა გამოვასწოროთ.

— დიდი ბოდიში, არ მცალია, მეჩქარება.

— ერთი წუთით.

— რაიმე გჭირდებათ?

— არა.

— აბა, რატომ დგახართ ჩემს კართან?

— ვიფიქრე, ვესტუმრები-მეთქი.

— მე?

— დიახ.

— რას ბრძანებთ?! თუ შეიძლება, აქედან წაბრძანდით.

— სტუმრები არ გიყვართ?

— საიდან მოიტანეთ, რომ არ გვიყვარს?

— თქვენს კართან ვდგავარ და მაგდებთ.

— გაგდებთ?

— თქვენ სტუმართმოყვარე არ ხართ.

— რას ბრძანებთ, სტუმრები ხშირად გვყავს, ბოლოს და ბოლოს, სტუმარი ღვთისაა.

— მეც სტუმარი ვარ, ესე იგი, მეც ღვთისა ვარ.

— სტუმარი არ ხართ, თქვენ...

— ააჰ, დიახ, მე ვიღაც უსაქმური ვარ, როგორც ალბათ თქვენ თვლით.

— წაბრძანდით, ახლავე დატოვეთ აქაურობა.

კარის ბრახუნი. ოთახის მყუდროება. ზარის ხმა ერთხელ, ორჯერ... რამდენჯერმე. საკეტის ტკაცუნი. სახელურის ხმა.

— ისევ თქვენ?

— დიახ, ქალბატონო.

— რატომ არ მიდიხართ?

— თქვენი განწყობის გამო.

— ...

— წეღან აგაღელვეთ და გაწყენინეთ კიდეც.

— ცდებით, ბატონო, არც ვღელავ, არც არაფერი მწყენია. თუ შეიძლება, მიბრძანდით.

— არ შემიძლია, მე თქვენამდე იმდენ ხანს მოვდიოდი და ბოლოს მოვედი.

— არაფერი მესმის.

— თქვენ მე არ მისმენთ.

— პირიქით, ყურადღებით გისმენთ და ვერ ვხვდები, რა გინდათ.

— მინდა, არ აღელდეთ და არ იყოთ ნაწყენი.

— ხომ გითხარით, რომ არ ვარ?

— მე კი მგონია, რომ ხართ.

— საკმარისია.

კარის ბრახუნი. ოთახის სივრცის სივიწროვე. ქმრის კითხვისნიშნიანი თვალები. პასუხი გონებაში გაბნეული. ისევ ზარი — ერთხელ, ორჯერ... რამდენჯერმე. ცოლ-ქმრის ბრაზიანი მზერა. საკეტის ტკაცუნი. სახელურის ხმა.

— უკანასკნელად გეკითხებით, რა გნებავთ?

— სწორედ მაგის ახსნას ვცდილობ ამდენ ხანს.

— არაფერს მიხსნით.

— მე მინდოდა, მეთქვა, რომ დიდი ხანია, ვფიქრობ აქ მოსვლაზე.

— რატომ?

— იცით?.. ო, ბატონო, დილა მშვიდობისა, თქვენს ცოლს ვუხსნიდი...

— რა იცით, რომ მისი ცოლი ვარ?

— ვინ ხართ თქვენ?

— სწორედ ამის ახსნა მინდოდა, რომ მე მოვდიოდი თქვენთან.

— რატომ? — სიბრაზე ეკიდება კაცს.

— მე ხშირად მოვდიოდი თქვენთან.

— ჩვენთან?

— ჩვენთან? რას ამბობთ, — შეშინებული იყურება ცოლი.

— მე სტუმარი ვარ-მეთქი, აკი გითხარით.

— როდის მოდიოდით ჩვენთან? — ხმა ებზარება კაცს.

— ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, — ლუღლუღებს ცოლი.

— ეს კაცი რატომ მოდიოდა ჩვენთან? — უკვე ყვირის კაცი.

— არ ვიცნობ.

— მინდოდა, მეთქვა...

— რა, რომ ჩემს ცოლს სტუმრობთ?

— შეიძლება, ასეც ითქვას,თუმცა...

— მე არ ვიცნობ მას, — ყვირის ქალი.

— არ გაცოცხლებთ, — ღრიალებს კაცი.

— არ ვიცნობ მას, არ ვიცნობ მას, — ლუღლუღებს ქალი, — ჩვენ ხომ არ ვიცნობთ ერთმანეთს?

— ჰო, ეს უნდა გამოვასწოროთ.

დაბნეული სიჩუმე.

— ხომ თქვით, რომ ხშირად დადიხართ აქ? — ღრიალებს კაცი.

— დიახ.

— აბა, რის გამოსწორებაზე ლაპარაკობთ?

— იმის, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს.

— ვინ ჩვენ, მე და შენ? — ჯავრობს კაცი.

— დიახ, მე და თქვენ.

— მეც არ ვიცნობ, — კანკალებს ქალი.

— დიახ, ქალბატონო, არც თქვენ გიცნობთ, ეს უნდა გამოვასწოროთ.

— რა უნდა გამოასწოროთ? — ყვირის კაცი.

— ის, რომ არ ვიცნობთ ერთმანეთს.

ისევ სიჩუმე. სიბრაზის ხლართები. მზერების პაემნები.

— თუ არ გვიცნობთ, ვისთან დადიხართ აქ? — ცდილობს, სიმშვიდე შეინარჩუნოს კაცმა.

— თქვენთან.

— ჩემთან?

— იცით, ორივესთან.

— რას გულისხმობთ?

— ვცდილობ, გითხრათ, რომ მე ხშირად დავდივარ აქ.

— ჩემს ცოლთან?

— შეიძლება, ასეც ითქვას.

— არ ვიცნობ მას, — იცრემლება ქალი.

— გამაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს, ვისთან დადიხართ აქ?

— დიდიხანია, ვფიქრობდი აქ მოსვლაზე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე აქ ხშირად დავდივარ.

— ვისთან? როდის?

— ოცნებებში, ფიქრებში მე აქ ხშირად დავდივარ.

— ოცნებებში? ვისზე ოცნებობთ?

— თქვენზე.

— ჩემზე? — წარბები შუბლზე ასდის კაცს.

— თქვენზეც, — ტრიალდება ქალისკენ.

— ჩემს ცოლზე? — საყელოში წვდება კაცი.

— ამ სახლის ბინადრებზე.

— არ ხართ ნორმალური, — ამბობს კაცი.

— დიახ, მეუბნებიან.

— დაიკარგე აქედან.

— არა, იცით, ჩემს ოცნებებში ამ კართან ვდგავარ.

— ისევ არ იშლით?

— ვფიქრობდი, მოვიდოდი თქვენთან...

— რატომ ჩემთან?

— ან თქვენთან, ქალბატონო.

— ჩემს ცოლთან რა საქმე გაქვთ?

— მე ვიქნებოდი თქვენი სტუმარი.

— ჩვენ თქვენ არცკი გიცნობთ.

— აჰ, დიახ, ეს უნდა გამოვასწოროთ.

— ისევ თქვენსას მიერეკებით.

— ვერ გამიგეთ...

— ვერ გაგიგეთ იმიტომ, რომ არ ამბობთ, რა გინდათ.

— მე ამ სახლში სტუმრობა მინდოდა.

— ისევ?

— აკი გითხარით, ოცნებებში ვხედავდი-მეთქი.

— კარს?

— დიახ, კარს, მის ბინადართ.

— აქედან წაბრძანდით.

— არა, იცით, მე აქ შემთხვევით არ მოვსულვარ.

— პოლიციაში დავრეკავთ.

— არ გინდათ, არ მიყვარს პოლიცია.

— ემალებით?

— ასეც შეიძლება, ითქვას.

— ალბათ დამნაშავე ხარ, — ყვირის კაცი.

— შეიძლება, არც ამას გამოვრიცხავ.

— ქურდი ხარ?

— არა, არა რას ამბობთ? — ასავსავებს ხელებს.

— ნუთუ ყაჩაღი, კაცი მოკალით?

— არა, არა, — კატეგორიულად აქნევს თავს.

— აბა, რა ჩაიდინეთ?

— არაფერი ჩამიდენია თითქოს, მაგრამ რაღაც მაინც მძიმედ მაწევს კისერზე.

— არ მესმის...

— როგორ არ გესმით, ოცნებებში აქ ხშირად დავდივარ.

— ჰოდა, ისევ ოცნებებში იარეთ და თავი დაგვანებეთ.

— იცით...

— დაიკარგე აქედან.

— მე ოცნება აღარ შემიძლია.

— მაშინ ფიქრებში იარეთ.

— მე ვოცნებობდი...

— არ მაინტერესებს.

— თქვენთან შეხვედრაზე.

— წადით აქედან.

— თქვენ სტუმრები არ გიყვართ.

— ძალიან გვიყვარს.

— მეც სტუმარი ვარ თქვენი.

— უცხოებს ფსიქიატრიული ჩვენებებით არ ვიღებთ.

— თქვენ არ მოგწონვართ, რადგან უცხო ვარ?

— უცხოსაც გააჩნია.

— მე თქვენ არაფერს გიშავებთ, მხოლოდ გიხსნით, რომ...

— როგორ გეკადრებათ, ძალიანაც გვიშავებთ, საუზმე გამიცივდა, ნერვები ისე ამიშალეთ, მთელი დღე ვერ დავწყნარდები, სამსახურში ვაგვიანებ და საჭირო რაოდენობის ფულს ველარ გამოვიმუშავებ.

— ნუთუ თქვენ მექანიკური თოჯინა ხართ?

— უკაცრავად?

— ცხოვრებისაგან ქცეული მექანიკური თოჯინა.

— შეურაცხყოფაზე გადადიხართ, არა? ვეჭვობ, მექანიკური ტვინი გაქვთ.

— არც მიფიქრია თქვენი შეურაცხყოფა.

— რა თქმა უნდა.

— ვცდილობდი, მეთქვა...

— აჰ, ალბათ თქვენს ოცნებებზე...

— დამცინით?

— როგორ გეკადრებათ.

— ჩემი არ გესმით.

— შერეკილების გაგება რთულია.

— რატომ ვარ შერეკილი?

— აბა, ნორმალური კაცი სხვის კართან ქადაგად არ დაეცემოდა.

— მე ჩემი გულისტკივილის გაზიარება მინდოდა მხოლოდ.

— უკვე დამღალეთ...

— და გაგაბრაზეთ, ჩემდაუნებურად.

— დარწმუნებული ვარ, სულ უნებურად მოგივიდათ.

— მინდა, გჯეროდეთ.

— მჯერა, ბატონო, უკვე ყველაფრის მჯერა, რასაც თქვენ ამბობთ. რომ მითხრათ, ამ სახლის სახურავიდან გადავხტები და ფეხებით დავხტებიო, მაგასაც დავიჯერებ. ისე, ახლავე თუ ცდით, ურიგო არ იქნება.

— გინდათ, რომ მოვკვდე?

— რას ლაპარაკობთ, მე მხოლოდ ის მინდა, სამსახურში დროულად მივიდე და ჩემს ოჯახს არავინ აწუხებდეს.

— არავის შეწუხება არ მინდოდა.

— ალბათ უნებურად მოგივიდათ.

— დიახ.

— გასაგებია, მოვრჩეთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

— მიდიხართ?

— დიახ.

— თქვენ, ქალბატონო?

— რა თქმა უნდა, — ასწრებს ქმარი.

— მე კი მინდოდა, მეთქვა...

— ბოლოს და ბოლოს, თქვით თუ რამის თქმა გინდათ და მოშორდით ჩემს კარს.

— მე ოცნება აღარ შემიძლია.

— უჰ, ეგ რა დაგმართნიათ, — აწკიპა წარბები კაცმა

— დამცინით?

— არა, მაგრამ თქვენი ხნის ადამიანისათვის ოცნებებზე უფრო სასარგებლო რაციონალური ფიქრი იქნებოდა.

— მე მიყვარს ოცნება.

— ახლა რა გიშლით ხელს?

— ოცნების საგანი დავკარგე.

— უჰ, ნუ მეტყვით, ნუთუ ქალია მიზეზი?

— როგორი მარტივი ხართ.

— მარტივი?

— ნუთუ აუცილებლად ვნებას უნდა ეხებოდეს საქმე?

— შეიძლება, სიყვარულს.

— ან ნახევარ მილიონს, არა?

— ნახევარი მილიონი თუ დაკარგეთ, საოცნებოდ ნამდვილად აღარ გექნებათ საქმე.

დასასრული მე-15 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი

ნათია როსტიაშვილი

ნათია როსტიაშვილი განათლებით ჟურნალისტია, წერდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთისთვის, თუმცა რამდენიმე წელია, ჟურნალისტურ პუბლიკაციებს აღარ აქვეყნებს, მხოლოდ მხატვრულ ტექსტებზე მუშაობს. 2012 წლიდან მისი ნოველები და მოთხრობები ლიტერატურულ გამოცემებში იბეჭდება.

პირველი პროზაული კრებული კი, „ჭაღის ანგელოზი“, გამომცემლობა „პალიტრა L“-მა 2014 წელს გამოსცა, მეორე კრებული, „სუნთქვის შემგროვებელი“, 2017-ში „ინტელექტმა“ დასტამბა. მისი მოთხრობები შესულია სამი ქართველი ავტორის კრებულში „საით წავიდა ლოლა“, რომელიც ბერძნულ ენაზე ითარგმნა.

ნათია სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსის მონაწილე და არაერთი ჯილდოს მფლობელია. გოდერძი ჩოხელის მინიატურების კონკურს „ერთგულებაში“, რომელშიც კონკურსანტებს ორი მინიატურით შეეძლოთ მონაწილეობა, პირველი და მეორე პრემია ნათიას ჩანახატებს ერგო, ამის შემდეგ ისინი ჟურნალ „ცისკარში“ აფხაზურ ენაზე გამოქვეყნდა. მწერალმა სხვადასხვა დროს მიიღო „წეროს“, „ხვარამზეს“, „ოდეონის“, „ასი სიტყვის“, რეზო ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის კონკურსის“ პრემიები, არის „ლიტერას“ ფინალისტი. კონკურსებზე „ლიტბუნიობა“ და „საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე“ ასევე ფინალისტებს შორის დასახელდა.

— მოდი, კონკურსებით დავიწყოთ. ყოველწლიური „საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე“ ოქტომბერში დასრულდა. თქვენი მოთხრობა ათეულში მოხვდა. იმ კონკურსში შარშანაც მონაწილეობდით თხზულებით, „ჩემი საქმე წასულია, მარუს“, და მაშინაც გაიმარჯვეთ. რამდენად მნიშვნელოვანია ეს თემა — მასწავლებელი და ბავშვი — თქვენთვის? თუმცა, შეიძლება ითქვას, ორივე საკონკურსო ნაწარმოები ამ კითხვაზე პასუხია.

— მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობა, თავისთავად, უმნიშვნელოვანესი თემაა, არა მხოლოდ ჩემთვის. ბავშვობისას განცდილ ამბებს, შთაბეჭდილებებსა თუ ხვიარასავით შემოხვეულ კომპლექსებს ხომ ყველაზე მძლავრი ფესვი აქვს. ისეთი მძლავრი, რომ შეიძლება ათეულ წლობით ცდილობდე მის ამოძირკვას და ვერაფერი დააკლო. ამიტომაც, საფრთხილო პროფესიაა მასწავლებლობა. პედაგოგისგან შენკენ ხუმრობით, მსუბუქად მოსროლილი „უწყინარი“ მეტსახელიც კი, შეიძლება დიდობამდე ტვირთად დაგაწვეს და მერეც, როცა იფიქრებ, რომ უკვე მოერიე, სინამდვილეში „ცხრა თავიან დევად“ იქცეს — სხვა კომპლექს(ებ)ად ან სხვ(ებ)ისკენ მიმართულ აგრესიად გადაგვარდეს. თვითონ ვიყავი ძალიან მგრძნობიარე ბავშვი და ვიცი, რასაც გრძნობს პრობლემასთან ვერგამკლავებული მოსწავლე. ვიცი, რამხელა შვებაა ასეთ დროს დარდის გამზიარებელი უფროსი მეგობარი. ძალიან ბევრი ბავშვი დადის შიგნიდან ნედლ დარდ თუ კომპლექსამოლესილი და არ იცის, ან დღესხვალ როგორ მოიცილოს, ან მომავალში, უკვე გამშრალი და ზედშემხმარი, როგორ გაიფერთხოს, გაითავისუფლოს თავი.

ძალიან მინდა, ჩვენს ბავშვებს, მოსწავლეებს, მასწავლებლები ეიმედებოდეთ. ცხადია, მშობლებიც, მაგრამ ეგ ცალკე თემაა. ზუსტად ვიცი, მასწავლებელს შეუძლია შველა. როგორც თუნდაც იმ ჩემი ორი მოთხრობის მასწავლებლებმა შეძლეს. დახმარება აუცილებელია, შიგნით ჩაგროვილი უარყოფითი ენერგია კი — საშიში.

ბავშვობაში ვერავისთან ვსაუბრობდი ჩემს დარდზე. როგორც კი სახლში მარტო დავრჩებოდი, გამოვაღებდი ჩვენი ტანსაცმლის კარადის კარს და შიგნითა მხრიდან მიმაგრებულ სარკეში დიდხანს ვტიროდი. ეს გზა მოვიფიქრე ამ უარყოფითი ენერგიისგან გასათავისუფლებლად. საშველად სარკე შეიგულო, ადამიანი — ვერა, სევდიანი ამბავი კია.

სხვათა შორის, იმაზე მეტად ცოტა რამ თუ მაოცებს, რომ ის სარკე დღესაც „ცოცხალია“. რამდენჯერაც კარის გამოღება მიწევს, ვფრთხილობ; ასე მგონია, წკიპზეა და ერთხელაც წვრილ ნატეხებად უნდა ჩამოიფშხვნას. ჩემი ბავშვობისას შეყრილ სიმძიმეებს როდემდე გაუძლებს, დაბერდა ეგეც.

— არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული ხართ. რას ნიშნავს თქვენთვის ეს კონკურსები, რა მოაქვს მათ მწერლისთვის, გარკვეული ფინანსური მხარდაჭერის გარდა?

— მხოლოდ ეს ფინანსური მხარდაჭერაც არაა პატარა ამბავი. განსაკუთრებით იმ ავტორებისთვის, რომლებსაც, მიზერული ჰონორარის იქით, არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ. არის სხვა სიკეთეებიც. მაგალითად ის, რომ გამარჯვებული ნაწარმოებისადმი ინტერესი ყოველთვის დიდია, რაც ავტომატურად, მკითხველის სიმრავლეს ნიშნავს. ესეც რომ იქით იყოს — უბრალოდ, ადამიანურად, მარტივად, გიხარია შენი გაჩენილი მოთხრობის წარმატება. სიხარული კიდევ, ურიგო ამბავი რომ არაა, კი ვიცით ავტორებმაც და მკითხველმაც.

„დეტალების ადამიანი ვარ“

და კიდევ, როგორც მგონია, ყველა გამარჯვებულს აქვს თავისი პატარ-პატარა, სხვისთვის უმნიშვნელო, სიხარული. ჩემი, მაგალითად, ესაა:

რომელიღაც კონკურში პირველი პრემია გადმომცეს და გახარებულმა მაშინვე სახლში დავრეკე. მისვლით, გვიან მომიწია მისვლამ, ბავშვებს უკვე ეძინათ. მივედი და საწოლზე ჩემი პაწაწუნა შვილის წერილი დამხვდა: ,,დედა ყოჩაღ. მე ხალიან გამიხარდა რომ გაიმარჯვე. დედა მე მუსიკები ჩავრთე ხმამაღლა. გიო“.

ეს იყო პირველი წერილი შვილისგან, რომელმაც უცნაურად გამოხატა სიხარული, მაღალ ხმაზე ჩართო მუსიკა, და თუნდაც მხოლოდ ამ წერილის წაკითხვის ბედნიერებისთვის ღირდა კონკურსში გამარჯვება.

— რა საერთო აქვთ მწერალ ნათია როსტიაშვილსა და ყოველდღიურობით მცხოვრებ ნათიას?

— ის, რომ დეტალების ადამიანი ვარ, მწერლობაშიც, ყოველდღიურობაშიც. წლების წინ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ დაიბეჭდა ბატონ ელგუჯა თავბერიძის წერილი ჩემს ერთ ვრცელ მოთხრობაზე. მეგობარმა ნახა შემთხვევით და დამირეკა, მახარა.

პირველი შემთხვევა იყო, როცა ლიტერატურის კრიტიკოსი წერილში ჩემს მოთხრობას განიხილავდა და რა გასაკვირია, ვნერვიულობდი. სანამ ჟურნალს ვიყიდდი და გადავშლიდი, ჩემი დამემართა.

გადავშალე და სათაური წავიკითხე თუ არა, მაშინვე დავმშვიდდი. მივხვდი, რომ მართალია, წერილის ავტორი პირადად არ მიცნობდა, მაგრამ ზედმიწევნით იცნობდა ჩემს სტილს, მოთხრობას, ზუსტად დაიჭირა ის, რაც თავადაც მიმაჩნდა ჩემი წერის სტილის ერთგვარ სავიზიტო ბარათად. საინტერესო წერილი იყო. აქედანაც ვიტყვი, რომ მადლობელი ვარ ამ ადამიანის.

სათაური კი ესაა: „წვეთში არეკლილი მდინარე (დეტალების ხელოვნება ნათია როსტიაშვილის მოთხრობაში „ერთ-ჩრდილიანი ქალაქი“)“.

დეტალებს მართლა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ადამიანებიც ნათქვამი ფრაზით, მიმიკით, ჟესტით მამახსოვრდებიან. დიდი ზეიმებიც და გლოვაც მეხსიერებაში მრჩება არა ფართო პლანით, ერთიანობაში, არამედ იქიდან ამოკენკილი თითო-ოროლა კონკრეტული მარცვლით.

ის საშინელი 90-იანები ხომ თითქმის ყველას ერთნაირი გვქონდა: უშუქობა, უფულობა, უპურობა, უყველაფრობა და უამრავი პრობლემა. ჩემი მეხსიერების თაროზე მთელი ის პერიოდი ერთ დიდ გადღაბნილ ლაქად ინახება და ამ შავ ფონზე ეს ლამის ერთადერთი მკვეთრ კადრებად შემონახული ამბავია: ბავშვი ვარ. იდაყვში მოხრილ, ოდნავ წინ გამოწვდილ ხელში იშვიათი სახეობის ყვავილივით ფრთხილად მიჭირავს ტალონი. პურის რიგში ვდგავარ. პირობითად ვამბობ, თორემ სინამდვილეში განზე ვდგავარ, რიგიდან გარიყულივით, ჭყლეტის მეშინია. გვერდით ქალი ამომიდგა; გამხდარი, სიფრიფანა, ქუდზე მიმაგრებული დიდი, კაკაოსფერი ბაფთით. იქვე პატარა ბავშვი თამაშობს მტვერში და სამივენი იმას ვართ მიჩერებული: მეც, ქალიც, ბაფთაც. „მანქანა მოდის!“ — დაიძახა უცებ ვიღაცამ და ატყდა ერთი ამბავი. აქამდე რიგად ჩამწკრივებული, მისავათებული ხალხი პურის მანქანის გამოჩენამ გამოაცოცხლა, მოაძლიერა, ააჩოჩქოლა, გააველურა და ბოლოს უწესრიგოდ შეგროვილ მშიერ ბრბოდ აქცია. ყველა იმის ცდაშია, სხვებს დაასწროს პურის აღება, თუნდაც ადამიანებზე გადავლის გზით.

მე და ეს ქალი კიდევ, ვდგავართ გაუნძრევლად, მტვერში მოთამაშე ბავშვს თვალს არ ვაცილებთ. თითქოს ეს ყაყანი, შეძახილი, ახალმოტანილი პურის სურნელი ჩვენთან არაფერ კავშირშია. თითქოს იქ პურის საყიდლად არ ვიყოთ მოსულები. ბავშვი თამაშობს თავის მტვრიან თამაშს და ეს ქალი მომიბრუნდა უცებ და იქ მყოფთაგან აბსოლუტურად განსხვავებული მზერით და სახის გამომეტყველებით, ღიმილით მეუბნება: ,,კვერცხიდან წიწილა ჩნდება. არაფრისგან — ადამიანი. განა ეს სასწაული არაა?“ ისეთი ახლობელი გახდა უცებ ეს უცხო ქალი, ისეთი სიმშვიდე წამოვიდა მისგან. ისეთ მკვეთრ კადრად ჩამრჩა ეს აჩოჩქოლებული, დამშეული, გაბოროტებული ბრბო და იქვე ამ მშვიდი, ფიქრიანი ქალისგან გადმოლაპარაკებული უცნაური ფრაზა, იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, სხვანაირად არ შემეძლო — რომ გავიზარდე, ის დიდბაფთიანი ქალი გამოვედი. ოღონდ, ბაფთის გარეშე.

— საინტერესო გვერდი გაქვთ ფეისბუქზე, ყველა მოვლენას ეხმიანებით — მხატვრულად თანაც. მოთხრობებივით იკითხება თქვენი პოსტები, რეპლიკები. სოციალური თემატიკა რამდენად იქცევა ხოლმე შთაგონებად მხატვრული ტექსტებისთვის და რამდენად რთულია კონკრეტული ამბიდან, ყოფითი პრობლემიდან მხატვრული ტექსტების შექმნა?

— როცა ფეისბუქზე რამეს ვწერ, ეს არ არის, ასე ვთქვათ, ნამუშევარი ტექსტი. უბრალოდ, ვწერ იმას, რაც გავიფიქრე, რაც ვნახე, რამაც თქმის სურვილი გამიჩინა. ხშირ შემთხვევაში, ტექსტი მაინც მხატვრული გამოდის, ყოველგვარი ძალდატანების, ყოფითისგან მხატვრულის შექმნის სურვილისა და მცდელობის გარეშე. აქაც დეტალების დანახვის ამბავია და, ალბათ, ცოტაც — ამბების წერას მიჩვეული ხელის. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება რაღაც საინტერესოს დანახვა. მწერალი ხომ მხოლოდ ხელი არაა, თვალიცაა. უხეშად რომ ვთქვათ, დამწერამდე დამნახავია, სხვების თვალისთვის შეუმჩნევლის შემჩნევი.

ერთ დილას, მაგალითად, სადღაც მაგვიანდებოდა და ლამის მივრბოდი მეტროსკენ. დილა იყო, ყველას თავის გზაზე მიეჩქარებოდა და ხალხის ნაკადი მეტროში შედიოდა; მოკლედ, არაფერი საინტერესო. თითქოს რა უნდა იყოს ამაში ისეთი, მზერის გამოდებად და შეჩერებად ღირდეს. გავიხედე, წყვილი დგას კართან. ამ ჩვენს საყოველთაო ფაციფუცსა და მუჯლუგუნით გზის გაკაფვას აინუნში — როგორი ლამაზი სიტყვაა და იკარგება (იყოს აქ, იცოცხლოს) — არ აგდებს. ბიჭი გოგოს წამწამიდან რაღაცას აცლის. აცლის რუდუნებით — აჰა, ესეც — ჩაშტერებით, დაძაბულად, ისეთი პასუხისმგებლობით, თითქოს ამ ბუსუსის, ტუშის ნაშალის თუ ქინქლის მოცილებაზე სამყაროს გადარჩენაა დამოკიდებული.

ხომ მეჩქარებოდა და გავჩერდი მაინც, მივდექი იქვე, კუთხეში და ვუყურებ როგორ უახლოვდება ბიჭის ცხვირის წვერი გოგოსას, რომ როგორმე ის რაღაც მოაცილოს წამწამიდან. აჰა, ბიჭმა „მტერი ხელთ იპყრო“, თითიდან მკვეთრი მოძრაობით მოიცილა, ქვაფენილზე დაანარცხა და ვალმოხდილმა გაუღიმა გოგოს. მე ხომ ჩემი უხილავი ფოტოაპარატით დავდივარ ყველგან და, გავხედე წარმოსახვითი კამერის ახლო ხედიდან გოგოს წამწამს, დავაკვირდი, მივყევი ბიჭის თითამდე, თითიდან — ქვაფენილზე გადავყევი, „ზუმის“ წყალობით, მიკროსკოპულად დავათვალიერე და იცით, რა იყო ის წამწამიდან აცლილი რაღაც? ის რაღაც იყო არაფერი. არაფერი იყო. ხომ უწვრილმანესი ამბავია, მაგრამ როგორი პოეტურია — ხალხმრავლობაში ბიჭმა გოგოს დიდხნიანი მცდელობის შემდეგ, სახის სახესთან შეყოვნების შემდეგ, მოახერხა და წამწამიდან არაფერი ააცალა. ააცალა მონდომებით, სიფრთხილით, ჩაშტერებით. „ეჰ, კარგი ხარ სიყვარულო“ — ვთქვი მე და სანამ ექსკალატორზე ფეხს შევდგამდი, უკვე ვიცოდი, რომც დამეგვიანა იქ, სადაც მივიჩქაროდი, მაინც კარგი დღე მექნებოდა. ამოვიღე ტელეფონი და „ფეისბუქელებს“ უბრალოდ, ისე მოვუყევი ეს ამბავი, როგორც ახლა თქვენ, ანუ ისე, როგორც იყო.

— სამი ქართველი ავტორის მოთხრობები გაერთიანდა წიგნში „საით წავიდა ლოლა“ და ბერძნულ ენაზე გამოიცა. პრეზენტაციაზე საბეძნეთში იყავით. იქნებ ამაზე მიამბოთ.

— ბატონ მიშა რატიანის თაოსნობითა და რედაქტორობით, ბერძნულად ითარგმნა და გამოიცა ოთარ ჯირკვალიშვილის, ლელა ცუცქირიძისა და ჩემი მოთხრობები. მთარგმნელი ქალბატონი მაია ჯანგიძეა, თავის საქმის პროფესიონალი და საყვარელი ადამიანი. ძალიან ლამაზი გამოცემაა.

იქ ჩემი ორი მოთხრობა შევიდა. ერთერთი, რომლის სათაურიც მოგვიანებით ჩემი მეორე წიგნის სახელწოდებად შევარჩიე, „სუნთქვის შემგროვებელი“ და მეორე, რომლის სათაურიც ბერძნულენოვანი კრებულის სახელწოდებადაა გატანილი: „საით წავიდა ლოლა“. ისე მოხდა, რომ კრებულის წარდგენაზე, თესალონიკში, მარტო გავემგზავრე. მოგზაურობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ახლა, როცა შორეულ, თბილისი-თესალონიკის გზაზე შემდგარს ვინმე თანაგრძნობით მკითხავდა: „აუ, ორი დღე-ღამე გადაბმულად ავტობუსით ჩაქჩაქი, თან მარტო?!“ გაბრწყინებული ვპასუხობდი: ,,ჰო, ამდენხნიანი მოგზაურობა ისე, რომ ფანჯრიდან გახედვაში ხელს არავინ შემიშლის!“

საუკეთესო, კარგად ორგანიზებული, ორიგინალური წარდგენა იყო, ზომიერად აკადემიური, ზომიერად თეატრალური ელემენტებით გაჯერებული და ქართული ცოცხალი მუსიკით გაფორმებული. დარბაზში მყოფი ბერძნები დიდი ინტერესით ისმენდნენ იქ მცხოვრები ქართველების მიერ ბერძნულ ენაზე წაკითხულ მოთხრობებს. წაკითხვაც არ ეთქმოდა, ეს იყო პერსონაჟების — ჩაცმულობით, მუხ-



ტით, სახასიათო შტრიხებით — სცენაზე გაცოცხლება. უცნაური ამბავი კია, ღმერთმანი, საკუთარ მოთხრობას უსმენდე, შენს პერსონაჟს ნაწნავით და თავშლით სცნობდე და არ გესმოდეს, რას ამბობს. სახეებს, მიმიკას ვაკვირდებოდი, რომ როგორმე მივმხვდარიყავი, ამომეცნო რომელ მონაკვეთს კითხულობდნენ, მაგრამ რას ამოიცნობ, რას მიხვდები... გიხარია ის ტაშიც, ის უცხოდ ლამაზი ჟღერადობაც, შენს ფანტაზიას, შენს ტექსტს რომ იმეორებს და თან ისეთი უცხო და სხვაა.

წარდგენის მისტიკა მისტიკად და, სასწაული დღეები გავატარე არაჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად. დავმეგობრდით და უკანა გზაზე მარტო აღარ გამომიშვეს, ლელასთვის, ოთარისთვის და ჩემთვის ძალიან ახლობელი და ამავე დროს უცხო ტექსტებისგან აკინძული ძალიან საყვარელი წიგნები გამომაყოლეს. წიგნი კიდევ თანამგზავრადაც როგორი საუკეთესო ვინმეა: თან მარტო არ ხარ, თან ფანჯრიდანაც, როცა და როგორც გინდა, შენს გემოზე გასცქერი ჰორიზონტებს.

ამ ამბიდან რამდენიმე თვეში გამოვიდა ჩემი მოთხრობების მეორე კრებული და ისეთი ახალი ამბავი შევიტყე, გული ამიჩუყდა. საბერძნეთში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა „სუნთქვის შემგროვებელის“ შეძენის სურვილი გამოთქვეს, შეუკვეთეს და ამ ჩემი სასიამოვნო მოგონებებით გამოტკეპნილ გზაზე ახლა ჩემი წიგნები გაემგზავრნენ, ოღონდ ესენი ჩემსავით სტუმრად კი არა, დასარჩენად.

— თქვენი მოთხრობების პერსონაჟები განსაკუთრებული ხალხია. ასე მგონია, ავტორის დიდი მზრუნველობა და სიყვარული ეტყობათ, ამიტომაც ძალიან ცოცხლები არიან, ხასიათიანები, დაუვიწყარი სახეებით. როგორ ჩნდებიან ისინი თქვენს ცხოვრებაში, საიდან მოდიან და რა ემართებათ (თქვენთვის) წიგნის გამოქვეყნების მერე?

— დიდი მადლობა მათი ასეთი შეფასებისთვის. საერთოდ, თავიდანვე ვფრთხილობდი, რაკი ავტორი ერთი ჰყავთ, კიდეები ერთმანეთში არ გადღაბნოდათ, ერთმანეთს არ შერეოდნენ და დამსგავსებოდნენ. პერსონაჟებს თუ არ დაეხმარე, საკუთარი თავი მოთხრობის ბოლომდე მკვეთრი კონტურებით შეინარჩუნონ, რის მაქნისია შენი ავტორობა და მწერლური ოსტატობა? ზოგჯერ ხდება, რომელიმე ავტორის კრებულს კითხულობ და ყველა მოთხრობის პერსონაჟი ერთი და იგივე გგონია. ვცდილობ, ასეთი სევდიანი ამბავი არ დამემართოს. ჯერჯერობით, მგონი, გამომდის, ან მეჩვენება, რომ გამომდის.

წიგნში შესვლის მერე კი იციან გაუცხოება, მაგრამ წერის პროცესში, თუ ზედმეტი პათეტიკა არ გამომივა, პერსონაჟებზე ახლობელი არავინ მყავს. როცა ვზივარ, ვწერ — თავისთავად, და როცა არ ვწერ, მაშინაც სულ ველაპარაკები, ვაკვირდები, ვუსმენ. თუ სადმე მივდივარ, მექანიკურად მივყვები საჭირო მისამართს და გონებით ამათთან ვარ. ამ ჩვევის გამო ბევრჯერ დამიტოვებია დაბნეული ადამიანის შთაბეჭდილება (არც თუ უსაფუძვლოდ). როცა მარტო მივსეირნობ ქუჩაში, ამ ხილული მოცემულობის გარდა, პარალელურად, კიდევ სადღაც მივდივარ (ღმერთმანი, პოზა არაა, წმინდაწყლის გულწრფელობაა), იქაც ვცხოვრობ, ან სხვების ცხოვრებას ვაკვირდები, ან მათ არსებობას ვიგონებ და ვიჯერებ. ხდება, უცებ პერსონაჟი რაღაც ძალიან საინტერესო ფრაზას მოიხდენს, გიხარია და ამ დროს ამ შენს კენტად მოსიარულე ხილულ გვამს ვიღაც სახელოზე მსუბუქად ქაჩავს: „უკაცრავად, რომელი ქუჩების კვეთაზე ვიმყოფებით?“ რა ქუჩა და კვეთა, რომელ ქალაქში ვართ, ამის გასააზრებლადაც კი დამჭირდება „კაი“ წამნახევარი ან ცოტა მეტი.

რამდენადაც პერსონაჟის ცხოვრებით ვცხოვრობ წერის პროცესში, იმდენად ვუუცხოვდები უკვე წიგნში „შესახლებულებს“. თითქოს ჩემი საქმე უკვე მოვილიე, ახლა თავის ნებაზე უნდა მივუშვა და ახალი ნაკადი მივიღო. ახლებს ვჭირდები; ამათ — აღარ. იმ ახლებსაც — წიგნში დაბინავებამდე.

— ინტენსიურად მუშაობთ?

— ინტენსიურად რომ წერდე, იზოლირებული ოთახი და ბევრი თავისუფალი დრო უნდა გქონდეს. ორივე თუ არა, ერთერთი მაინც: ან მხოლოდ თავისუფალი დრო. ან მხოლოდ ცალკე ოთახი, სადაც, თუნდაც შეზღუდული დროით შესულს, სანამ წერ, კარს იქით რა ხდება, არ გეხებოდეს. ხომ თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ როცა პატარებს ზრდი — არ გამოდის.

თუმცა, კარგი ეშმაკობა ვიცი. სახალისო რამაა. შედიხარ სამზარეულოში და იწყებ რომელიმე რუტინულ საქმეს. ხელები მექანიკურად გვის, ან ჭურჭელს რეცხავს და შენ ამასობაში სიუჟეტს აგებ, დიალოგებს ხვეწ, მოთხრობის ფინალზე ფიქრობ. მოთხრობებს ხომ რგებ ამ „ზეპირი წერით“ და ეს უცებ დარეცხილი ჭურჭელიც საჩუქარივითაა. თითქოს სანამ შენ „სხვაგან“ იყავი, აქ ვიღაცამ სიურპრიზად გაგიკრიალა, დაგილაგა და გაგახარა.

— ჩვენი პირველი ინტერვიუ რამდენიმე წლის წინათ შედგა, როცა მოთხრობა „ჭაღის ანგელოზი“ „წეროს“ გამარჯვებული გახდა და როცა თქვენი პირველი კრებული დაიბეჭდა ამავე სახელწოდებით. ახლა როგორ იხსენებთ თქვენს დასაწყისს?

— „წერომ“ ძალიან გამახარა, ჰო. თან დიდი ხანიც არ იყო, რაც ეგრეთ წოდებულ ლიტსივრცეში გამოვჩნდი. ემოციური ადამიანი ვარ და ვერასდროს გავიგებ იმ ადამიანებისას, მორიგ წარმატებას რომ ისე იღებენ, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი იყოს. მეორე წიგნის წარდგენაზეც ისევე ვნერვიულობდი, როგორც პირველის და ყოველი პაწაწუნა წარმატება ისევე მიხარია, როგორც ის პირველი მიხაროდა. ანუ ემოციურად ბევრი არაფერი შეცვლილა. ალბათ რაკურსი შეიცვალა. ადრე მწერლებს და ლიტერატურულ ამბებს გარედან, თითქოს ფანჯრის ღრიჭოდან ვუყურებდი და ახლა იმ ღრიჭოსიქითა მარაქაში ვარ მეც.

— 2017 წელს თქვენი მეორე კრებული „სუნთქვის შემგროვებელი“ გამოსცა „ინტელექტმა“. ეს წიგნი „ლიტერას“ რჩეულებს შორისაა.

— დიახ და აქვე დიდი მადლობა ზვიად კვარაცხელიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც წიგნზე იმუშავა. ჩემთვის, როგორც ავტორისთვის, ძალიან კომფორტული პროცესი იყო. მეორე კრებულშიც, ისევე როგორც პირველში, ათი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მოთხრობაა თავმოყრილი. „ჭაღის ანგელოზისგან“ განსხვავებით, „სუნთქვის შემგროვებელში“ შესული მოთხრობების უმრავლესობა არსად გამომიქვეყნებია. მინდოდა მკითხველისთვის მეტი სიახლე შემეთავაზებინა. ძალიან გამიხარდა, როცა „სუნთქვის შემგროვებელი“ „ლიტერას“ ფინალისტად გამოცხადდა. საბოლოო გამარჯვება, სრულიად დამსახურებულად ერგო ბექა ქურხულს. „ლიტერას“ ფინალისტობის ამბავს გადაცემა „ბიბლიოთეკა“ მოჰყვა, სადაც წამყვანმა, მარი კორინთელმა, ძალიან საინტერესოდ ისაუბრა კრებულზე. სულ ახლახან კი ვებგვერდზე „mastsavlebeli. ge“ ნინო სადღობელაშვილის ასევე საინტერესო წერილი გამოქვეყნდა წიგნის შესახებ, სათაურით „ბედნიერება შესაძლებელია“. ზოგადად, მიხარია, რომ კრებული შეიყვარეს. ჩემთვის უცნობმა ადამიანმა დაწერა ძალიან საინტერესო ბლოგი; კრებულის ინტერნეტგვერდზე სიყვარულით გაჯერებულ წერილებს მიგზავნიან.

ბოლოს, ნოდარ დუმბაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში გურიაში ვიყავით და როცა წიგნიდან ნაწყვეტებს ვკითხულობდი, თვალებში შეუხედავადაც ვგრძნობდი დარბაზიდან წამოსულ მუხტს, ვხედავდი კიდეც მკითხველ-მსმენელის აცრემლებულ თვალებს და შეხვედრების დასრულების შემდეგაც მოდიოდნენ და მეხვეოდნენ, წიგნის სახელწოდებას აზუსტებდნენ და ისეთ სითბოს გამოხატავდნენ — მეტი რა უნდა ინატრო ავტორმა? ალბათ ის, რომ სხვა ენებზე ითარგმნოს და სხვა ხალხისთვისაც შეძლო ხმის მიწვდენა.

— ალბათ ბევრი გეკითხებათ ამა თუ იმ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ: „ნამდვილი ამბავია?“ ასეთი ეჭვები არ ასვენებს ხოლმე მკითხველს. რას პასუხობთ?

— პასუხი არ არის იოლი. არის ამბები, რომლებზეც გადაჭრით ვერ ვიტყვი, ნამდვილია თუ გამოგონილი. მაგალითად, მოთხრობაში „დამნაშავე უდანაშაულოა“, გვირაბში ორ მამაკაცთან ერთად მოხვედრისა და თუ გულწრფელი ვიქნები, შიშის ამბავიც ნამდვილია. რაც ნოველის გმირმა წარმოიდგინა — ისიც. ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. უბრალოდ, ცხოვრებაში ძალიან გაუბედავი, მფრთხალი და პასიური ვარ, ვიდრე ჩემი პერსონაჟები; სულ ცოტა გამბედაობა და ამბავი, რომლის შთამბეჭდავი ფინალისთვის პერსონაჟი (ჩემგან განსხვავებით) რისკზე წავიდა, თავიდან ბოლომდე ნამდვილი ამბავი იქნებოდა. ახლა კი დარჩა ასე — გამოგონილზე ოდნავ უფრო რეალურია და ნამდვილ ამბამდეც ცოტა დააკლდა.

— პირველი წიგნის შემდეგ დაახლოებით 4 წელი გავიდა, როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თქვენი პროზა? ან რა შეიცვალა მასში?

— ვფიქრობ, ამ ოთხ წელში გავიზარდეთ — მეც და ჩემი პროზაც. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა გიხარია, რომ წლების მატება გემჩნევა.

— რაზე მუშაობთ ახლა? ნუთუ ახალი პერსონაჟების გარემოცვაში არ ხართ?

— უჰ, ეგ ისეთი აბეზარი ხალხია, რას დაგასვენებს? სულერთია, ვწერ, ვრეცხავ თუ მოშიებული მტრედებისთვის აივანზე პურის ნამცეცები გამაქვს — თავს არასდროს მანებებენ. კაცმა რომ თქვას, დიდი იმედი მაქვს, არც არასდროს შეიცვლიან აბეზრობის ზნეს და „დასვენებისთვის“ არ გამწირავენ.

ამ ეტაპზე კი აქვთ ცალი წარბი აქაჩული, ქუდი ჩამოჩაჩული, ქოჩორი განზე გაჩეჩილი და ფრიად ფხუკიანობენ, მაგრამ მაგათიც მესმის. რამდენი ხანია, რომანს ვწერ და საშველი ვერ დამიყენებია. მიტოვებული ტექსტის პერსონაჟებმა კიდევ ისეთი გაბუტვა იციან — მტერს და ავს!

ესაუბრა თამარ ჟურული

ნუცა გულიაშვილი

კარზე ზარია

დასასრული

— ისევ არ გესმით ჩემი.

— მშვენივრად მესმის, ნახევარ მილიონს ნამდვილად შეუძლია, შეასხას ოცნებებს ფრთები, მეც კი სადღაც ოცნებებში გადავეშვი.

— სასიამოვნოა?

— რა?

— ოცნება რომ შეგიძლიათ.

— სასიამოვნოსი რა გითხრათ...

— მე კი მსიამოვნებდა მისი არსებობა.

— ოცნებაზე ისე ლაპარაკობთ, თითქოს ხორცშესხმული არსებაა.

— სწორედაც რომ არის.

— შეშლილი ხართ.

— იმიტომ, რომ ოცნების მჯერა?

— არა, იმიტომ, რომ ფიქრობთ, ის ამდენად მნიშვნელოვანია.

— მარტინ ლუთერ კინგი ამბობდა — „მე მაქვს ოცნება“.

— მართლა, მერე?

— მისთვის ეს ოცნება ჩანასახი იყო, რომელსაც ხორცის შესხმა სჭირდებოდა.

— მერე?

— მერე ის, რომ ოცნების უნარი მნიშვნელოვანია.

— მე რატომ მიხსნით ამას?

— იმიტომ, რომ ვერ მიხვდით ჩემი აქ მოსვლის მიზეზს.

— ახლაც ვერ ვხვდები.

— ნუთუ?

— თქვით, რომ ოცნება დაკარგეთ, რომ ამ კარზე ოცნებობდით, მგონი, ჩემსა და ჩემს ცოლზეც თქვით რაღაც.

— მსგავსი არაფერი მითქვამს.

— კი, თქვით. მახსოვს, რომ თქვით.

— არა, მე ვთქვი, რომ ვოცნებობდი ამ კარზე და მის ბინადრებზე.

— ბინადრები ჩვენ ვართ.

— არადა, თქვენ არ უნდა იყოთ.

— აბა, ვინ?

— იმედი მქონდა, რომ თქვენ არ იქნებოდით.

— ?

— მე ოცნების უნარი დავკარგე.

— ეგ უკვე ვიცით.

— წარმომედგინა კარი, სადაც დამხვდებოდნენ ბინადრები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანი არ იქნებოდა, რომ არ მიცნობენ, რომ ცოტა შერეკილი ვარ, მიმიღებდნენ საკუთარი ძმასავით, რადგან მეც მათი მოდგმის ერთ-ერთი ელემენტი ვარ.

— ეგეთი 7 მილიარდამდეა და ყველას მიღება გაგვიჭირდებოდა.

— იმედი მქონდა, ამ კარს მიღმა ღია გულები დამხვდებოდა და არა მექანიკურად მომართული თოჯინები დახშული გულებით. და მე დავიბრუნებდი ოცნების უნარს; უნარს, რომელიც დავკარგე მექანიკურ არსებებთან გარდაუვალი ურთიერთობისას.

— იმედი გაგვიცრუებია,— ეღიმება ქმარს.

— ჩემი ბრალია.

— ნამდვილად, ოცნებას ფიქრი სჯობს.

— დიახ, რა თქმა უნდა, — დაღონებით ამბობს კაცი, — მაპატიეთ წყენინებისთვის.

*

— მიდიხართ? არადა, მთელი დღე წინ გვქონდა, — დაიღრიჯა კაცი.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო.

— იქნებ გესაუზმათ ჩვენთან ერთად, — შესთავაზა ქალმა.

— ჩვენ ხომ მას არ ვიცნობთ.

— აჰ, ეს ისევ გამოსასწორებელია, — თავზე მიიდო ხელი კიბეებზე ჩამავალმა კაცმა და თვალს მიეფარა.

— ვერ მივხდი, რა უნდოდა, — თქვა ქალმა

— უკუღმა აქვს მოწყობილი ტვინი, ვიღაც გადარეულია.

— ალბათ, — თქვა ქალმა და მძიმე კარით ჩაახშო გარესამყაროსაკენ გამავალი ღიობი.



სახლი მდინარის პირას

მხოლოდ ერთი ალუბლისფერი სარაფანი ჰქონდა, გულისპირთან დიდი ჭრელი პეპლით მოხატული. შეხედავდი და გაიფიქრებდი, სადაცაა პეპელა ამოირღვევა, უამრავ პატარა პეპლად გადაიქცევა და პატრონს კუნაპეტივით შავ თმაში ჩაებნევიანო.

ბებიის დაღუპვის შემდეგ თავისივე არჩეულ ბიჭზე დააოჯახეს მეზობლებმა. პატრონს რომ ჩააბარეს, საამაყოდ და საძახებლად კი ჰქონდათ მეზობლებს, მაგრამ ლიას მოწონებული ბიჭი კი დიდად არ მოსდიოდათ თვალში.

„საცოდაობა მარტო ის ხომ არაა, სახლი არ გქონდეს, ვის აქვს თავიდან, მაგრამ ფხა ხომ უნდა ჰქონდეს ადამიანს; აგერ, ნანას როგორი ქმარი შეხვდა, გირჩი მოუხიკია ტყიდან და იმისთანა საყვავილეები გაუკეთებია, თვალს ვერ მოაცილებ," — ეტყოდა ხოლმე როზა ლიას. ისიც ცალყბად უპასუხებდა — რაც არის, არის; ვინ გამომიცვლის აწიო. მშვიდად გაეცლებოდა მერე და სახლში მისული თავის თავს უწყრებოდა, რატომ ერთხელ არ ვეცემი და სახეს არ ჩამოვახევო.

ლიას არეული ცხოვრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ ადამიანებისთვის, ვინც მისი ასავალ-დასავალი იცოდა.

აღარ უკვირდათ, ლია ქმარ-შვილით თვეში ერთხელ სამი დიდი ჩანთით და ბავშვის საწოლით ახალ ბინაში რომ გადადიოდა.

თვითონ ლია არ ემორჩილებოდა ბედს, ახალ სახლში მისული ძირფესვიანად შეუდგებოდა ხოლმე დამტვერილი სახლის დასუფთავებას. შეპარვით ეუბნებოდა ხოლმე ქმარი — რაღას იკლავ თავს, მიჰკარ-მოჰკარი ხელი და ეგ იქნებაო. „რას ამბობ, კაცო, — დოინჯს შემოირტყამდა, — ამ მტვერში და ნაგავში ვამყოფო ანგელოზივით ბავშვი." მივარდებოდა მერე ბავშვს, კაბის კალთით შეიმშრალებდა ჯაფისგან დაცვარულ პირს, თავზე აკოცებდა და დაუყვავებდა — შენ არ მოიწყინო, ჩემო ბიჭოო. მერე ქმარს მიუბრუნდებოდა — სულ ნუ ითარსები, კარგი ენის იყავი, კაცოო.

მე რა შუაში ვარო, აუღელვებლად ეტყოდა ხოლმე. მართლაც, რა მისი ბრალი იყო, განა ეგ არ იყო, მთელი ღამე ჭერზე მიპყრობილი თვალებით ღმერთს რომ ევედრებოდა, ცოტახანს მაინც დაგვტოვე ამ ბინაში, სანამ წელს ავითრევთო?!

არ იყო საშველი, მეორე დღესვე დაადგებოდათ თავზე ხაზეიკა და ბოდიშებით ისტუმრებდნენ უკან. აბა, ბოდიში რას უშველიდა?!

ერთ ღვთისნიერი ქალს შეებრალა ლია — სახლი მაქვს დედამთილის დედისგან დატოვებული, არც საფასური მინდა, წადით და იქ იცხოვრეთო — შესთავაზა.

ლიასთვის და მისი ოჯახისთვის იყო ფუფუნება, თორემ ისე დიდი არაფერი, ხის სახლი იყო ერთი ოთახით, ფარდით გატიხრული, მონგრეული კიბით.

რა კარგია სახლთან ახლოს მდინარე რომ არის, გაგრილდება, სულს მოითქვამს ბავშვიო — უხაროდა ცოლ-ქმარს.

კისრისტეხით გავარდა ბიჭი საბანაოდ, თვალები უბრწყინავდა...კართან დაეწია დედის ხმა — რომ მოხვალ, საჭმელს დაგახვედრებო.

ლიამ კარადიდან თავისი ალუბლისფერი სარაფანი გადმოიღო და ჩაიცვა, თმა დაივარცხნა, შუბლზე გადაიწია და ერთი კულული ჩამოიგდო, როგორც თავის პატარა ბიჭს უყვარდა, მერე ფანჯრიდან გახედა ქმარს, რომელიც კიბის საფეხურებს ამაგრებდა.

კაცი წამგამოშვებით ისვენებდა, წელში გასწორდებოდა, გაოფლილ ხელის გულს შარვალზე დაისვამდა, იდაყვით მოფახფახებულ კიბის მოაჯირს დაეყრდნობოდა და ღიმილით გადახედავდა თავის არემარეს...

ჩოჩქოლი შემოესმა გარედან — ნეტავი რა ამბავია, გავალ გავხედავ, იქნება რა უჭირთ, განა ჩვენი მეზობლები არ არიანო, — გაიფიქრა. ღობეს ნიკაპი ჩამოაყდნო და ყური მიუგდო, ქვემოდან, მდინარის მხრიდან, მოდიოდა ხალხი, ყვიროდნენ, კიოდნენ, ღრიალებდნედ და ხაოდნენ — ბავშვი დაიხრჩოო...

ვინ არის, ვისი ბავშვიაო, კითხულობდნენ ყველა მხრიდან. ჩვენი ახალი მეზობლის შვილიაო — პასუხობდენ...

უღონობა იგრძნო კაცმა. უნდოდა, ეყვირა და ხმა არ ამოდიოდა. ფეხები არ ემორჩილებოდა, წელათრევით მივიდა კიბესთან. კარამდე ველარ მიატანა სული. გამოვარდა ლია — რა იყო, შე კაცო, გაჭირვებამ ვერ გაგტეხა და სიხარულმა დაგაგდოო — ასადგომად მოეჭიდა ქმარს. არ დაემორჩილა სხეული. ადე, ჰა, რა დაგემართა, ბავშვი მაინც არ გეცოდება, მარტო როგორ ტოვებო — შიშშეპარულს ცრემლი გადმოუგორდა თვალებიდან.

სამი თეფში იდო მაგიდაზე და საჭმელს ჯერაც ორთქლი ასდიოდა...

ხშირად კითხულობენ მეზობლები ლიას ამბავს. „სულ მთლად გაგიჟებულა ის საცოდავი, ყოველ დღე ყიდულობს თურმე სამ თეფშს და სამივეს ამტვრევს, ნამსხვრევების მთა დგას კიბესთან თურმეო," — როზა უყვებოდა იმ დღეს მეზობლებს.

ჰელიუმის ბუშტები

კარნავალზე დაინახა პირველად ჰაერში დაკიდებული ჰელიუმის ბუშტები, წითლები, ყვითლები, ჭრელები, პატარები, დიდები, სულ დიდები, გულისფორმისები... მერე თვითონაც სცადა სახლში მათხოვრობით აღებული ფულით ნაყიდი ბუშტების ისე ჰაერში გამოფენა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მიხვდა მერე, რომ ჩვეულებრივ ბავშვებს ჩვეულებრივი ბუშტები აქვთ. არც სწყენია. საწოლის ქვეშიდან მტვრისგან გაშავებული რეზინები გამოიღო, თავ-ბოლო აქეთ-იქით დადებულ სკამის ფეხებს გამოაბა და ორ რეზინს შორის ნელ-ნელა, ჰაეროვნად და მსუბუქად დაიწყო ხტუნვა, მერე რიტმს მოუმატა, უფრო მოუმატა, მოუმატა და იქამდე იხტუნა, სანამ საგულედან გული და პირიდან ენა არ გადმოუვარდა, სანამ თავბრუ არ დაეხვა... მერე იატაკზე გაიშოტა გულაღმა, ხელები ფართოდ გაშალა და ჭერს მიაპყრო მზერა, მის თავზე ნაირფერი, ნაირნაირი ჰელიუმის ბუშტები დაეკიდა, ზუსტად ისეთები, როგორებიც კარნავალზე ნახა...

სტატისტიკა

უხასიათოდ ადგა ზიზი ექთანი, ჰქონდა კიდეც მიზეზი, ღამის მორიგეობა უწევდა. როგორც ჩვევად ჰქონდა, ჯერ თავი გამოჰყო კარში, თვალებით მთელ სამეზობლოს მოედო. რაკი სულიერის ჭაჭანება არ იყო, კარში გამოყოფილ თავს ფიცარივით ტანიც გამოაყოლა, სიგარეტს მოუკიდა და სამი ნაფაზი ზედიზედ დაარტყა.

დილა კი იყო მაგრამ, ჩიხის ქვემოთ, საცხობის წინ თავმოყრილ კაცებს უკვე მოესწროთ დათრობა: „მე ამის დედა მოვ...ან, ბენზინის გარეშე ხომ არავინ ჩაგსვამს მანქანაში," — მუცელზე ხელის რტყმევით ამბობდა ერთ-ერთი.

ცოტა იქით სკოლის მოსწავლე ბიჭები შეჯგუფებულიყვნენ, გაკეცილი რვეულები შარვლის უკანა ჯიბეში ჩაეჩურთათ. ყველაზე დაბალი და მსუქანი ფეხსაცმლის წვერით ჩიჩქნიდა მიწას და ფიზკულტურის მასწავლებლის მისამართით უშვერი სიტყვებით იგინებოდა: „მე მაგის დედა მოვ...ან, მაგას მართლა მწვრთნელი ხომ არ გონია თავი?"

„ბო...ი შვილი ვიყო ეგ ორშიმო კაცი თუ ღირდეს ნერვიულობად," — ამშვიდებდა სახენაიარევი ბიჭი.

ექთანი ხალხით სავსე მარშრუტში ავიდა. მძღოლი ცუდ გუნებაზე ჩანდა: „ამათი დედა მოვ...ან და კიდევ იმათი, ვინც ამათ პრავა მისცა," — კბილებში ცრიდა.

„აქ გამიჩერე," — უკნიდან გადმოსძახა ვიღაცამ.

„გაუჩერე, კაცო, გაუჩერე," — წინა მხრიდან შეეშველნენ მგზავრს.

საჩვენოს დაბრუნებულმა მძღოლმა უეცრად დაამუხრუჭა.

„ბარემ მეც ჩავალ," — ზიზი ექთანმა ხელისგულში გახურებული ხურდა გაუწოდა და მძღოლს და ჩასვლისას ქალის ხმა მიჰყვა: „რა იყო, შე კაცო, ცოტა ნელა ვერ ატარებ ამ დედა მო...ულ მარშრუტკას? ხომ ხედავ ლამის აქ გავიშხლართე?"

ექთანმა ზემოთ აწეული კაბა მუხლებისკენ დაქაჩა და საავადმყოფოს შენობაში ცხვირშეჭმუხნული შევიდა.

პალატებიდან გამოსული მძიმე სუნი დერეფანში ირეოდა, იმ დერეფანში, ახლა რომ ზიზი ექთანი ფეხსაცმლის ბაკი-ბუკით მიაბიჯებდა.

„მოხვედი ზიზი ექთანო?" — ამოიკვნესა სიგამხდრისგან გალეულმა, მოხუცმა ქალმა. „მე მგონი, წნევა მაქვს, იქნებ გამიზომოთ..." — გამოეხმაურა მეორე.

„ზიზი ექთანო, ცუდად ვარ," — გვერდით პალატიდან კაცის ხმა მოისმა...

ექთანმა წარბშეუხრელად გაუკეთა ჭირვეულ პაციენტებს დამამშვიდებელი და ყავის დასალევად გავიდა.

ავადმყოფებს რომ ჩაეძინათ, ზიზი ექთანმა ფეხსაცმელი გაიძრო, დაძარღვული, დამძიმებული ფეხები საწოლზე მოკეცა, მკლავით ყური დაიხშო და გაინაბა. მთელი ღამე ყრუდ ჩაესმოდა პაციენტების ხრინწიანი კვნესა-ვედრება: „ვაი, დედა!" „სად ხარ, დედა?!" „დედაჩემს დაუძახეთ"...

ზიზი ექთანმა ხალათი გაიხადა, დერეფანი, კიბეები ისე ჩაიარა, არ ამოუსუნთქავს, გარეთ გამოსულმა ღრმად ჩაისუნთქა სუფთა, გრილი ჰაერი. გასასვლელში, ფეხი გადაუბრუნდა და წაბორძიკდა. „ამის დედა მოვ...ანო," — შეიკურთხა და გადაწყვიტა, იმ გზით წასულიყო, სადაც ნაკლებ ადამიანს შეხვდებოდა. ნისლჩამოწოლილ ჩიხში შეუხვია და გაუჩინარდა...

მოსწავლის ფანდი

ნინო მას, დღევანდელი საშინაო დავალების თემა რომ პატიება არ ყოფილიყო, ვინ იცის, რამდენი ხანი დამრჩებოდა ხინჯად ყოველივე ეს. ახლა კი, თქვენი ნებართვით, ბოდიში მინდა, მოგიხადოთ, გუშინ რომ არ ვაღიარე, მე ვიყავი შატალოს წამომწყები და როგორც თქვენ მიწოდეთ „უგუნური ბუნტისთავი," მე შევთავაზე ბავშვებს ჩანთები ფანჯრიდან გადაგვეყარა და სკოლის უკანა ეზოდან გავპარულიყავით. წინა დღესაც მე დავყარე ღუმელზე პერიცის მარცვლები, ის ჭიკარტებიც მე დავდე თქვენს სკამზე და დაფაზეც მე დავწერე თქვენი ლექსიკონიდან „სასკოლო მარგალიტები." ის უვიცი მოსწავლეც მე ვარ, თქვენს მაგივრად რომ სწერს ჟურნალში ნიშნებს. რა ამის პასუხია და ის წერილი, გუშინ რომ დედაჩემთან გამატანეთ, სკოლის ბუფეტის ნაგვის ურნაში ჩავაგდე... განა, სულ იმას არ გვასწავლით ხოლმე — უმცროსებმა უფროსებისგან უნდა აიღოთ მაგალითიო? ჰოდა, ამ ერთხელაც მაპატიეთ და მეორედ აღარ ვიზამ, მას!

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004